ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

24 — 25 აგვისტო, 2013

№200 (6201)

ფასი: 30 თეთრი

## პატრულის რიცხვი იზრდება

გვ.3

## არჩილ კბილაშვილი თანამდებობას ტოვებს?!

გვ.3

## სანდრო ბრეგაძე: „ქართულ ოცნებას“ საგანელიძე და ახვლედიანი შლიან“

ხუხაშვილი საქართველოში ბიზნესის განვითარების ყველაზე სერიოზული პრობლემა გახლავთ

გვ.2

## ჟურნალისტებმა ბიძინა ივანიშვილს მიმართეს

გვ.4

## თბილისში ჯილეხით დაავადებული ხორცი იყიდებოდა

გვ.6

## ვინ აკონტროლებს ციხეებს — ნაციონალების სქემა



გვ.4

## ნათხოვარი თუ ნაჩუქარი სახელმძღვანელოები?!

გვ.5

ISSN 1987-9385

## გიორგი გუგავა: „სადაზღვევო კომპანიები თანხებს ითვისებენ“

გვ.3

გვ.6

## სასწრაფო დახმარების მძღოლები ხელფასის კლებას აპროტესტებენ

გვ.5

## სოფიო ხორგუანი: „მე არ ვფიქრობ, რომ ახალაია სასამართლომ გაამართლა“

## პროფესიული განათლების მინების მსურველები ტესტირებას გაივლიან

გვ.6

# სანდრო ბრეგაძე: „ქართულ ოცნებას“ საგანელიძე და ახვლედიანი შლიან“

## ხუხაშვილი საქართველოში ბიზნესის განვითარების ყველაზე სერიოზული პრობლემა გახლავთ

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან

***– ბატონო სანდრო, დაპირისპირება თქვენსა და გია ხუხაშვილს შორის უკვე სერიოზულ ფაზაში შევიდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხუხაშვილი სასამართლოში ჩივილით გემუქრებათ.***

– პირველ რიგში, გეტყვით იმას, რომ ხუხაშვილის გამონათქვამებს სერიოზულად ნუ მივუდგებით. პირადად მე, მის გამონათქვამებს და საერთოდ მის მოღვაწეობას სერიოზულად არ ვუყურებ. ვფიქრობ, რომ ეს არის ხელოვნურად შექმნილი ფიგურა, ვითომდა ძლევამოსილი, რომელიც ცდილობს, ქვეყანაში დაიმკვიდროს „დონის“ ტიტული. როგორც მე მაცნობეს, ეს „ძლევამოსილი დონი“ ძლიერ აღშფოთებული ყოფილა ჩემით, თურმე სიმართლის თქმა როგორ გავბედე და დრაკონივით ცეცხლს უშვებს პირიდან. სასამართლოში ჩივილიც გადაუწყვეტია, ოღონდ, თვითონაც არ იცის, რაზე. როგორც ვიცით, ის ათ თბილისელ ბიჭთან ერთად არჩევს ხოლმე საქმეებს და იუმორით გეტყვით, რადგან ამ პიროვნებას სერიოზულად რომ მივუდგე ეს ცოტა ძნელია, ეტყობა ჩემთან ვერც ათი თბილისელით, ვერც ასი ქუთაისელით და ვერც სამასი სპარტელით ვერ გაბედა მოსვლა და სასამართლოში წასვლა გადაწყვიტა... რას ვიზამთ, ჩვენი რეალობა ეს არის, მე მხოლოდ იმ ჭკვიანი კაცის მიკვირს, რომელსაც არც გამოცდილება აკლია, არც გამოცდილება, ხუხაშვილი რომ მრჩევლად დაისვა და ქვეყანაში ძირითად საკითხებს მას აწყვეტინებს. აი ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა და არა ის, თუ რას იტყვის ხუხაშვილი ჩემზე. ხუხაშვილი კი არა, მხედრიონს ვყავდი 18 წლის ბიჭი დაჭერილი ორჯერ და სამშინლად მაწამეს, ვერც შევარდნაძის რეჟიმმა გამტეხა და შემდგომში საკაშვილმა საერთოდ ციხეში ჩამსვა და ხუხაშვილი რას იტყვის, როგორ იტყვის და სად იჩივლებს, ეს ნაკლებად მაინტერესებს. უბრალოდ, ის არის გულსატკენი, რომ ეს არასერიოზული ადამიანი, ვიღაცას სერიოზულად წარმოუდგენია, თუმცა მასთან არსებობს საკმაოდ სერიოზული კითხვის ნიშნები.

***– ფაქტია, რომ ის პრემიერ-მინისტრის მრჩეველია და საკმაოდ სერიოზულ ძალაუფლებასაც ფლობს... ამბობენ, რომ მთელ რიგ ბიზნესებს აკონტროლებს და ასე შემდეგ...***

– იცით, რამდენი არასერიოზული ადამიანი მინახავს, ბედის უკუღმართობით ძალაუფლება რომ ჩაეგდოს ხელში, შემთხვევითობის წყალობით? მე ერთ ამბავს გაგახსენებთ, შუა საუკუნეებში იმერეთში უცებ გამოჩნდა ერთი პიროვნება, რომელსაც სახელად ერქვა ჭუჭუნია. ამ ჭუჭუნიამ გააბითურა მთელი სამეფო კარი, რომ ის არის ბაგრატოვანთა შთამომავალი, მათი დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი და რამდენიმე წელი მეფობდა იმერეთში. შემდგომში მიხვდნენ, რომ ეს არა ბაგრატიონი, არამედ ჭუჭუნია იყო და სამეფო კარის მოხელეებმა ხანჯლებით აკუწეს თავისავე ლოგინში. ასეთივე ჭუჭუნიები ბევრნი ჩნდებიან ქართულ პოლიტიკაში, მოდიან, მიდიან, რუხ კარდინალობას თამაშობენ... ეს ყველაფერი არასერიოზულია, თუმცა, გავიმეორებ, კითხვის ნიშნები ნამდვილად არსებობს. მე ახალი ხელისუფლების გულშემატკივარი ვარ და, ბედნიერი ვიქნები, ეს ჩემი კითხვები თუ არ გამართლდება. თუმცა საკმაოდ სანდო წყაროებიდან, ადამიანები პირდაპირ საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ბატონი ხუხაშვილი გახლავთ საქართველოში ბიზნესის განვითარების ყველაზე სერიოზული პრობლემა.

***– შემაფერხებელ ფაქტორში რა იგულისხმება, ბატონო სანდრო?***

– იგულისხმება ის, რაზეც თვითონ მთავრობის წევრები საუბრობენ. თუნდაც ის, რომ, მაგალითად, დამლაგებლადაც არავინ ინიშნება მთავრობაში ხუხაშვილის გარეშე. ასევე ის, რაზეც ბიზნესმენები საუბრობენ, რომ ყოველთვიურად ათეულობით მილიონი ლარის მოგების ბიზნესპროექტები მის ხელშია. ამ კითხვებს არ უნდა გაეცეს პასუხი?! ამბობენ, რომ რკინიგზა მთლიანად მის ხელშია, ფოსტა მის ხელშია, აზერბაიჯანში ნავთობის ტრანზიტი მის ხელშია, სომხეთში ექსპორტირებული ნავთობი მის ხელშია და აქვე დავამატებ, რომ ამ ბიზნესის მოგება ნახევარი მილიარდია. ასევე მისია გალფი, საბანკო სექტორის სერიოზული ნაწილი და კიდევ ბევრი რამ. საკმაოდ სერიოზული კითხვები დაისვა და ამ კითხვებს ხუხაშვილმა არ გასცა არგუმენტირებული პასუხი. როდესაც ამდენი კითხვა არსებობს, მას პასუხი უნდა გაეცეს. სასამართლოში სირბილს და ჩივილ სკი არ უნდა იწყებდეს, ამ კითხვებზე პასუხის გაცემით უნდა იყოს დაკავებული. მას არ ეყოფა იმის გამჭრიახობა, რომ მე სასამართლოში არ მიჩივლოს, რადგან ეს სასამართლო პროცესი გადაიქცევა მის საბრალდებო სასამართლო პროცესად. მე ნამდვილად არა მაქვს ამის არც დრო და არც სურვილი, რომ ხუხაშვილს სასამართლოში ვდიო. ჩემი მიზანია, ვიბრძოლო საქართველოში ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისთვის. ცოტა მეტი სერიოზულობა მართებს ამ კაცს და „დონი“-ს ტიტულიდან როგორმე უნდა გამოვიდეს.

***– ჩამონათვალში ტელევიზიების ხსენება დაგავიწყდათ. ამბობენ, რომ რამდენიმე ტელევიზიას აკონტროლებს...***

– კი ბატონო, ამაზეც ბევრს საუბრობენ და ამ კითხვებსაც უნდა გასცეს პასუხი. ძალიან ბევრი კითხვებია მის გარშემო. ჭკვიანი ადამიანი ისე არ მოქმედებს, რომ მან კითხვის ნიშნები დატოვოს. ამ ადამიანმა კი სადაც გაიარა, ან ლაფს ტოვებს, ან კითხვის ნიშნებს. ელემენტარულად, პრემიერ-მინისტრს დაფიქრება მართებს, ბატონი ბიძინა გაცილებით ჭკვიანია და ასეთი ადამიანი არ უნდა ჰყავდეს გვერდით. ხუხაშვილს კი გონია, რომ ივანიშვილზე ჭკვიანია და მის მოტყუებას ახერხებს, მას ბევრგან დაუტრაბახია, რომ არა მე, ივანიშვილი ვერც არჩევნებს მოიგებდა და ვერც ამხელა სიმაღლეებს ვერ მიაღწევდა პოლიტიკაშიო. ბატონი ბიძინა ბევრად უფრო ჭკვიანია, ვიდრე ხუხაშვილი და ეს პრობლემა დროულად უნდა მოაგვაროს. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ბიძინა ივანიშვილმა უნდა წარმართოს ქართული პოლიტიკა და ქართული ეკონომიკა და არა ვიღაც ჭუჭუნიებმა, რომლებიც მხოლოდ აფუჭებენ და არაფერს აკეთებენ ქვეყნის სასიკეთოდ. მე ვფიქრობ, რომ აუცილებელია მოხდეს სერიოზული გადახალისებები საკმაოდ ბევრ სფეროში. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მთავრობა ცუდია და მთავრობა რაღაც საინიშნელებებს სჩადის, არა, ნებისმიერ მთავრობას სჭირდება ახალი სისხლის გადასხმა. ნებისმიერ მთავრობას სჭირდება განახლება. განახლების გარეშე არ არსებობს არცერთი მთავრობა. მე მახსოვს მაგალითად კანცლერი კოლი, გერმანიის ლეგენდარული კანცლერი, რომელიც ათეული წლები მართავდა გერმანიას. ყველა აღიარებდა, რომ მან პოლიტიკაში და ეკონომიკაში სერიოზულ წარმატებას მიაღწია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გერმანელებმა შემდგომში გერჰარდ შრიოდერი აირჩიეს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპის ცივილიზებულმა ქვეყნებმა მშვენივრად იციან, რომ მთავრობის განახლება – ეს არის აუცილებელი მოვლენა, რომელიც ძლიერი ქვეყნის მშენებლობას უწყობს ხელს.

ჩვენ, სამწუხაროდ, ისეთ სიტუაციაში ვართ, სადაც ერთი და იგივე ხალხი აგერ უკვე ათწლეულებია გვაზის თავზე. მე პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ უკვე მეოთხე წრეზე მიდიან შევარდნაძის მოწაფეები. შევარდნაძის მოწაფეების ტყვეობაში ვართ აგერ უკვე 20 წელია. შემადგენლობა არ იცვლება და ეს არის ყველაზე ცუდი რამ.

***– ბატონო სანდრო, ვიდრე ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ჩავუღრმავდებოდეთ, მინდა, „მეცხრე არხთან“ დაკავშირებით გკითხოთ. თქვენი აზრით, რატომ მივიდა პრემიერი ამ გადაწყვეტილებამდე და საკუთარ არხს რატომ ხურავს?***

– რა თქმა უნდა, ცუდი მოვლენაა, როდესაც ტელეარხი იხურება, მაგრამ, აბსოლუტურად ნორმალურია ის, რომ პრემიერ-მინისტრს არ ჰქონდეს თავისი არხი ქვეყანაში. მე ვფიქრობ, ეს არის დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი და მე ბიძინა ივანიშვილის ამ ნაბიჯს საკმაოდ დადებითად და ნორმალურად ვაფასებ. თუ რა ბედი ელის შემდგომში „მეცხრე არხს“, მე ვფიქრობ, შესაძლებელია, ის სააქციო საზოგადოებადაც გარდაიქმნას, შესაძლებელია, რომ რაღაც სხვა კუთხით წავიდეს მისი მუშაობა. ბოლომდე მისი დახურვა, რა თქმა უნდა, არ იქნება არც მისასალმებელი და არც გასახარებელი, მაგრამ ის რომ მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატია განვითარდეს ჩვენს ქვეყანაში, ეს მისასალმებელია და ამის გამო ტაში უნდა დავუკრათ ბიძინა ივანიშვილს. ობიექტურები უნდა ვიყოთ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები და ტაში უნდა დაუკრან ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ საქართველოში არავის გადაუდგამს ნაბიჯი, უარი ეთქვას ტელევიზიაზე, რომელსაც ის აკონტროლებს, ან ფლობს. შემდგომში რა პროცესები მოჰყვება, ეს უკვე მეორე ნაბიჯია და მოდით, დაველოდოთ ამ მეორე ნაბიჯს.

***– „მეცხრე არხს“ არ ეტყობოდა, რომ ის პრემიერის ზეგავლენის ქვეშ იყო.***

– გეთანხმებით არ ეტყობოდა, მაგრამ მაინც ასე ჯობია, რომ ქვეყნის პირველი პირი მედიასაშუალებას არ ფლობდეს. ამაში თუ ვინმე შემეკამათება, იმ ადამიანთან ნამდვილად არ ვიკამათებ.

***– ბევრმა ასე გაიგო, რადგან პრემიერი მიდის პოლიტიკიდან, მას ტელევიზიაც აღარ სჭირდებაო...***

– არ ვიცი, ვინ როგორ გაიგო. საკითხს მრავალნაირი ინტერპრეტაცია შეიძლება მოუძებნო, მაგრამ რეალობა სხვა რამეა. მე ასე ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილმა ეს ნაბიჯი გადადგა იმიტომ, სურდა ყველასთვის დაენახვებინა, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები მიდის და ხელისუფლების წარმომადგენლებს საკუთარი ტელევიზიები არ უნდა ჰქონდეთ. ეს ძალიან კარგი ნაბიჯია.

***– ხუხაშვილს უნდა ამ ტელევიზიის ხელში ჩაგდებაო...***

– მოკლედ, ეს ხუხაშვილი... ჩემს ბავშვობაში იყო ფილმი „ფანტომასი“. ამ ფილის ერთ-ერთ გმირს მაგონებს –კომისარ ჟიუს. რა გითხრათ, აბა, როგორც თავად ხუხაშვილი აცხადებს, მას არაფერში მიუძღვის წვლილი და ამ დროს მთელი საქართველო საპირისპიროს ლაპარაკობს. სერიოზული „ნიჭიერება“ უნდა იმას, ცუდ საქმეს არ აკეთებდე და მთელი საქართველო გაბრალებდეს, რომ ცუდი საქმის მკეთებელი ხარ. ალბათ, ცუდი აურა აქვს ხუხაშვილს (იცინის). მე არ ვიცი, ხუხაშვილს უნდა ამ ტელევიზიის ხელში ჩაგდება თუ არ უნდა, მაგრამ, ყველგან რომ ცხვირს ყოფს ეს კაცი, ეს ცხადზე ცხადია. ვეღარ გავიგე, რამხელა ცხვირი აქვს ამ კაცს, რომ ყველაფერში ჩაყო. სხვათა შორის, სადაც კი ჩაყო ეს თავისი ცხვირი, ყველა საქმე გაფუჭდა. როგორც მე ვიცი, „მეცხრე არხის“ კოლექტივი იყო დამოუკიდებელი, თუმცა ხუხაშვილი ცდილობდა, ცხვირი ჩაეყო მათ საქმიანობაში. ის და მისი დამქაშები ხალხში სპეციალურად ავრცელებენ ჭორებს მის „უძლეველობაზე“. სინამდვილეში, ის არაფერია. ეს ყველაფერი მისი პიარის შემადგენელი ნაწილია. ის არ არის დონ კორლეონე, ის შეიძლება იყოს მისი პაროდია! მე ერთ რამეს ვიტყვი და ამით დავამთავროთ ხუხაშვილზე საუბარი – ხუხაშვილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის ბიძინა ივანიშვილზე მაგარია. ამის თქმა მე შემიძლია 100%-იანი დარწმუნებით. თუმცა ეს უსუსური მცდელობაა.

***– რაც შეეხება ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს, ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები და ამბობენ, რომ ამ ფონზე „ქართულ ოცნებას“ ბევრი მისი მომხრე ტოვებს. რა ხდება, რითია ეს განპირობებული?***

– ეს, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო სერიოზული თემაა. შემიძლია პირდაპირ გითხრათ, რომ ეს შემაშფოთებელი მოვლენაა. მე ვფიქრობ, ამ ყველაფერს გარკვეულწილად ახსნაც აქვს. ბატონმა ბიძინამაც ეს ისე უნდა დაინახოს, როგორც რეალობა. ე.ი ლაგოდეხი, გურჯაანი, ახმეტა, საგარეჯო, ყვარელი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, თბილისი, გორი, ზესტაფონი, ბაღდათი, წალენჯიხა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, აბაშა, ლანჩხუთი, მარტვილი... როდესაც ამდენ რაიონში არის სერიოზული პრობლემები „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ეს არის ყურადსაღები ფაქტი. ერთმა ჩემმა მეგობარმა ხუმრობით თქვა, გაერთიანებული ოპოზიციის მთავარ შეცდომას ვერ მივხვდით, დათო საგანელიძე და არმაზ ახვლედიანი უნდა შეგვეშვა ნაცმოძრაობაში ხელმძღვანელ პირებად და 9 წელი არ დაგვჭირდებოდა ნაციონალების დასამარცხებლად, სულ რამდენიმე თვეში დაშლიდნენ ნაციონალებსო. აგერ ოცნების პარტია ექვს თვეში დაშალეს და...

***– თქვენ ამ პროცესს პარტიის ხელმძღვანელობას აბრალებთ?***

– რა თქმა უნდა, ეს არის პარტიული ხელმძღვანელობის ბრალი! მათ ერთხელ უკვე მოახერხეს, ბიძინა ივანიშვილისთვის მიეტანათ არასწორი ხმები, რომ თითქოსდა აბაშის და რუსთავის ორგანიზაციის წევრები, რომლებიც საპროტესტო აქციას მართავდნენ ჩანერგილები იყვნენ. ახლაც დარწმუნებული ვარ, იმ ათასობით ადამიანზეც, რომლებმაც დატოვეს ოცნება, იგივე ინფორმაციები მიაქვთ. მე სათითაოდ ვიცნობ ამ ხალხს და ვიცი, მაგალითად, მაშინ როდესაც მემარჯვენეები მიხეილ სააკაშვილთან კოაბიტირებდნენ პარლამენტში, თანამდებობებს ირგებდნენ და თავიანთ საქმეებსაც იწყობდნენ, ის ხალხი, რომლებსაც ჩანერგილებს უწოდებენ, ფეხით ჩამოდიოდა თბილისში, რათა ოპოზიციის მიტინგებისთვის დაეჭირა მხარი. ამ ხალხს არც დაჭერა დაჰკლებია, არც 7 ნოემბერი, არც 26 მაისი, არც ტერორი, არც წამება და არც სხვა უბედურება. ეს იმ დროს, როდესაც ბევრი ადამიანი სავარძლებში კომფორტულად იყო მოკალათებული და მოვლენების განვითარებას უცდიდა ვინ გაიმარჯვებდა. როდესაც რვა თვის თავზე ასეთ ადამიანებს უშვებ შენი ორგანიზაციიდან, როდესაც გულანთებულ პატრიოტებს, თავგანწირულ ჯარისკაცებს, „ქართული ოცნების“ დამფუძნებლებს ყრი პანტაპუნტით და მათ ადგილას ნაცზონდერები მოგყავს, მაგალითისთვის პირდაპირ გეტყვით, გურამ მისაბიშვილისნაირი, შიხიაშვილისნაირი, გაბუნიასნაირი და ხაჩირიშვილისნაირი მედროვეები, ყოფილი მხედრიონელები, ავაზაკები და ათასი ჯურის ხალხი, მე ამას ნამდვილად ვერ ჩავთვლი დადებით მოვლენად. ტრანსფორმირებულ ნაციონალურ მოძრაობად უნდათ ვიღაცებს, რომ გადააქციონ „ქართული ოცნება“. ვინც ამაში ხელი შეუშალა, ისინი გაყარეს და მის ადგილას ნაცზონდერები მოიყვანეს. ამას კოაბიტაცია აღარ ჰქვია,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# პატრულის რიცხვი იზრდება

შორენა გონგლაძე

**მინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ ზესტაფონში პოლიციის ახალი შენობა გახსნა. მინისტრმა პოლიციის თანამშრომლებს საქმიანობაში წარმატებები უსურვა და განაცხადა, რომ ახალი შენობა დამატებით სტიმულს მისცემს მათ დაჯილდოებული მოვალეობების უფრო ეფექტურად შესრულებისთვის.**

პოლიციის ახალი, სამართლიანი, თანამედროვე სტანდარტების შენობა უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი.

ახალ შენობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე სამსახური – შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზესტაფონის რაიონული სამმართველო, დაცვის პოლიციის სამმართველო და შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო განთავსდება.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, შსს დასახულ ამოცანებს თავს წარმატებით ართმევს და ზოგადად, ამ თემაზე სპეკულაცია საფუძველს მოკლებულია.

ამის შესახებ ღარიბაშვილმა ქუთაისში, საპატრულო პოლიციის რებრენდინგთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. საპატრულო პოლიციის რებრენდინგი ამჯერად იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში განხორციელდა.

– პატრულს ექნება განახლებული ალკოტესტები. ჩვენ გავზარდეთ საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობა, ვაფართოვებთ პატრულირების არეალს და მომსახურების ზონას. ეს ყოველი ჩვენი ქვეყნის თანამოქალაქეების, სტუმრებისა და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი სამშობლოს წარმატებული მომავლისთვის კეთდება. მიუხედავად არაერთი გამოწვევისა, პოლიციაში არათუ ნელდება რეფორმების განხორციელება, არამედ პირიქით, ჩვენ ახალ განსხვავებულ ეტაპზე გადაგვყავს სამინისტროს სისტემის სრული შემადგენლობა. თანამედროვე, სამართლიანი და კანონიერი მართვა სამინისტროს თითოეული დანაყოფისა, შესაძლებლობას გვაძლევს, გავზარდოთ თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი პასუხისმგებლობისა და საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების ხარისხი. დასახულ ამოცანებს ჩვენ წარმატებით ვართმევთ თავს. ამაზე ჩვენ მიერ გაკეთებული საქმე მეტყველებს. ეს არის ფაქტი და ზოგადად, სპეკულაცია ამ თემაზე საფუძველს მოკლებულია. მე მინდა, პატრულის თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადაგიხადოთ იმ გმირული საქმიანობისთვის, რომელსაც ყოველდღე ასრულებთ. თქვენ ემსახურებით თქვენ ხალხს და სამშობლოს 24 საათის განმავლობაში და მე მჯერა, რომ თქვენი შრომა სათანადოდ იქნება დაფასებული ჩვენი მოქალაქეებისა და ქვეყნის მხრიდან, – განაცხადა ღარიბაშვილმა. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საპატრულო პოლიციის ავტოპარკი მთლიანად განახლდა და „შკოდას“ მარკის 25 ახალი ავტომანქანით შეივსო. ამასთან, აღნიშნულ რეგიონში საპატრულო პოლიციის სამოქმედო არეალი გაფართოვდა. საპატრულო ეკიპაჟები ქუთაისიდან ხონის და წყალტუბოს მიმართულებითაც, ცენტრალურ მაგისტრალზე დაიწყებენ პატრულირებას.

რეგიონში პატრულ-ინსპექტორებს სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვილი პოლიციის ახალი ფორმები, ალკოტესტები და სხვა აღჭურვილობა გადაეცათ.

შსს-მ საპატრულო პოლიციის რებრენდინგი თბილისსა და საქართველოს ოთხ რეგიონში უკვე განახორციელა.

მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მიუხედავად არაერთი გამოწვევისა, პოლიციაში არ ნელდება რეფორმების განხორციელება და სამინისტროს სისტემის სრული შემადგენლობა განსხვავებულ ეტაპზე გადადის. ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ქვეყნისა და მოქალაქეებისთვის გაწეული შრომისათვის. ღონისძიების შემდეგ მინისტრი ქუთაისის მოსახლეობას შეხვდა და გაესაუბრა. ღონისძიებას საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი დავით ცინარიძე და სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

მინისტრი ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში რუსი სამხედროების მიერ საქართველოს ხუთი მოქალაქის დაკავების ფაქტსაც გამოეხმაურა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დარწმუნებულია, რუსი სამხედროების მიერ გატაცებულ საქართველოს მოქალაქეებს მალე გაათავისუფლებენ.

„მოლაპარაკებებში მონაწილეობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი. დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე მოხდება მათი გათავისუფლება“, – განაცხადა მინისტრმა.

# არჩილ კბილაშვილი თანამდებობას ტოვებს?!

შორენა გონგლაძე

მთავარი პროკურორის გადადგომის შესახებ ინფორმაცია გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია კლუბ „თავისუფალ ზონის“ ინტერნეტგვერდზე გავრცელდა. „თავისუფალი ზონის“ ინფორმაციით, არჩილ კბილაშვილი მთავარი პროკურორის თანამდებობას ტოვებს. როგორც „მედიანიუსს“ კლუბის წევრმა, პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან კობა ხაბაზმა განუცხადა, ეს ინფორმაცია „თავისუფალ ზონას“ კონფიდენციალურმა წყარომ მიაწოდა.

– ორგანიზაცია მთავარი პროკურატურის პრესსამსახურსაც დაუკავშირდა, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია უარყო. თავად კბილაშვილთან დაკავშირება ვერ ხერხდება. დამატებით ინფორმაციას „თავისუფალი ზონა“ გამოაქვეყნებს“, – აღნიშნა კობა ხაბაზმა.

როგორც ორგანიზაციის ფეისბუკის გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში არის ნათქვამი, არჩილ კბილაშვილი თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილებას ორშაბათს საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადებს.

„თავისუფალი ზონა“ მთავარი პროკურორის პრეს-სპიკერს დაუკავშირდა. ხათუნა პაიჭაძემ განაცხადა, რომ პროკურორი სამუდამოდ კი არ მიდის, არამედ ერთკვირიან შვებულებაში გადის. „თავისუფალ ზონას“ პროკურატურიდან წყარომ დაუდასტურა, რომ კბილაშვილის გადაყენების საკითხი დღეს პრემიერ-მინისტრთან, ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმდა“, – ნათქვამია „თავისუფალი ზონის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# გიორგი გუგავა: „სადაზღვევო კომპანიები თანხებს ითვისებენ“

შორენა გონგლაძე

ჯანდაცვის სამინისტროში სადაზღვევო კომპანიებთან დაკავშირებული კორუფციული სქემა გრძელდება. ამის შესახებ „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. გუგავას განცხადებით, ისევე, როგორც წინა ხელისუფლების დროს, დღესაც სადაზღვევო კომპანიები ხალხის ხარჯზე მდიდრდებიან.

– ჯანდაცვაში კვლავ გრძელდება კორუფციული სქემების მოქმედება და სადაზღვევო კომპანიები ხალხის ხარჯზე თანხებს ითვისებენ. ერთ-ერთი გამოკვეთილი ასეთი არის „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“, რომელსაც გულის კლინიკის მიმართ ასი ათასობით დავალიანება გააჩნია. მოგეხსნებათ გულის დაავადებას დროზე სჭირდება მანიპულაციები და როდესაც სადაზღვევო არ იხდის თანხას, რისკის ქვეშ დგება მათი სიცოცხლე. ზოგადად ნახევარი მილიარდი გამოყოფილია ვითომდა ბიუჯეტიდან, რეალურად კი ეს არის ბიუჯეტიდან თანხების მოპარვის სქემა, – აცხადებს გუგავა.

გიორგი გუგავა მეცხრე არხის დახურვის თემასაც შეეხო, მისი შეფასებით, ბიძინა ივანიშვილის მიდგომა ტელეკომპანია მეცხრე არხთან დაკავშირებით მიუთითებს იმაზე, რომ პრემიერ მოვლენებს მისი ინტერესების მიხედვით აფასებს.

– ბატონი ივანიშვილი როგორც მილიარდერი და ქარვასლის მეპატრონე, ამ პროცესებს უყურებს „ძია მატარივით“ მოგებაწაგების თვალსაზირით. ის იქცევა არა საზოგადოების ინტერესებიდან, არამედ მისი ყულაბის ინტერესებიდან გამომდინარე. მეცხრე არხს ჰქონდა ერთჯერადი ფუნქცია და ამ ფუნქციის შესრულების შემდეგ ივანიშვილმა ადვილად მიახურა ზედ. იგივე დამოკიდებულება აქვს მთელი ქვეყნის მიმართ. მისი მიდგომა არის მარტივი – გადაიხადე-გადააგდე, – აცხადებს გუგავა.

## ტელევიზიის მყიდველი იქნება ათასობით ადამიანი, სხვანაირად ფული ვერ შეგროვდება

ეკონომიკის ექსპერტის დემურ გიორხელიძის განცხადებით, მე-9 არხის მყიდველი ათასობით ადამიანი იქნება.

როგორც მან ,,მედიანიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, სხვანაირად ფული ვერ შეგროვდება და ეს იქნება პირველი საჯარო, ღია ტიპის სააქციო საზოგადოება, სადაც ყველა ადამიანი იქნება წევრი ამ საზოგადოებისა თავისი მცირე წილებით. სამეთვალყურეო საბჭო დაიქირავებს მენეჯმენტს, რომელიც მართავს ტელევიზიას იმ პრინციპების საფუძველზე, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების ინტერესებს.

,,სატელევიზიო სივრცეში არის სერიოზული პრობლემა. ყველა ტელევიზიას აქვს საკუთარი მიმართულება. ეს მათი უფლებაა. საზოგადოება დარჩენილია დაუკმაყოფილებელი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ აზრი აქვს ასეთ ინიციატივას. ეს არ იქნება, რომელიმე კერძო პირის ან ჯგუფის ტელევიზია. ეს იქნება ქართველი ხალხის ტელევიზია“, – განაცხადა გიორხელიძემ და დასძინა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი შეიძლება დარჩეს როგორც ხელისუფლების მიერ სპონსორირებად ტელევიზიად.

მისი თქმით, მართალია საზოგადოებრივი მაუწყებელი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ბიუჯეტი საზოგადოების თანხებია, მაგრამ ინსტიტუციონალურად ვერ ხერხდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბლოკირება, რომ ის არ გამოიყენონ პოლიტიკური ინტერესებისთვის. ხალხის საკუთრებაში არსებული ტელევიზია ასეთი გავლენისაგან შორს იქნება და ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ის იყოს.

,,მთავარი იქნება ტელევიზიის მფლობელის გადაწყვეტილება, რომ ის გადაეცეს სააქციო საზოგადოებას. შეთანხმების გაფორმების შემდეგ, თანხების შეგროვება ტექნიკური საკითხია და ის პრობლემებთან არ იქნება დაკავშირებული. ასეთი ოპერაციის განხორციელება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში თვეების განმავლობაში მიმდინარეობს“, – აღნიშნა გიორხელიძემ.

მედიანიუსი

## ტელევიზიების დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად, მისი ხალხისთვის გადაცემაა საჭირო

რაც მეტია ტელევიზია, მით მეტია დემოკრატია. ამიტომ უნდა შენარჩუნდეს ,,მეცხრე არხი“ და ,,ინფო 9“ , – ამის შესახებ უფლებადამცველმა ლაშა ჩხარტიშვილმა ,,მე-9 არხის“ აქციონერთა ჯგუფის წევრობის მსურველთა შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, ტელევიზიები დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად მისი ხალხისთვის გადაცემაა საჭირო, რადგან საზოგადოების ყველა სფეროს წარმომადგენლებს ეყოლებათ თავისი წარმომადგენელი საბჭოში, რომელიც მართავს აღნიშნულ ტელევიზიებს.

,,თუ პრემიერი მიიღებს ჩვენს წინადადებას, ეს იქნება მისი მხრიდან ისტორიული ნაბიჯი საქართველოს დემოკრატიული განვითარების მიმართულებით. მოქმედ ჟურნალისტებს და ოპერატორებს უნდა ჰქონდეთ გარანტი იმისა, რომ შეინარჩუნებენ სამუშაო ადგილებს, რადგან ისინი იბრძოდნენ ურთულეს პერიოდში და ამისათვის მათ საზოგადოებამ მორალური ვალი უნდა გადაუხადოს“, – განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.

მედიანიუსი

# ტელევიზიების სარეკლამო შემოსავალმა 4.3 მილიონი ლარით იკლო

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო,“ 2013 წლის პირველ ნახევარში ტელევიზიების შემოსავლების კლებას, სამთავრობო ცვლილებებს მიაწერს. მათი თქმით, ტელევიზიების ბიუჯეტის კლება, პოლიტიკური გაურკვევლობის შედეგია, რამაც კერძო სექტორის სარეკლამო დანახარჯების კლება და ზოგადად, ეკონომიკური ზრდის შენელება გამოიწვია. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციის თქმით, რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ, სარეკლამო კამპანია 2013 წელს დაგვიანებით დაიწყო, რაც ზოგიერთ ტელევიზიასა და სარეკლამო სააგენტოში, მფლობელებისა და ხელმძღვანელობის ცვლილებებს უკავშირდებოდა.

როგორც ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, „მეცხრე არხმა“ არსებობის მანძილზე ვერ შეძლო მნიშვნელოვანი სარეკლამო შემოსავლების მოზიდვა და უმეტესად მფლობელის (არადეკლარირებული) შემოწირულობებით გაჰქონდა თავი.

შედარებისთვის, 2013 წლის იანვარი-მაისის პერიოდში „მეცხრე არხმა“ მხოლოდ 379 333 ლარის შემოსავლები მიიღო (აქედან 312 827 ლარი სარეკლამო შემოსავალია), მაშინ როცა „მაესტრომ“ ამავე პერიოდში 1.3 მილიონი ლარის შემოსავლების (მთლიანად რეკლამიდან) მოზიდვა შეძლო. მათივე თქმით, წლის დასაწყისში დაფიქსირებული დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლები და შემცირებული სარეკლამო ბაზარი დამატებითი გამოწვევა იქნება „მეცხრე არხის“ ფინანსურად მდგრად ბიზნესად გარდაქმნის პროცესში.

რაც შეეხება სხვა ტელევიზიების შემოსავლების მოცულობას, ორგანიზაციის კვლევის თანახმად, 2013 წლის თებერვალი-მაისის პერიოდში კერძო ტელევიზიებმა 21 751 009 ლარის ოდენობის შემოსავლების დეკლარირება მოახდინეს, რაც წინა წლის იმავე თვეების შემოსავლებს დაახლოებით, 4.3 მილიონი ლარით ჩამოუვარდება. აღნიშნული თანხების 93% ტელეკომპანიებმა სარეკლამო შემოსავლებიდან მიიღეს.

ასე გამოიყურება საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისიისგან მიღებული მონაცემები, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოითხოვა.

შეგახსენებთ, რომ სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებს ყოველთვიურად მარეგულირებელ კომისიაში შემოსავლების დეკლარირება ევალებათ.

,,როგორც აქამდე ავღნიშნავდით, არსებობს ეჭვი, რომ ტელევიზიები, განსაკუთრებით კი „მეცხრე არხი“, რომელსაც პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ოჯახი ფლობს, მარეგულირებელ კომისიაში არასრულ მონაცემებს წარადგენენ. კერძოდ, ისინი თავიანთ დეკლარაციებში არ აღრიცხავენ მფლობელების მიერ განხორციელებულ შემოწირულობებს. ზოგიერთი ტელევიზია უფრო დეტალურ ინფორმაციას აწვდის მარეგულირებელს და შემოსავლებს რამდენიმე კატეგორიაში ანაწილებს (რეკლამა, სპონსორობა, გადაცემის განთავსება და საეთერო დროის გაყიდვა და ა.შ.) სხვა ტელევიზიები კი მხოლოდ მთლიან შემოსავალს წარადგენენ ან შემოსავლები ერთი კატეგორიიდან მეორეში გადააქვთ“ – ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ კვლევაში.

ნოუსპრესი

# ბობოყვათის რეზიდენცია ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს

.ბობოყვათის რეზიდენცია ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და სამხედროებს დასასვენებლად გადაეცემათ. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციაში განაცხადა. მან იქ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახის წევრები დასასვენებლად მიიპატიჟა და მათ საკუთარი ოჯახის წევრებთან ერთად გაუმასპინძლდა. „ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენცია თავის დროზე იყო ცეკას მდივნის რეზიდენცია, მერე – ასლან აბაშიძის, მერე — საქართველოს პრეზიდენტის. რეზიდენცია, სადაც მე საკმაოდ იშვიათად ვჭერდებოდი და ბოლო ერთი წელი პრაქტიკულად არც ვყოფილვარ, გადავცეთ დასასვენებელ სახლად ომში დაღუპულების ოჯახის წევრებს ისევე, როგორც ჩვენი შეირაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებს. პატარა შეცვლა დასჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ აქ დადიოდნენ ჩვენი სამხედროები თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, დადიოდნენ სხვადასხვა სამხედრო ოპერაციაში დაჭრილები რეაბილიტაციისთვის და იმ სამხედროების ოჯახის წევრები, ვინც თავი შესწირა სამშობლოს“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მდიანიუსი

2013, 24 — 25 აგვისტო, №200

# ჟურნალისტებმა ბიძინა ივანიშვილს მიმართეს

შორენა გონგლაძე

მეცხრე არხის დახურვის თემა აგვისტოს მეტეო და პოლიტტემპერატურასთან შედარებით უფრო მაღალი გამოდგა. ლუბა ელიაშვილსა და ივანიშვილს შორის რომ შავმა ფისუნიამ გაისეირნა, ეს უკვე თვალნათლივ ჩანს. ივანიშვილმა ორი დღე უყურა ტელევიზიის დახურვის გადაწყვეტილებით გამოწვეულ ვაი-უშველებელს და როდესაც ყველაფერი ზღვარს გასცდა, უკვე თავდაცვის სისტემები მოქმედებაში მოიყვანა. ივანიშვილის თქმით, ის, რომ მისი განცხადების შემდეგ მეცხრე არხმა მაუწყებლობა შეწყვიტა, ეს მისთვის შოკი იყო. პრემიერმა ჟურნალისტების ეს ქმედება თავისებურად ახსნა და თქვა, რომ ასეთი რამ მხოლოდ არაპროფესიონალებს თუ მოუვიდოდათ თავშიო და იქვე დაამატა, ბიზნესიდან და სიენენიდან არც ერთი ჟურნალისტი არ გადმოსულა, უმეტესობა უმუშევარი იყო და იმაზე მეტ ხელფასს იღებდნენ, ვიდრე სხვა რომელიმე ტელეკომპანიის ჟურნალისტებიო. იმაზე დავა, მეცხრე არხზე ჟურნალისტების რა პროცენტი იყო პროფესიონალი და რა პროცენტი ბიძაშვილ-მამიდაშვილობის ინსტიტუტის წყალობით ძალად გაჟურნალისტებული, ამაზე ლაპარაკი ჩემგან არაკორექტული იქნება. მოკლედ, ბიძინა ივანიშვილის ბრალდებებს მაშინვე უპასუხა არხის გენერალურმა დირექტორმა ლუბა ელიაშვილმა და თქვა, რომ თანამშრომლების მაღალი ემოციური ფონიდან გამომდინარე, არხის გათიშვის გადაწყვეტილება პირადად მიიღო და იქვე დაამატა, რომ არხზე ნამდვილი პროფესიონალი, ვარსკვლავები მუშაობდნენო. ამ ყველაფრის პარალელურად გავრცელდა ინფორმაცია, რომ არხის შეძენით „ომეგა ჯგუფის" დამფუძნებელი ზაზა ოქუაშვილია დაინტერესებული და ორივე მხარე სულ მალე მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდებიანო. ოქუაშვილის ეს სურვილი ელიაშვილისთვის ნამდვილი ხსნაა და მისი ასეთი თამამი პასუხები ივანიშვილის მიმართაც ამით შეიძლება ავხსნათ. მანამდე კი ბიძინა ივანიშვილს სააგენტო ინფო 9-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ყოფილი ტექნიკური დირექტორი წინადადებით მიმართავს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„პირადად ბატონ ბიძინა ივანიშვილს!

„ინფო 9"-ის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ყოფილი ტექნიკური დირექტორის, ბაკურ სვანიძის საქმიანი წინადადება და ოფიციალური მიმართვა.

ბატონო ბიძინა, თურმე მთელი წელიწადი ატარებდით ექსპერიმენტს „მეცხრე არხის" სახით, რომელიც თქვენივე თქმით, დაახლოებით 10 მილიონი დაგჯდომიათ...

შედეგი არის ნულს ოდნავ ზემოთ რეიტინიგი და გასაცოდავებული „ტელევიზია"... სულ სამი-ოთხიოდე თვით, მაგ ექსპერიმენტს არ გააგრძელებდით?

გთავაზობთ ასეთ რამეს – დროებითი მართვის უფლებით გადმოგვეცით ეგ ტელევიზია იმ მენეჯერებს, რომლებიც „ინფო 9"-ის პროექტს პირველი დღიდან ვაკეთებდით... და რომლებიც „ტვ 9"-სთან ახლოს არ მიგვაკარა „დეკაბრისტულმა" ხელმძღვანელობამ...

ვიმუშავებთ თვეში იმის მეხუთედი დაფინანსებით, რასაც ამ ერთწლიანი გაუმართლებელი ექსპერიმენტის დროს ყოველთვიურად ხარჯავდით თურმე...

ასეთ შემთხვევაში: ვერც ვერავინ იტყვის – „ივანიშვილმა ეს ხალხი გამოიყენა და გადააგდოო", ვერც იმას იტყვიან, რომ პრემიერ-მინისტრი ტელევიზიის მფლობელიაო, და შედეგს რაც შეეხება – საახალწლოდ კონკრეტული შედეგი თუ არ იქნება და „მეცხრე არხის" რეიტინგი თუკი შესამჩნევად არ მიუახლოვდება „რუსთავი 2"-სას, მზად ვართ ამ ოთხი თვის განმავლობაში დახარჯული ფული, როგორც ვალი, ნელ-ნელა, ყოველთვიურად, საბანკო კრედიტივით დაგიბრუნოთ უკან!

და თუკი გავამართლებთ, მაშინ უკვე წარმატებული ტელევიზია ერთად გავყიდოთ საახალწლოდ!

დამიჯერეთ – წარმატების შემთხვევაში, „მეცხრე არხს" აუცილებლად ეყოლება მყიდველიც და მაყურებელიც!

მეტი საქმიანი წინადადება რაღა ვთქვა?

აბა, იქნებ დაგიჯდეთ ჭკუაში, რომ ეგ ერთწლიანი და საფუძველშივე უაზრო ექსპერიმენტი ასე აზრიანად გააგრძელოთ... არა? მაშინ – მე ბოდიში!

– ნათქვამია მიმართვაში.

შეგახსენებთ, რომ ბაკურ სვანიძის და მისი ტექნიკური ჯგუფის დახმარებით 2012 წლის მაისში დაკომპლექტდა საინფორმაციო სააგენტო „ინფო9", ამავე ჯგუფის მეშვეობით ხორციელდებოდა ყველა ტექნიკური საკითხის მოგვარება, ასევე პირდაპირი ჩართვები მოვლენების ეპიცენტრიდან, რაც ქართული საინფორმაციო სააგენტოს ისტორიაში პირველი პრეცედენტი იყო.

სვანიძის მიმართვას მხარს უჭერს „ინფო 9"-ს ძველი კოლექტივის დიდი ნაწილი.

# ვინ აკონტროლებს ციხეებს — ნაციონალების სქემა

შორენა გონგლაძე

**სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერს აკაკი მინაშვილს სატელევიზიო დებატებში იწვევს. ამის შესახებ განცხადება თალაკვაძემ „პრაიმ-ტაიმის" პრესცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა, სადაც წინა ხელისუფლების პირობებში ციხეებში არსებული მძიმე მდგომარეობა შეაფასა. თალაკვაძის თქმით, წინა რეჟიმის პირობებში ციხეებში ადამიანები გაუსაძლის ვითარებაში იმყოფებოდნენ და ე.წ. მატროსოვის დაწესებულებასაც კი კრიმინალური ავტორიტეტები მართავდნენ.**

– ჩვენ არა თუ არ ვთანამშრომლობთ კრიმინალურ ავტორიტეტებთან, არამედ აქტიურად ვებრძვით მათ და ამის დამადასტურებელი არის სოზარ სუბარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც საუბარია 5 თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლებაზე, კრიმინალურ ავტორიტეტებთან თანამშრომლობის მოტივით. კრიმინალური ავტორიტეტების პრობლემა ეს არის პრობლემა, რომელიც არსებობს დაწესებულებებში, ამის აღმოსაფხვრელად ჩვენ შემუშავებული გვაქვს სტრატეგია, რომელიც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ითვალისწინებს, სადაც კრიმინალური ავტორიტეტები იქნებიან ცალკე დაწესებულებებში მოთავსებული. რაც შეეხება ბატონი მინაშვილის პრეტენზიებს, მე მზად ვარ დავჯდე მასთან ერთად ნებისმიერ სატელევიზიო დებატში, რათა დავუმტკიცო სინამდვილე, – აცხადებს თალაკვაძე და დასძენს, რომ სამინისტროს და სახელმწიფო ბიუჯეტს წინა ხელისუფლების პირობებში ნაცემი, გაუპატიურებული და ნაწამები ადამიანების მკურნალობა საკმაოდ სოლიდური თანხები უჯდება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გამოქვეყნებულ სქემასთან დაკავშირებით, რომელიც კრიმინალების მიერ ციხის მართვას ასახავდა, კომენტარი გააკეთა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა სოზარ სუბარმაც. მინისტრის თქმით, გავრცელებული ინფორმაცია აბსურდული და სასაცილოა.

– მაყურებლები, რომლებიც „ნაციონალებმა" ამა თუ იმ ციხეებში დაასახელეს, იმ ციხეში საერთოდ არ სხედან. დასახელებულების უმრავლესობა გადაკეტილია ცალკე საკანში და ვერანაირად ვერ იქნება მაყურებელი. როდესაც აკაკი მინაშვილი ლაპარაკობს საერთო რეჟიმზე, კანონმდებელია და უნდა იცოდეს, რომ საერთო რეჟიმი გაუქმდა 4 წლის წინ და ასეთი ცნება არ არსებობს ქართულ იურისპრუდენციაში. ეტყობა, 4 წლის წინანდელი მაყურებლები ახსოვს მას. როდესაც საუბრობს სასადილოს და საქვაბის მაყურებელზე, ეს სასაცილოა, რადგან ასეთი რამ არ ყოფილა არასდროს, – აცხადებს სოზარ სუბარი. მისივე თქმით, „ნაციონალებმა" მემკვიდრეობით ახლანდელ მთავრობას 700-მდე მაყურებელი დაუტოვა, მათ შორის 200-მდე ძალიან გავლენიანი.

– ეს იყო, რაც მე დამხვდა, ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც 2012 წლის ოქტომბერში აწყობდნენ არეულობებს რუსთავის №16 დაწესებულებაში, ასევე ქსანში. მათი უმრავლესობა დღეს არის გადაკეტილი და ვერანაირ გავლენას სხვა პატიმრებზე ვერ ახდენს. ნაწილი გაშვებულია და იმალებიან, სახლიდან ვერ გამოდიან, იმიტომ, რომ ეშინიათ სხვა პატიმრების შურისძიების, რადგან ისინი ადმინისტრაციის დავალებით, აუპატიურებდნენ და სცემდნენ სხვა პატიმრებს, – აცხადებს სასჯელაღსრულების მინისტრი.

შეგახსენებთ, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთავარ ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა მინაშვილმა, სადაც კრიმინალური ავტორიტეტების მხრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებების მართვის სქემა გამოაქვეყნა.

მინაშვილის ინფორმაციით, სასჯელაღსრულების სამედიცინო დაწესებულებას, ე.წ. რეზბალნიცას კანონიერი ქურდი ტარიელ ფოცხვერია, მეტსახელად ტარასა მართავს. ქსნის ციხეს მართავენ მურმან ტვილდიანი, იგივე ხალვა, ასევე ირაკლი მალანია, იკო ნოზაძე, კახა გურგენიძე და ედგარ მამედოვი. პარტიის ინფორმაციით, ქსნის ციხეში, საერთო რეჟიმს ლაშა ქებურია „უყურებს", კარცერს – ზაქრო ჯანგულაშვილი, სასადილოს – ჯაბა ხოსბერუაშვილი და ავთანდილ თავაძე, ხოლო სამედიცინო ნაწილს – გიორგი ილდანი.

გამოქვეყნებული სქემის მიხედვით, ე.წ. ტუბზონას მართავს კრიმინალური ავტორიტეტი არმაის გრიგორიანი, იგივე მაისა. ნაციონალური მოძრაობის მიერ გამოქვეყნებული სქემის მიხედვით, გეგუთის კოლონიას ლაშა კვანტალიანი აკონტროლებს. რუსთავის №17 დაწესებულებას კი მართავენ გელა ტერტერაშვილი და კირილე ფხაკაძე, რომელიც, მათივე ცნობით, ორი პოლიციელის მკვლელობისთვის არის გასამართლებული. ამავე სქემის თანახმად, გლდანის ციხის ე.წ. მაყურებლები ზურაბ ნონიაშვილი და ზურაბ ბრეგაძე, იგივე პრაკოლა, არიან. ზურაბ ბრეგაძე გაეროს თანამშრომლის მარია ბრილსკას მკვლელობისთვისაა გასამართლებული.

# სამინისტრო კვერცხის იმპორტზე განცხადებას ავრცელებს

სოფლის მეურნეობის სამინისტრო იმპორტირებული კვერცხის გაზრდილ მაჩვენებელთან დაკავშირებით ბოლო დროს გავრცელებულ ინფორმაციაზე განცხადებას ავრცელებს.

მასში ნათქვამია, რომ საქართველოში სასურსათო კვერცხის მოხმარება წელიწადში ნახევარ მილიარდზე მეტ ცალს შეადგენს.

წინა ხელისუფლებას, კანონისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების სრული დარღვევით, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების ზეწოლით და დაშინების აპრობირებული მეთოდის გამოყენებით სასურსათო კვერცხისთვის ჩაკეტილი ჰქონდათ საზღვარი. შესაბამისად, ქვეყანაში მხოლოდ საინკუბაციო კვერცხი შემოდიოდა.

ახალი ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა კვერცხის იმპორტზე სრულიად უკანონო შეზღუდვა მოხსნა.

2013 წლის 19 მაისს, მთავრობის სხდომაზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციერებით, გავიდა ცვლილება სამ სამთავრობო დადგენილებაში, კერძოდ №90-ში, №426-სა და №429-ში. აღნიშნული ცვლილება ძალაში 11 ივნისს შევიდა. გამკაცრდა ხარისხის კონტროლი მაღალი რისკის შემცველი პროდუქციის (მათ შორის კვერცხის) იმპორტზე; დადგინდა ამ პროდუქციის ტრანსპორტირების, შენახვის, იმპორტისა და ტრანზიტის წესები. ხოლო №90-ე დადგენილებით განისაზღვრა კვერცხის მარკირების ვალდებულება, რაც მოიცავს კვერცხზე მისი დადების თარიღისა და მწარმოებელი ქვეყნის დატანას, ასევე, განისაზღვრა კვერცხის ვარგისიანობის ვადა 30 დღით 0-დან 10 ცელსიუს გრადუსამდე პირობებში შენახვის დროს და 21 დღით ჩვეულებრივ პირობებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვერცხის ვარგისიანობის ვადის დადგენის წესი მხოლოდ 2012 წლის აპრილში განისაზღვრა.

როგორც სამინისტრო აღნიშნავს, პირველ ეტაპზე (დეკემბერი – ივნისი), როდესაც კვერცხის იმპორტზე უკანონო შეზღუდვა მოიხსნა, ხოლო ახალი რეგულაციები ჯერ კიდევ არ იყო შესული ძალაში, ქვეყანაში იმპორტი გაიზარდა და ბაზარზე შემოვიდა 13,000,000 ცალი კვერცხი, აქედან, დიდი ნაწილი სასურსათო. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მარტო თბილისის მოსახლეობა დღეში, დაახლოებით, 1 მლნ ცალ კვერცხს მოიხმარს, ხოლო დანარჩენი საქართველოსიც ამდენივეს, აღმოჩნდება, რომ საქართველოში იმპორტირებულია მხოლოდ 7-8 დღის მარაგი. ქვეყანაში კვერცხის იმპორტის 700%-იანი ზრდა დაფიქსირდა, რაც უკანონო შეზღუდვების გაუქმებამ გამოიწვია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციების მიღების შემდეგ, იმპორტულ კვერცხს გაუჭირდება ადგილობრივ პროდუქტისთვის კონკურენციის გაწევა, რადგან მინიმუმ 10-14 დღეა საჭირო ტრანსპორტირებისთვის და, შესაბამისად, ბიზნესრისკები გაზრდილია. შეზღუდვების მოხსნის პირველ ეტაპზე იმპორტის ზრდის დიდმა მაჩვენებელმა ბოლო პერიოდში მკვეთრად დაიკლო, რაც კვერცხის ხარისხის მკაცრმა კონტროლმა განაპირობა. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 9 თვის განმავლობაში ქსელიდან ამოიღო და გაანადგურა 700 ათას ცალზე მეტი ვადაგასული სასურსათო კვერცხი.

ქვეყნის მოსახლეობის დამოკიდებულება ადგილობრივი პროდუქტის და, ამ შემთხვევაში, ქართული კვერცხისადმი გაცილებით ლოიალურია. შესაბამისად, მოსახლეობა ქართულ პროდუქტს ანიჭებს უპირატესობას. ივნისიდან ბაზარზე მარკირებული კვერცხის გაყიდვა მოსახლეობას არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს – შეიძინოს იმპორტირებული თუ ადგილობრივი წარმოების პროდუქტი.

მდიანიუსი

# სანდრო ბრეგაძე: „ქართულ ოცნებას" საგანელიძე და ახვლედიანი შლიან"

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ეს არის პოლიტიკური ქორწინება.

***– და ამ ყველაფერს უშვებს ბიძინა ივანიშვილი?***

– მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს კერძო ინიციატივებით ხდება. ივანიშვილისთვის ეს დეტალები ცნობილი არ არის. საკუთარი პარტიის წევრები რომ შენს ფიტულს დაწვავენ, პირველ რიგში შენ უნდა მიხვიდე იმ ხალხთან და გაიგო, რამ მიიყვანა ამ მდგომარეობამდე ეს ხალხი. სასაცილოა, რომ დღეს ვილაცები პატარა ბიძინაობას იჩემებენ. ხალხს ამის არ სჯერა და ისინი, უბრალოდ, სასაცილოები არიან.

ქართველ ხალხს არაფრის და არავისი არ ეშინია, პირველი ოქტომბერი სწორედ ქართველმა ხალხმა მოიტანა და არა ამ ვითომ ქვეყნის პატრიოტებმა. არ შეიძლება, გურამ მისაბიშვილისნაირი კაცი უჭერდეს მხარს გიორგი მარგველაშვილს. ეს მისთვის სერიოზული კომპრომატია და მარგველაშვილს ხმებს თუ დააკარგვინებს, თორემ არაფერს შემატებს. ვინც ახლა მარგველაშვილს ამას უკეთებს, რომ მისაბიშვილს უყენებს გვერდზე, მე არ ვიცი, ის რამდენად კეთილის მსურველია ან მარგველაშვილის, ან „ქართული ოცნების". მე კარგად მახსოვს მისაბიშვილი, როდესაც მან მოიყვანა ნაცზონდერები, შემდეგ მათ დიდი მანქანით მოუტანა რიყის ქვები, რათა „ქართული ოცნების" აქციის მონაწილეებისათვის დაეშინათ. მე მახსოვს ეს ადამიანი, როდესაც კუდის მუშაკებთან ერთად გვითვალთვალებდა სენაკში, რათა „ქართულ ოცნებას" არჩევნებზე წარმატებისთვის ვერ მიეღწია. ადამიანები, რომლებისთვისაც ბიძინა ივანიშვილი პირველ ოქტომბრამდე მოღალატე იყო, მაგალითად, შიხიაშვილისთვის, ნიკო ხაჩირიშვილისთვის, გურამ მისაბიშვილისთვის და ზაზა გაბუნიასთვის და მე ამ სიტყვებზე პასუხს ვაგებ! ბიძინა ივანიშვილი იყო რუსეთის აგენტი, მოღალატე, პუტინის კაცი და საქართველოს დასაქცევად მოსული ადამიანი. როდესაც რვა თვის თავზე ასეთ ადამიანებს შენი პარტიის პოლიტიკურ ლიდერებად აქცევ, მე არა მგონია, რომ ეს რაიმე წარმატების მომტანი ნაბიჯი იყოს. მით უმეტეს, რომ ხალხმა ყველაფერი იცის, ყველაფერი ნახა და გაარკვია. მე დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ არმაზ ახვლედიანსა და დავით საგანელიძეს ეს მცდელობები არ გამოუვათ. „ქართული ოცნებიდან" ათასობით ადამიანი გაიქცა და პირდაპირ გეტყვით, რომ ამას ბიძინა ივანიშვილს უმალავენ. მივიდნენ მასთან და მოატყუეს – წავიდა ადამიანთა მცირე ჯგუფი, დანარჩენი კი ოცნების წევრები არ ყოფილანო. არადა, ყველა მათგანი ოცნების წევრი იყო. „ქართულ ოცნებაში" სიტუაცია სასწრაფოდ გამოსასწორებელია და ეს ახლავე უნდა გამოსწორდეს, თორემ ამის შედეგებს სულ მალე, შემოდგომაზე მოვიმკით!

# სოფიო ხორგუანი: „მე არ ვფიქრობ, რომ ახალაია სასამართლომ გაამართლა“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ საინფორმაციო პორტალ „პლანეტა-გე“-ს დირექტორ სოფიო ხორგუანთან

*– ბატონი კბილაშვილის განცხადებით, ახალაია შესაძლოა გათავისუფლდეს. სასამართლომ განაჩენი ადვოკატებს უკვე გადაუგზავნა. საზოგადოებაში ეს ამბავი უკვალოდ არ ჩაივლის და პროტესტს გამოიწვევს. თქვენ როგორ შეაფასებთ არსებულ ვითარებას?*

– მოვლენების ასეთ განვითარებას შესაძლოა უკუშედეგი მოჰყვეს, მაგრამ, ვფიქრობ, სასამართლოს ეყოფა კეთილგონიერება, რომ არ მიიღოს პოლიტიკურად ანგაჟირებული გადაწყვეტილება. ეს შეიძლება არ იყოს ხელისუფლების სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება, არამედ იყოს იმ ადამიანების ინტერესებში, რომლებიც ჯერ კიდევ აკონტროლებენ სასამართლო ხელისუფლებას საქართველოში. მე ვერ ვიტყვი ვერც მთავარ პროკურორზე და ვერც ამ საქმეზე მომუშავე პროკურორებზე, რომ მათ არ ჰყოფნით პროფესიონალიზმი და მტკიცებულებებს ვერ აგროვებენ. დარწმუნებული ვარ, რომ პროკურატურა სასამართლოზე არანაირ ზეწოლას არ ახდენს. ეჭვი მაქვს მხოლოდ იმ ადამიანებზე, რომლების წინაშეც ეს მოსამართლეები ვალში არიან. იყვნენ ისეთი მოსამართლეები, რომლებიც იღებდნენ გადაწყვეტილებებს პროკურატურის ბრძანებით. აწყობილი სისტემა იყო, პროკურატურა იმეილით აგზავნიდა დასკვნას ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, მოსამართლეები კი მხოლოდ აფორმებდნენ მას. ნატოს სამიტზეც ითქვა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა ჩვენს ქვეყანაში სერიოზული საფრთხის წინაშე იყო. სახალხო დამცველის შეფასება იყო, რომ სასამართლო არის პროკურატურის ნოტარიუსად გადაქცეული. იმედი მაქვს, სასამართლო გათავისუფლდება პოლიტიკური ანგაჟირებულობისგან.

*– ერთ-ერთმა რესპონდენტმა გამოთქვა ვარაუდი, რომ კუბლაშვილს ჰყავს რამდენიმე მოსამართლე, რომლებსაც აძლევს განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებს განსახილველად და ისინი მთლიანად მისი ნდობით არიან აღჭურვილი.*

– კი ბატონო, არიან ასეთი მოსამართლეები და მათი ვინაობა ყველამ ვიცით, ქიბარ ხალვაშის, გირგვლიანის, ვაზაგაშვილისა და სხვა გახმაურებული საქმეების განმხილველი მოსამართლეების ვინაობა ჩემთვის ცნობილია. მთავარი იყო ის, რაც თქვა მთავარმა პროკურორმა, რომ პროკურატურა არანაირ ზეწოლას არ მოახდენს სასამართლოზე, მან თქვა, რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს მოსამართლე, ეს იქნება მისი გადაწყვეტილება. პროკურატურამ ყველა მტკიცებულება წარადგინა, მაგრამ დასკვნას იძლევა მხოლოდ მოსამართლე. მთავარი გზავნილი კბილაშვილის მხრიდან არის ის, რომ მისი უწყება არ იქნება ზურაბ ადეიშვილის დროინდელი პროკურატურა. ბევრი საუბრობს სამართლიანობის აღდგენაზე, ის რომ გვეცოდინება, ახალაიას, დავუშვათ, მიუსაჯეს ოცდაათი წელი ან მრაბიშვილს უვადო პატიმრობა, ეს არის სამართლიანობის აღდგენა? ეს საკმარისი არ არის, ქონების წართმევა ისე მოხდა, და იმდენჯერ გაიყიდა ეს ქონება, რომ ამ სამართლიანობის აღდგენა ურთულესი პროცესი იქნება. ბევრი ინფორმაცია მაქვს ახალაიაზე, როცა ის თანამდებობას ბოროტად იყენებდა ადმინისტრაციულ საქმეებშიც, როცა მის კაბინეტში ხდებოდა ბიზნესის გადაფორმება, მიუხედავად ამისა, ის რომ ციხეში იჯდეს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამართლიანობა აღდგა. ვისაც ქონება წაართვეს, მისთვის ამით არაფერი შეიცვლება.

*– მაგრამ იმ პატიმრებისთვისაც არაფერი შეიცვლება,*

*ვინც ციხის ბუნტის დროს თვითმხილველი იყო ახალაიას ქმედებებისა, თუ ისინი დარწმუნდებიან, რომ ახალაია სასჯელს იხდის?*

– მათთვის ამას დიდი მნიშვნელობა ექნება, მაგრამ ერთია რიგითი ადამიანის საუბარი და მეორეა, რას ამბობს მთავარი პროკურორი. ის ამბობს, რომ აგროვებს მტკიცებულებებს და იცავს კანონს.

*– არასამთავრობოები მიიჩნევენ, რომ არასაკმარისი იყო მტკიცებულებები და არ იყო იურიდიულად დასაბუთებული, ამიტომაც მოხდა ამ განაჩენის გამოტანა.*

– მე არ ვფიქრობ, რომ ეს ასეა, ეს საქმე ისევ არის სასამართლოზე, ერთი მოწმით საქმე არ განიხილება. მე ვერ ვიტყვი, რომ პროკურორების არაპროფესიონალიზმის ბრალია რაიმე, ისევ პოლიტიკურად ანგაჟირებულ სასამართლოსთან გვაქვს საქმე. თუ ვინმე მიუვარდება მოსამართლეს, ამას გამართლება არ ექნება, ჩვენ უნდა დავიცვათ ის მოსამართლე.

*– სამხედრო პირების წამების ეპიზოდში ახალაია სასამართლომ გაამართლა, მაგრამ არის ციხის ბუნტის ეპიზოდი. როგორ ფიქრობთ, ეყოფათ გამბედაობა იმ პატიმრებს, მისცენ სასამართლოზე ჩვენება, როგორც მოწმეებმა?*

– მე არ ვფიქრობ, რომ რომელიმე საქმეზე ახალაია გამართლდა. პირველ ინსტანციაში რომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა მოსამართლემ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალაია გამართლდა. ჩვენ კიდევ ორი ინსტანცია გვაქვს. სანამ არ გვექნება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ახალაია გამართლდა, მანამდე ეს ხმამაღალი ნათქვამია. მე მაქვს ბევრი ინფორმაცია ჩემი სახალხო დამცველის მოადგილედ ყოფნის პერიოდში და მას შემდეგაც, მისი საქმიანობის შესახებ, სასამართლოს ყველა ინსტანცია გასავლელია. პანიკის საფუძველი არ არის, რა თქმა უნდა, დაზარალებულ მხარეს ეჩქარება, დაინახოს დასჯილი ის ადამიანი, რომელმაც მას ცხოვრება დაუნგრია, მაგრამ სიჩქარე არ არის საჭირო. გაწელილი პროცესი იქნება, მაგრამ კანონთან იქნება შესაბამისობაში მოყვანილი. მიმდინარეობს ჯანსაღი პროცესები ქვეყანაში, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი გამოდის და იცავს ადვოკატების უფლებებს, ეს ჯანსაღი პროცესია. შევარდნაძისა და ჟვანიას დროს პოლიტიკა კულუარებში განიხილებოდა. დღეს ყველა პროცესი ღიად მიმდინარეობს. კულუარული პოლიტიკა მე არ მომწონს, მაგრამ სივრცე ღია გახდა.

*– ზურაბ ხარატიშვილის გადადგომის გადაწყვეტილებაზე და მის განცხადებაზე მემარჯვენე ცენტრის შექმნაზე მინდა გკითხოთ. თქვენ რას ფიქრობთ, მერაბიშვილი დგას მის უკან?*

– ამ გადაწყვეტილებაში კატასტროფულს ვერაფერს ვხედავ. დღეს ღია რომ არის სივრცე, ეს მომწონს. აი, ბატონო, ბურთი და მოედანი და გამოჩნდება, ვინ რისი გამკეთებელია. ვინც უნდა იდგეს მის უკან, ვნახოთ, რისი გამკეთებელია. როგორც ცესკოს თავმჯდომარე, დიდი არაფრის გამკეთებელი იყო, როგორც პოლიტიკოსი, ვნახოთ, რას იზამს. იქნება ქართულ პოლიტიკაში ხარატიშვილი და რა ფორმით, ამით არ ვფიქრობ, რომ პოლიტიკას რაიმე მოემატება ან დააკლდება. მნიშვნელოვანია, ვინ იქნება ცესკოს ახალი თავმჯდომარე. არასამთავრობოებმა წარადგინეს კანდიდატურა ამ პოსტზე. ვნახოთ, როგორ იმუშავებს ის ადამიანი. მთავარია, პრეზიდენტი, პარლამენტი და პოლიტიკური პარტიები როგორ დაალაგებენ ვითარებას იმისათვის, რომ საარჩევნო პროცესი სწორად წავიდეს. დღეს ეს უფროა საინტერესოა. ძალიან მისაღებია ჩემთვის ის, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატი არ იყენებს შავი პიარის ტექნოლოგიას, განსხვავებით მისი კონკურენტებისგან. ისიც მისაღებია, რომ არც ერთ კანდიდატს არ აქვს პრეტენზია, რომ მას მხარს უჭერდნენ 90%-ით. გაცილებით მეტად მაღელვებს სიღატაკე, რომელიც ქვეყანაშია და განათლების დაბალი დონე. იმის განცდა არ მაქვს, რომ შევარდნაძის ეპოქაში ვბრუნდებით და კანონიერი ქურდები დაიწყებენ პროცესების მართვას. ვიღაც კრიმინალს ექნება მცდელობა, რომ მოითხოვოს წილი ბიზნესმენისგან, მაგრამ კარგია, როცა ბიზნესი ხმას იღებს და ახლა ეს პროცესი მიმდინარეობს. ბიზნესმენები აღარ არიან ჩუმად. არც იუსტიციის მინისტრი და არც სხვა თანამდებობის პირები არანაირად არ შეეგუებიან იმას, რომ საქართველოში კრიმინალების დრო დაბრუნდეს. მართლა კონკურენტუნარიანი გარემოა როგორც პოლიტიკაში, ასევე ბიზნესში და სხვა სფეროებში. არ მახსოვს, წინა ხელისუფლების დროს რომელიმე თანამდებობის პირს ეთქვას, რომ უარს ამბობს მის მიერ კონტროლირებად ტელევიზიაზე. ახლა ჩვენ ამის მოწმენი ვართ. პრემიერ-მინისტრის გაბედული ნაბიჯი იყო ტელევიზიაზე უარის თქმა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა ამით მისი რეიტინგი დაცემულიყო. ძალიან მძიმეა სიღატაკე და განათლების დონე, პედაგოგების სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები. აი, ეს არის ნამდვილი ტრაგედია და საგანგაშო ვითარება ამაშია. მრჩეველი საგარეო ეკონომიკაში არ უნდა ამბობდეს, რომ ტელევიზიების ასეთი რაოდენობა საჭირო არ არის. ეს მისი საქმე არ არის.

*– ხუხაშვილის ეს განცხადება დემოკრატიას ნამდვილად არ წასწევს წინ. ამაზე მისმა თანამოაზრეებმა უნდა მოახდინონ რეაგირება.*

– დიახ, გეთანხმებით, ეს ნამდვილად არ არის ეკონომიკური მრჩევლის საქმე, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი არაერთხელ აცხადებდა, რომ მედიას თავისუფლების საშუალება უნდა მიეცეს, მედიასა და ბიზნესს, ასევე სასამართლოს არავინ უნდა შეეხოს. ქართულ პოლიტიკაში დამთავრდა იმ ადამიანების დრო, ვინც ცდილობს, კულუარებში აკეთოს პოლიტიკა.

*– მეცხრე არხის დახურვის პარალელურად, „მაესტროში“ მიმდინარე პროცესების მოწმენი გავხდით. მამუკა ღლონტმა განაცხადა, რომ ხელისუფლების ერთი ნაწილი „მაესტროს“ წინააღმდეგ შეთქმულებაშია ჩართული და „იმედზე“ ჟურნალისტების ნაწილის გადასვლა მოწმობს, რომ ვიღაცას სურს „მაესტროს“ განადგურება.*

– ეს საკითხიც საჯარო გახდა. მამუკა ღლონტი წლებია იბრძვის დამოუკიდებლობისთვის. ის რომ ამაზე საუბრობს, ესეც პროგრესის მაჩვენებელია. სწორი გზით წავიდა და კულუარებში არ დაიწყო საუბრები ვიღაცებთან. მას სურს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. თუ ხელისუფლება ამაში არ ჩაერევა, ეს პროცესები ჯანსაღად წავა. დარწმუნებული ვარ, მამუკა ღლონტი ამ ომსაც მოიგებს.

*– არასამთავრობო სექტორმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყო „მეცხრე არხის“ გადარჩენასთან დაკავშირებით. თქვენი აზრით, შეძლებენ ისინი ამ არხის საზოგადოებრივ ტელევიზიად გადაქცევას?*

– ეს არის ჩვეულებრივი ბიზნესი და ბუნდოვნად მაქვს წარმოდგენილი, როგორ უნდა მართონ ეს ტელევიზია საზოგადოებრივმა ჯგუფებმა. ამ ბიზნესსაც სჭირდება დოტაცია, მაგრამ არა სახელმწიფოდან. არ იყო მისაღები, როცა წინა ხელისუფლება რამდენიმე ტელევიზიას სახელმწიფო ვალებს ჩამოაწერდა. ტელევიზია ძვირი სიამოვნებაა. რეკლამით რამდენად მოხდება მისი შენახვა, ეს ძნელი სათქმელია.

*– „რუსთავი 2-მა“ შეიძლება მფლობელი შეიცვალოს. ამაზე ბოლო დროს ხშირად საუბრობენ. ამაზე ყურადღებას ამახვილებენ ნაციონალებთან დაახლოებული ადამიანები. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?*

– „რუსთავი 2-მა“ ბევრჯერ შეიცვალა მფლობელი, თანაც იძულებითი ფორმით. მთავარია, ეს კანონის ფარგლებში იყო დარეგულირებული. საშიში იყო მაშინ, როცა ხელისუფლება ერეოდა და წილებს იღებდა.

*– „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დამთავრდება კოაბიტაციის პროცესი. როგორ განვითარდება პროცესი მაშინ, როცა სააკაშვილი პრეზიდენტობიდან წავა?*

– დამთავრდება ეს პროცესი, რა თქმა უნდა, როცა ხელისუფლება ამბობს, რომ მისი კანდიდატი გაიმარჯვებს და ამ შემთხვევაში, თუ ეს ასე მოხდება, აღარ მოუწევს კოაბიტაცია სააკაშვილთან და მის თანაგუნდელებთან. დღეს ეს კოაბიტაცია იძულებითი ფორმაა ურთიერთობისა. რადგან სააკაშვილი პრეზიდენტია, მასთან უწევთ ურთიერთობა. სავარაუდოდ, „ქართული ოცნების“ კანდიდატი მარგველაშვილი გაიმარჯვებს.

*– დაბოლოს, საზოგადოების მაღალი ინტერესი ჩანს ჟვანიას გარდაცვალების თაობაზე მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით. ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს იქნება სერიოზული გამოწვევა ახალი ხელისუფლებისთვის. არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ, სააკაშვილი ციხეში იხილონ სწორედ ამ საქმესთან დაკავშირებით. თუ გამოძიება ვერ დაადგენს სააკაშვილის კავშირს ამ საქმესთან, ეს რას გამოიწვევს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ კბილაშვილის განცხადებას, რომ არის პროგრესი ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით?*

– წინასაარჩევნოდ ვერ ვხედავ იმის პირობას, რომ რომელიმე გახმაურებული საქმის გახსნა მოხდეს. ამის საფუძველს მაძლევს ივანიშვილის გადაწყვეტილება თუნდაც იმის თაობაზე, რომ ის ტელევიზიაზეც კი ამბობს უარს, მმართველი პარტია წინასაარჩევნოდ ამ საქმეებს თავის სასარგებლოდ არ გამოიყენებს. უფრო მეტიც, ცვლილება შეიტანეს კანონში, რაც ზღუდავს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას საარჩევნო კამპანიის დროს. პირაქციისთვის ამ გახმაურებულ საქმეებს არ გამოიყენებენ იმისათვის, რომ ქულები ჩაიწერონ. სხვა ტიპის წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს მმართველი პარტიის მხრიდან და არა შავი პიარის აგორება სააკაშვილის წინააღმდეგ. სექტემბერში ბევრი საინტერესო რამ მოხდება, ხოლო არჩევნების შემდეგ ბევრი რამ შეიცვლება. საინტერესო გადახალისება მოხდება მთავრობაშიც.

# ნათხოვარი თუ ნაჩუქარი სახელმძღვანელოები?!

როლანდ ხოჯანაშვილი

განათლებისა და მეცნიერების ახალმა მინისტრმა 5 აგვისტოს გამოცემული ბრძანებულების საფუძველზე გვამცნო ახალი რეგულაცია მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ. პროლეტარულ-საბჭოურ გადმონაშთად მონათლული აქცია, მოსწავლეებს გადასცემოდა წიგნები, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს მარგველაშვილის მინისტრობის პერიოდშივე. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ ოპონენტებმა, რომ ბევრად მეტი ნიუანსი იქნებოდა გასაკრიტიკებელი. ვისაც საბჭოურ პერიოდში უსწავლია, ახსოვს, რომ 1 სექტემბერს აუცილებლად გადასცემდნენ სკოლაში სახელმძღვანელოების სრულ პაკეტს. თითქმის ყველა წიგნი ან ახალი იყო, ან კიდევ იმდენად კარგი, რომ მას მოსწავლეები არ იწუნებდნენ. ის წიგნები იმდენად კარგი ხარისხის ფურცელზე იყო დაბეჭდილი, რომ ახლა მონატრება მეუფლება მასზე ნაბეჭდის წაკითხვისა. თუ ადამიანს ყნოსვა კარგად აქვს განვითარებული, ახლანდელი წიგნების უმეტესობის გადაშლისას აუცილებლად მგელივით ეცემა არასასიამოვნო სუნი, რომელიც იმ საღებავს აქვს, რომლითაც წიგნი დაიბეჭდა თუ დასურათდა.

კომუნისტებისვე პერიოდიდანვე გვახსოვს არადემოკრატი და ავტოკრატი დირექტორის, კლასის ხელმძღვანელის, საგნის მასწავლებლისა და ბიბლიოთეკარის მკაცრი გაფრთხილება: წიგნს გაუფრთხილდით, თორემ პასუხისმგებლობა აქ აგცდებათო. დამშინებლების თვალსაწიერიდან მოცილებისთანავე ვიწყებდით მიკუთვნებულ წიგნებზე ფაქსიმილეს დასმას არა მარტო თავფურცელზე. თითქმის ყველა თავისუფალ ადგილას გვქონდა ჩვენი მონიშვნები. ბუნებრივია, მაშინ წიგნის დატაცების თავიდან ასაცილებლად არ ვაკეთებდით ამას, უბრალოდ, კერძომესაკუთრის აღტკინება იყო ჩვენი საქციელი (მაშინ კერძომესაკუთრეობის დეფიციტი გახლდათ და ამ აქტით კომპენსაციას ვაკეთებდით, იცით ჩემი თქმის გარეშეც). სასწავლო წლის ბოლოს ჩვენს ნაწერებს გულდაგულ მუქი მელნით გადავღებავდით, ვითომც ამით წიგნის დათხუპვნას ლიკვიდაციას ვუკეთებდით.

დღევანდელი მოსწავლეების უმეტესობისთვის ავტოკრატიული მმართველობა არ არსებობს. თუ ავტოკრატი შევა სკოლაში, მათ მოსწავლეები მალე ავიწყებენ ამ ,,შესაშურ“ თვისებას და, თავისთავად, მკაცრპირობებიანი ხელშეკრულება ან გაფრთხილება ,,ნაჩუქარ“ წიგნებს ვერ დაიცავს.

განათლების მინისტრმა, სახელმძღვანელოების გადაცემის წესთან ერთად, მათი მოვლის შეფასების კრიტერიუმებიც დაამტკიცა და გვამცნო, რომ სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობა ფასდება 15-ქულიანი სკალით. სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის შეფასების კრიტერიუმებია:

1. ყდის მდგომარეობა: დაუზიანებელი – 5 ქულა; უმნიშვნელოდ დაზიანებული – 4 ქულა; დაზიანებული, თუმცა სასწავლო პროცესში გამოყენებადი – 3 ქულა; მნიშვნელოვნად დაზიანებული, შიგთავსს დაცილებული – 1 ან 2 ქულა.

2. სახელმძღვანელოს სისუფთავე: მარკირების გარეშე – 5 ქულა; უმნიშვნელოდ მარკირებული – 4 ქულა; მარკირებული, თუმცა სასწავლო პროცესში გამოყენებადი – 3 ქულა; მნიშვნელოვნად მარკირებული, სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად გამოუსადეგარი – 0 ქულა.

3. სახელმძღვანელოს გვერდების მდგომარეობა: დაუზიანებელი – 5 ქულა; უმნიშვნელოდ დაზიანებული – 4 ქულა; დაზიანებული, მაგრამ სასწავლო პროცესში გამოყენებადი – 3 ქულა; დახეული, არ იკითხება შინაარსი და სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად გამოუსადეგარი – 0 ქულა.

ამ სამი პუნქტის მიხედვით, ყველაზე მეტი ,,დაწოლა“ მაინც ყდას მოუვა. რაც შეეხება მარკირებას, არც ეს არის მოულოდნელი და მესამე შედარებით ნაკლებად საგულისხმოა, რადგან, მწარე რეალობაა, მოსწავლეთა უმეტესობა არც იკლავს თავს წიგნის გადაფურცვლით.

მოსწავლეს გამოსაყენებლად შეიძლება გადაეცეს არანაკლებ 9 ქულით შეფასებული სახელმძღვანელო. საინტერესოა, ის წიგნები, რომლებიც უკვე საჯარო სკოლებში არსებობს წინა წლებიდან (სოციალურად დაუცველი მოსწავლეები ბოლო პერიოდი დროებით სარგებლობაში ღებულობდნენ სახელმძღვანელოებს) და უკვე მათი არსებობის შესახებ იცის სამინისტრომ (ამის შესახებ საჯარო სკოლებმა ინფორმაცია გასცეს კარგა ხანია), როგორც ვარგისი სახელმძღვანელოების შესახებ, რამდენად აკმაყოფილებენ მინიმუმ 9 ქულიან სკალას?! არ დაგვავიწყდეს კიდევ ისიც, რომ ზოგიერთი სახელმძღვანელო ერთჯერადია. სამაგალითოდ თუნდაც სამოქალაქო განათლების წიგნები ავიღოთ. პრაგმატული პედაგოგები ბევრჯერ წიგნში ჩასაწერ გვერდებზე ფანქრით ამუშავებენ მოსწავლეებს, მაგრამ ეს ყველა შემთხვევაში არ ხდებოდა.

ცალკე დავიდარაბა იქნება სექტემბერში წიგნების გადაცემა მოსწავლეებზე. პრეტენზიული მშობლები და მოსწავლეები აუცილებლად მოინდომებენ ახალ წიგნებს. სკოლის დირექტორები ვალდებული არიან, სახელმძღვანელოების მშობლებზე ანდა კანონიერ წარმომადგენელზე გადაცემისას დადონ მათთან ხელშეკრულება (მოსწავლეებთან, მათი არასრულწლოვანების გამო ხელშეკრულება ვერ დაიდება). იმ სკოლებს, რომლებსაც ჰყავთ ათასობით მოსწავლე, ადვილი წარმოსადგენია, რა აურზაურში მოუწევთ ჩაბმა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# პროფესიული განათლების მიღების მსურველები ტესტირებას გაივლიან

მერი ნამორაძე

პროფესიული განათლების მიღების მსურველებს პროფესიული უნარების ტესტის ჩაბარება მოუწევთ. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლების პროფკავშირი ასეთ ინიციატივას ეწინააღმდეგებოდა და აცხადებდა, რომ ანალოგიური შერჩევა სხვაგან არსად ხდება, განათლების სამინისტრომ მაინც გადაწყვიტა, ამა თუ იმ პროფესიის დაუფლების მსურველებს მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა აუცილებელ პირობად დაუსახოს და შემდეგ მისცეს უფასოდ სწავლის უფლება.

როგორც განათლების სამინისტროში გუშინ გამართულ ბრიფინგზე მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, 25 აგვისტოს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია იწყება. ახალი სასწავლო წლიდან ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება სასურველ პროფესიას ტურიზმის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მომსახურებისა და სხვა მიმართულებით, სახელმწიფო დაფინანსებით დაეუფლოს. სტუდენტები სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ 19 პროფესიულ და 14 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადამზადდებიან, სადაც პროფესიული პროგრამები ხორციელდება.

თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისი პროფესიული სტანდარტითაა განსაზღვრული. ამა თუ იმ პროგრამის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს მინიმუმ 6 თვე და მაქსიმუმ 2,6 წელი. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირადობის მოწმობით, საქართველოს მასშტაბით არსებულ თბილისის, ქუთაისისა და ქობულეთის საინფორმაციო ცენტრებში, 70 რესურსცენტრსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ 33 დაწესებულებაში.

რეგისტრატორები აპლიკანტებს მიაწვდიან ინფორმაციას როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული პროფესიული პროგრამების შესახებ. მიმდინარე წელს რეგისტრაციის პროცესში მონაწილეობის სურვილი 25-მდე კერძო კოლეჯმა გამოთქვა, შესაბამისად, აპლიკანტებს შესაძლებლობა ექნებათ საინფორმაციო ცენტრებსა და რესურსცენტრებში დარეგისტრინდნენ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაწესებულებების მიერ შემოთავაზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. რეგისტრაცია 2013 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, პროფესიული განათლების დამწყებმა აპლიკანტმა, რომელმაც სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება შეარჩია, უნდა გაიაროს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული უნარების ტესტი, რომელიც ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას ემსახურება. განათლების სამინისტროში განმარტავენ, რომ ტესტირების მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა უნარები და შესაძლებლობები გამოავლინოს. შესაბამისად, ტესტირების შედეგების მიხედვით ჩარიცხვის ბარიერი არ არსებობს. სახელმწიფო დაფინანსებით, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში უფასო განათლების მიღების შესაძლებლობა კი ექნებათ იმ აპლიკანტებს, რომლებიც ჩაირიცხებიან კონკურსის საფუძველზე და ტესტირებისას გადალახავენ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებაში არსებულ კონტინგენტს, რომელთაც სურთ უკვე დაწყებული პროფესიული განათლების გაგრძელება და კონკრეტული საფეხურიდან შემდგომ საფეხურზე გადასვლა, (იმ შემთხვევაში, თუ ეს საფეხური არ წარმოადგენს პროფესიის პირველად საფეხურს განხორციელებული ცვლილებების შედეგად) მათ ტესტირებას უზრუნველყოფს თავად საგანმანათლებლო დაწესებულება, დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ტესტირებისა და დაფინანსების ამგვარი სქემა ეხება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. კერძო პროფესიულ სასწავლებლებში კი ჩარიცხვა ხორციელდება დამოუკიდებლად, ამავე სასწავლებლების მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

ტესტების ნიმუშები 25 აგვისტოდან პროფესიული განათლების ვებპორტალსა და ეროვნული გამოცდების ცენტრის ვებ გვერდზე განთავსდება.

# სასწრაფო დახმარების მძღოლები ხელფასის კლებას აპროტესტებენ

მერი ნამორაძე

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურში სიმშვიდე ისევ დაირღვა. ამჯერად სასწრაფო მანქანების მძღოლებმა აიმაღლეს ხმა უფლებების და ხელფასის დასაცავად. მათ „მუქარა“ შეასრულეს და გუშინ საგანგებო სიტუაციების სამსახურის წინ გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. მძღოლები ხელფასების კლებას აპროტესტებდნენ, რაც სამუშაო განრიგის ცვლილებით არის გამოწვეული. როგორც მძღოლებმა განაცხადეს, მას შემდეგ, რაც მათ განრიგში ცვლილებები შევიდა და ყოველი მესამე დღის მაგივრად, ყოველ მეოთხე დღეს უწევთ მორიგეობა, ხელფასები შეუმცირდათ.

პრობლემის გადასაჭრელად ტრანსპორტის პროფკავშირიც ჩაერთო. როგორც ტრანსპორტის პროფკავშირების თავმჯდომარემ, ლავრენტი ალანიამ აღნიშნა, მძღოლები ითხოვენ დარჩეს იგივე პირობები, რაც სამ დღეში ერთხელ მორიგეობისას ჰქონდათ სანამ ახალი ბიუჯეტი არ დამტკიცდება. გარდა ამისა, არის დაჯარიმებები, ფაქტობრივად ხელფასიდან აკლდებათ მძღოლებს თანხები. არსებული სიტუაციის გამოალაპარაკებლად დირექციას დიალოგი შესთავაზა.

მძღოლები მათი მოთხოვნების არშესრულების შემთხვევაში გაფიცვას არ აპირებენ, თუმცა შესაბამის ზომებს სხვადასხვა ინსტანციებში აუცილებლად გააჟღერებენ.

მათი თქმით, მუშაობენ 24 საათის განმავლობაში და თვეში არის 10 მორიგეობა. დირექციის მიერ გატარებული ცვლილებების შემდეგ კი ათის მაგივრად იქნება 7 მორიგეობა და, შესაბამისად, 255 ლარით ნაკლები ხელფასები, რადგან მათ ანაზღაურება საათობრივი მუშაობის შესაბამისად ეძლევათ. აქციიდან რამდენიმე წუთში მძღოლები, რომლებიც აქციას მართავდნენ, ხელმძღვანელობამ მოსალაპარაკებლად დაიბარა.

# ნათხოვარი თუ ნაჩუქარი სახელმძღვანელოები?!

დასაწყისი მე-4 გვერდზე

დამტკიცებული წესების მიხედვით, მოსწავლე ვალდებულია, რომ: სახელმძღვანელოები გამოიყენოს მხოლოდ სასწავლო პროცესის მიზნებისათვის; არ გადასცეს სახელმძღვანელო სხვა პირებს; უზრუნველყოს სახელმძღვანელოს მთლიანობის დაცვა; გაუფრთხილდეს სახელმძღვანელოებს: არ დააზიანოს, არ ჩაკეცოს ფურცლები, არ გააკეთოს მინაწერები და სხვა. ამ ვალდებულებას კი მოსწავლე მხოლოდ მშობლის (მეურვის) მკაცრი კონტროლით თუ განახორციელებს.

,,კუკარაჩაში“ ქალბატონი ანიკოს რეპლიკისა არ იყოს, მშობლებსაც მოუწევთ პირობის დადება და აღსრულება. ისინი ვალდებული არიან, უზრუნველყონ მოსწავლის მიერ სახელმძღვანელოების გამოყენება მხოლოდ სასწავლო პროცესის მიზნებისათვის და სახელმძღვანელოების სათანადო მოვლა-პატრონობა; არ დაუშვან მოსწავლის, ასევე ნებისმიერი პირის მიერ სახელმძღვანელოების გადაცემა მესამე პირებისათვის; აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობონ შესაბამისად საჯარო ან კერძო სკოლას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზიანებულ სახელმძღვანელოზე პასუხისმგებლობა დაეკისრება მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს; ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლისთანავე, ასევე მოსწავლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მობილობის განხორციელების ან მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში, სკოლას დაუბრუნონ სახელმძღვანელოები გათვალისწინებული სკალის მიხედვით არაუმეტეს 3 ქულით გაუარესებულ მდგომარეობაში.

თუ მშობელმა ვერ უზრუნველყო შვილის მიერ სახელმძღვანელოს სათანადოდ პატრონობა, მაშინ ზემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ასევე სახელმძღვანელოს დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში მოსწავლის მშობელი ვალდებულია, ჩაანაცვლოს სახელმძღვანელო იდენტური შინაარსისა და რედაქციის სახელმძღვანელოთი (მე თქვენ გეტყვით და ბაზარზე არ გაიყიდება!). წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდა ობიექტური, განსაკუთრებული შემთხვევებისა, მას ერთმევა უფლება, რომ მიიღოს უფასოდ სახელმძღვანელოები მომდევნო წელს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგება კი არა, ეს უფრო თხოვებაა, მაგრამ საქართველოში მცხოვრები სასკოლო ასაკის ბავშვებიანი ოჯახებისათვის ასეულობით ლარის ეკონომია კი გამოდის მაინც, რაც პრემიერის რჩეულ მარგველაშვილს საარჩევნო პროცესში ნამდვილად წაადგება.

# თბილისში ჯილეხით დაავადებული ხორცი იყიდებოდა

მერი ნამორაძე

სურსათით მოვაჭრეების მცდელობა, ლაბორატორიის გვერდის ავლით გაასაღონ ხორცპროდუქტები, ისევ ფიქსირდება. ამჯერად საქმე ჯილეხით დაავადებულ ხორცს ეხება, რომლითაც მომხმარებელიც დაავადდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩის №135-ში მდებარე აგრარული ბაზრის („დეზერტირები 2012“) ხორცის სექციაში ჯანმრთელობისათვის საშიში სურსათის რეალიზაციის ფაქტი გამოავლინეს. მოქალაქე, რომელმაც საქონლის ხორცი აღნიშნულ სექციაში შეიძინა, ჯილეხით დაავადდა და ამჟამად სტაციონარულ მკურნალობას გადის, ხორცი კი კვლევისთვის ლაბორატორიაშია გადაგზავნილი. მოვაჭრის განცხადებით, მან ნავთლუღის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიძინა 15 კგ ხორცი, რომელიც ლაბორატორიის გვერდის ავლით და, შესაბამისად, ფორმა №2-ის გარეშე შეიტანა „დეზერტირები 2012“-ში.

ინდმეწარმე „გრიგოლ სარალიძე“, რომელსაც აგრარული ბაზრის ხორცის სექცია იჯარით აქვს აღებული, დაჯარიმდა 1000 ლარით, ხორცის სარეალიზაციო სექციები კი დაილუქა. „დეზერტირები 2012“-ში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებამდე ხორცის რეალიზაცია შეწყვეტილია. უახლოეს დღეებში შესაძლოა, დაიხუროს „დეზერტირების“ ბაზრის მიმდებარე ე. წ. გვირაბიც. სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ხორცპროდუქტების შეძენისას აუცილებლად მოითხოვონ ფორმა №2.

გუშინ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა თბილისის საწარმოებში მორიგი გეგმური ინსპექტირების განხორციელებისას 2 საწარმოს საწარმოო პროცესი შეუჩერეს. საწარმოებისთვის, რომლებშიც არაკრიტიკული შეუსაბამობები აღმოჩნდა, გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები და ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაწესდა კონკრეტული ვადები, ხოლო ორს – შპს „ბაბილონსა“ (თევზი და თევზის პროდუქტების გადამამუშავებელი წარმოება) და შპს „XXI +ერისთავს“ (ხორცის პროდუქტების რეალიზაცია) შეუჩერდა საწარმოო პროცესი და დაჯარიმდა 1000-1000 ლარით. მათ კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე ჩამოერთვათ მუშაობის გაგრძელების უფლება.

რაც შეეხება ქვეყანაში შექმნილ ეპიზოოტიურ მდგომარეობას, წელს ქვეყანაში არსებული რისკების გათვალისწინებით, ჯილეხის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია განხორციელდა ჯილეხის დაავადებაზე არაკეთილსაიმედო ზონებში. როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში ამბობენ, პროფილაქტიკური მიზნით ვაქცინირებულია 136 914 ცხოველი. მათ შორის, 74 646 სული მსხვილფეხა, 61 420 სული წვრილფეხა პირუტყვი და 848 სული ცხენი.

2012 წელს ჯილეხის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია წლის პირველ ნახევარში არ განხორციელებულა. დაავადების გამოვლინების შემთხვევებში ჩატარდა ცხოველთა იძულებითი ვაქცინაცია. როგორც სააგენტოში ამბობენ, მიმდინარე წელს გასული წლის საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებით აღინიშნა დაავადების შემთხვევების კლების ტენდენცია 34 პროცენტით, რასაც ცხოველთა პროფილაქტიკურ ვაქცინაციას უკავშირებენ.

# ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეები წახალისების გარეშე დარჩნენ

მერი ნამორაძე

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეებს თბილისის საკრებულომ „სიურპრიზი“ მოუმზადა. თავმჯდომარეები თბილისის ბიუჯეტიდან წახალისებას ჯერჯერობით ვეღარ მიიღებენ. დედაქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით, წახალისება დროებით შეჩერდა. ამის შესახებ ჟურნალისტებს საკრებულოს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, დავით ჯინჭარაძემ განუცხადა. სად წავა ის თანხები, რომელსაც ქალაქის ბიუჯეტი თავმჯდომარეების წასახალისებლად იყენებდა? საკრებულოს გადაწყვეტილებით ავარიული სახლების შეკეთებას მოხმარდება.

რამდენიმე დღის წინ საკრებულოს თავმჯდომარე შიხიაშვილი აცხადებდა, რომ ზუსტად არ არის ცნობილი, რამდენი ავარიული სახლია დედაქალაქში და ზედაპირული დათვალიერებით მიღებული ინფორმაციით მათი რაოდენობა 300-ს აჭარბებდა. ამიტომ 3 მილიონი ლარი საკრებულომ მხოლოდ პასპორტიზაციისათვის გამოყო, რომელიც მერიის სამსახურებთან თუ დამოუკიდებელ ექსპერტებთან ერთად უნდა ჩატარდეს ავარიული სახლების ზუსტი რაოდენობის დასადგენად. ამ ფონზე სულაც არ არის გასაკვირი, თუ მეტი თანხების მობილიზებას შეეცდება საკრებულო ავარიული სახლების შესაკეთებლად, თუნდაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეების ფულადი წახალისების შეჩერების ხარჯზე.

როგორც დავით ჯინჭარაძემ განაცხადა, უსამართლობაა, როდესაც ერთი კონკრეტული ადამიანი წყვეტს, ვის უნდა ჰქონდეს წახალისება და რამდენი, და ვის არა. მისი თქმით, პარტიული აქტივი თბილისის ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდეს.

– გაირკვა, რომ თავმჯდომარეების წახალისება არაერთგვაროვნად ხდება. ადამიანებს, რომლებიც ერთნაირად მუშაობენ, თანაბარი წახალისება უნდა ჰქონდეთ, – განაცხადა ჯინჭარაძემ.

მისივე თქმით, შემდეგი წლის ბიუჯეტში ისე გაიწერება თანხები, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეებს თანაბარი რაოდენობის ხელფასები ჰქონდეთ.

– აქტიურად ვაწარმოებთ მოლაპარაკებას არქიტექტორებთან. ისინი იძლევიან გარანტიას, რომ ამ შენობებს, რესტავრაციის შემდეგ, 20-30 წლის განმავლობაში, საფრთხე არ დაემუქრება, – განაცხადა ჯინჭარაძე. მისივე თქმით, ისანი-სამგორისა და ნაძალადევის რაიონებში ძალიან ბევრი ავარიული სახლია და მნიშვნელოვანია, რომ ეს პრობლემა დროულად მოგვარდეს.

სხვათა შორის, საკრებულო მწვავე ავარიული სახლების გასამაგრებლად სამუშაოების ჩატარებას ტენდერის გამოცხადებამდე გეგმავს, რათა ავარიულობა ფორსმაჟორული წესით მოიხსნას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩეს.

# რატომ თქვეს რეჟისორებმა უარი გოჩა კაპანაძესთან მუშაობაზე?

ეკა ირემაშვილი

რეჟისორი და მსახიობი გოჩა კაპანაძე ახალ თეატრალურ სეზონს ახალი შეთავაზებებით ხვდება. თბილისის თეატრებში მუშაობის პარალელურად, რეჟისორი ბაქოშიც არის მიწვეული, სადაც საკმაოდ ცნობილია თავისი დადგმებით. წელს გოჩა კაპანაძე სექტემბრიდან ბაქოს ორ წამყვან თეატრში დადგამს ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეს“ და ედუარდო დე ფილიპოს „ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი“.

ბაქოელებმა ქართველ რეჟისორს აქტიური შრომა დაუფასეს და ხელოვნების დამსახურებული ჯილდო მიანიჭეს. რეჟისორის თქმით, ეს არის მათი ყველაზე დიდი ჯილდო, რაც ნებისმიერი რეჟისორისთვის ერთ-ერთი გამორჩეული პრიზია.

გოჩა კაპანაძე არ მალავს, რომ წელს მისთვის შემოქმედებითად ზოგადად კარგი წელი იყო – საქართველოში მან მიიღო ახმეტელის პრემია, ასევე მიიღო პრემია საუკეთესო რეჟისურაში და ბაქოშიც მიანიჭეს ხელოვნების დამსახურებული ჯილდო.

რეჟისორმა, ტრადიციულად, საქართველოს თეატრებში იმოგზაურა და შერჩეული პიესები სპექტაკლად აქცია. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში მან ჯაბა იოსელიანის „უკანასკნელი დედოფალი“ დადგა, რომელშიც მთლიანად ქუთაისის თეატრის დასი დააკავა.

რეჟისორმა ასევე იმუშავა ცხინვალის თეატრშიც, სადაც დათო ტურაშვილის პიესა „მატარებელი“ განახორციელა. ამ თეატრთან ხელოვანი უკვე წლებია, საკმაოდ წარმატებულად თანამშრომლობს.

პრემიერა გაიმართა თბილისის აზერბაიჯანულ თეატრშიც, რომელსაც გოჩა კაპანაძე წლებია ხელმძღვანელობს. მარჯანიშვილის თეატრში შეკრებილმა მაყურებელმა არა გოჩა კაპანაძის, არამედ ახალგაზრდა რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლი წარმოადგინა.

ახალი თეატრალური სეზონის დახურვამდე, ცნობილი გახდა, რომ რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრში დაბრუნებისთანავე გოჩა კაპანაძის სპექტაკლები რეპერტუარიდან მოხსნა. როგორც რეჟისორი ამბობს, ახლა ის სტურუას საბოლოო გადაწყვეტილებას ელოდება – თუ მაესტრო სპექტაკლებს რუსთაველის თეატრში დატოვებს, ხომ კარგი, თუ არადა, რეჟისორი მათ სხვა თეატრებში გადაიტანს.

რა სიახლეები აქვს რეჟისორს ახალ თეატრალურ სეზონზე, იმუშავებს თუ არა საქართველოში და როდის წავა ბაქოში, ამ და სხვა საინტერესო თემებზე ხელოვანი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**გოჩა კაპანაძე:**

– აზერბაიჯანულმა თეატრმა თავისი მორიგი თეატრალური სეზონი პრემიერით დახურა. წარმოდგენილი იყო პირიევის პიესის მიხედვით დადგმული „სიყვარულის წრე“, რომელიც განახორციელა ახალგაზრდა ნიჭიერმა მსახიობმა და რეჟისორმა თურგაი ველიზადემ. სპექტაკლში მონაწილეობენ თეატრის წამყვანი მსახიობი ასლან მამედოვი და მოწვეული მსახიობი მარიანა მამედოვა. ეს მისი, მგონი, მეოთხე თუ მეხუთე სპექტაკლია. პრემიერა დავნიშნეთ მარჯანიშვილის თეატრში. ისინი ყოველთვის გვეხმარებიან ხოლმე და ამ შემთხვევაშიც არ გვიხრეს უარი. ამ სპექტაკლის განხორციელებისას კონსულტანტი ვიყავი და ახალგაზრდა რეჟისორს ვეხმარებოდი, მაგრამ ცოტა მსუბუქად, ჯობდა, მეტი თავისუფლება ჰქონოდა. სპექტაკლში წარმოდგენილია ისტორია, თუ როგორ ხდებიან ადამიანები სულიერად ბრმები და ძალიან დიდი ტანჯვის, დიდი კათარზისის შემდგომ როგორ იბრუნებენ თავიანთ შინაგან მზერას და გარეგნულად როგორ ხედავენ სამყაროს სულ სხვა თვალით.

***– საჭიროა ადამიანისთვის ასეთი სიბრმავე?***

– გარკვეული დოზით, ალბათ, საჭიროა. მოვლენების სხვა თვალით ყურება ძალიან საინტერესოა, იმიტომ რომ უფრო ჯანსაღი ხდები და უფრო თვითკრიტიკულიც.

***– ხშირად ხართ ხოლმე ახალბედა რეჟისორების კონსულტანტი?***

– კი, არის ხოლმე ასეთი შემთხვევები. ხანდახან ამ მდგომარეობაში ყოფნაც საინტერესოა. ამ დროს ხდება შენი გამოცდილების გაზიარება, თუ კოლექტივს აინტერესებს შენი აზრი, გისმენს და გაითვალისწინებს, მაშინ აქვს კონსულტანტობას აზრი, თორემ სხვა შემთხვევაში არ ვარგა.

***– მარჯანიშვილის თეატრში რატომ გქონდათ პრემიერა, თქვენი თეატრი ისევ არასახარბიელო მდგომარეობაშია?***

– დიახ, ჩვენს თეატრში ყველაფერი ძველებურადაა. წლებია ჩვენს თეატრში პრობლემებია და ეს მდგომარეობა ისევ ძალაში რჩება – სარემონტო და ავარიული. აღარ დაადგა საშველი. შენობა გასარემონტებელია, დიდი სცენა დანგრეულია, არანაირი პირობები არ გვაქვს იმისთვის, რომ პრემიერები ვითამაშოთ, ამიტომ მხოლოდ ვრეპეტიციობთ და პრემიერებს სხვადასხვა თეატრებში ვთამაშობთ.

***– სხვა ადგილის შეთავაზება თქვენი თეატრისთვის არ შეიძლება?***

– არ ვიცი.

***– ახალ კულტურის მინისტრთან არ გქონიათ საუბარი?***

– კულტურის მინისტრთან არა, მაგრამ მის რეფერენტთან მქონდა მოლაპარაკება, ის საქმის კურსშია. რამდენიმე თვის წინ იყვნენ ბაქოში და ამ თემაზეც იყო მომზადებული მთელი პაკეტი, მაგრამ აზერბაიჯანული მხარეც თავის პირობებს აყენებს, ალბათ, ქართულ მხარესაც აქვს თავისი პირობები და ამ შეთანხმება-არშეთანხმებაში გადის დრო.

***– საქართველოში იმყოფებოდა აზერბაიჯანის კულტურის მინისტრი, თქვენს თეატრში არ ყოფილა?***

– რამდენჯერმე მინისტრიც იყო ჩამოსული, მისი მოადგილეებიც. მიდის მოლაპარაკება, მათ ძალიან კარგად იციან რა მდგომარეობაა ჩვენს თეატრში. იმაზე მეტიც იციან, რაც არ უნდა იცოდნენ ხოლმე ხანდახან. მათ ფინანსების პრობლემა არ აქვს, აქ შენობის პრობლემაა. ამ შენობაში თეატრთან ერთად ცხოვრობს ოჯახები და ამ ოჯახების გაყვანის პრობლემაა, იმიტომ რომ მათ ქუჩაში ვერ დატოვებენ, ამიტომ ან თანხა უნდა გადაიხადონ, ან დააკმაყოფილონ ალტერნატიული საცხოვრებლით.

***– ანუ თქვენი პრობლემა მოგვარებადი არ არის?***

– როგორ არ არის, იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მოგვარდება. საქართველოში ცოტა აზერბაიჯანელი ნამდვილად არ ცხოვრობს, დაახლოებით ნახევარი მილიონი არიან.

***– ბატონო გოჩა, თქვენ აზერბაიჯანში საკმაოდ კარგად გიცნობენ, ეს იმის დამსახურებაა, რომ წლებია თბილისში აზერბაიჯანულ თეატრს ხელმძღვანელობთ?***

– არ ვიცი, ალბათ.

***– თქვენ აზერბაიჯანელებმა საკმაოდ პრესტიჟული ჯილდოც მოგანიჭეს.***

– კი, მათ მომანიჭეს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იმედი მაქვს, რომ თეატრსაც დააჯილდოვებენ. მალე 140 წლის იუბილე გვექნება და ამ თეატრში მოღვაწე პიროვნებებიც იმსახურებენ ყურადღებას.

***– ჯილდოები და პრემიები თქვენთვის მნიშვნელოვანია?***

– ნებისმიერ ჯილდოს ჩემთვის სიმბოლური დატვირთვა აქვს. გულწრფელად გეტყვით, არასოდეს არ მქონია ამისკენ დიდი ლტოლვა, თუმცა სასიამოვნოა, როცა გაჯილდოებენ. ეს წელი ჩემთვის საკმაოდ წარმატებული იყო – საქართველოში მომანიჭეს ახმეტელის პრემია, რომელიც 5 წელიწადში ერთხელ გაიცემა. ეს რეჟისურაში უმაღლესი ჯილდოა, ეს ჩემთვის არის ერთ-ერთი დიდი აღიარება და პატივი. ძალიან წარმატებული წელი იყო და ერთ-ერთი წარმატებული იყო იმითაც, რომ ყველაზე პროდუქტიულ რეჟისორადაც დამასახელეს, რადგან 7 სპექტაკლი დავდგი წელიწადში. ამის კვლევა თეატრის კვლევითმა ცენტრმა ჩაატარა. ვცდილობ მაქსიმალურად ვიაქტიურო, ისე ყოფნას, მირჩევნია, ვიმუშავო.

***– ქუთათურებმა როგორ მიიღეს თქვენი სპექტაკლი?***

– ნამდვილად არ მეგონა, თუ ასეთ სიცხეში ამდენი მაყურებელი მოვიდოდა. დარბაზი გადაჭედილი იყო, შესანიშნავი მსახიობები თამაშობენ სპექტაკლში, თუნდაც ქალბატონი ევა ხუტუნაშვილი, ქალბატონი მარიკა სამანიშვილი, ბატონი გიზო ღელეყვა, გიორგი ზანგური, გიორგი შალამბერიძე, ყველას მადლობას ვეუბნები. 17 რეპეტიციაში დავდგით სპექტაკლი. ძალიან საინტერესო მსახიობები შეიკრიბნენ, ძალიან კარგი მხატვრული სცენოგრაფია გამოვიდა, კოსტიუმები იყო კარგი და მთლიანობაში სანახაობრივი სპექტაკლი გამოვიდა. ბევრი ხალხიც იყო, კმაყოფილიც იყო, ძალიან თანამედროვედ გაიჟღერა ამ თემამ და აქცენტები სულ სხვანაირად იყო დასმული. პიესა ჩვენ დროს ძალიან ეხმაურება. ეს არის თემა, რომელიც გამუდმებით გვაწუხებს, საით მივდივართ, ევროპისკენ თუ რუსეთისკენ, რა პოლიტიკურ ორიენტაციას ირჩევს ქვეყანა, რა იდეოლოგიის მატარებელია, რატომ არის ქვეყანა მთელი ამ ორასსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში სულ დაპყრობილ მდგომარეობაში? ეს არის ერთმოქმედებიანი სპექტაკლი, რომელიც, მგონია, რომ საინტერესო გამოვიდა.

***– მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უკანასკნელ დედოფალ ზე იყო საუბარი?***

– დიახ, მიუხედავად ამისა. პიესა არის ძალადობაზე, ამ მოძალადეს კი ისტორიულად აქვს თავისი სახელი და ეს რუსეთია! სპექტაკლი უკანასკნელ დედოფალზე, მარიამ ბაგრატიონ-ციციშვილზეა, რომელმაც ქართველი ერის ღირსება დაიცვა. ის იყო ერეკლე მეფის საყვარელი რძალი და ამ ქალბატონმა აიღო თავის თავზე ერის ღირსების გადარჩენა. მუნდირების, ჩოხებისა და ქართული ფოლკის უკან თემა, რომელიც დგას ქვეყნის ყოფნა-არყოფნის, ძალიან ხშირად გვიდგება ხოლმე, ამაზეა საუბარი და ძალიან საინტერესო ქვეტესტები შეიძლება წაიკითხოს თანამედროვე მაყურებელმა. ჩვენი მთავარი სათქმელი ის არის, რომ თუ ერთად არ ვიქნებით და ასე დაქსაქსულნი ვიქნებით, გადაჯიშება გვემუქრება!

***– ამიტომ შეარჩიეთ ჯაბა იოსელიანის ეს პიესა?***

– კი, ძალიან უნდოდა ქუთაისსაც, ამ თეატრში ამ სტილის სპექტაკლები არ იდგმება ხოლმე. თვითონაც ძალიან მონდომებულები იყვნენ, დიდი სურვილი ჰქონდა ამ თეატრის მთავარ რეჟისორს და სამხატვრო ხელმძღვანელს გიორგი სიხარულიძეს რომ ჯაბა იოსელიანის ეს ნაწარმოები დამედგა და დიდი მადლობელი ვარ ყველასი – ხელმძღვანელობის, მსახიობების, ტექნიკური პერსონალის.

***– თბილისში თუ ჩამოიტანთ ამ სპექტაკლს?***

– აუცილებლად. გვინდა თბილისში ჩამოვიტანოთ ეს სპექტაკლი და თბილისელმა მაყურებელმაც შეაფასოს.

***– თქვენი დებიუტი იყო ქუთაისში?***

– კი, ქუთაისში რამდენჯერმე იყო საუბარი ძალიან დიდ ხნის განმავლობაში, რამდენიმე სპექტაკლი უნდა გამეკეთებინა, მაგრამ არ გამოვიდა მიზეზთა და მიზეზთა გამო, ეს იყო ჩემი დებიუტი ქუთაისის თეატრში, თუმცა როგორც მსახიობი და რეჟისორი მქონდა ჩატანილი ჩემი ნამუშევრები. თეატრის დასთან პირველად ვიმუშავე, ძალიან კმაყოფილი ვარ, ძალიან კარგი მსახიობები არიან, ძალიან კარგი შემოქმედებითი ატმოსფეროა, ძალიან კარგ ფორმაშია თვითონ თეატრი, დასი, ბოლოს და ბოლოს ქუთათურები არიან, ქუჩაში გაჩერებენ, გესალმებიან, გეპატიჟებიან, არაფერში ფულს არ გახდევინებენ, არც ტრანსპორტში, არც კაფეში, ძალიან უყვართ სტუმარი. ნამდვილ შვეიცარიაში ხარ, როცა ხარ იქ.

***– მოგწონთ სხვადასხვა თეატრებში მუშაობა?***

– მგონია, რომ ერთადერთი რეჟისორი ვარ ბატონი გოგი ქავთარაძის შემდეგ, ვისაც ძალიან მოსწონს სხვადასხვა თეატრებში მუშაობა. სულ ვდგამ და ყველგან ვდგამ, სადაც კი საშუალება მომეცემა. ამას წინათ ვითვლიდი, მგონი, სულ რამდენიმე თეატრი დარჩა, სადაც არ მიმუშავია. ეს არის, მგონი, თელავის თეატრი და გორის თეატრი.

***– ახალციხის თეატრში გიმუშავიათ?***

– ახალციხეშიც არ დამიდგამს სპექტაკლი. ამ თეატრშიც იყო მოლაპარაკებები, მაგრამ მერე რატომღაც შეჩერდა. აუცილებლად დავდგამ ახალციხეში სპექტაკლს, რეჟისორები ვალდებულიც ვართ, რომ დავდგათ ამ თეატრში სპექტაკლი. აუცილებელია იქ ჩავიდნენ ქართველი რეჟისორები და ძალიან ხშირად იმუშაონ, თან ცენტრიდან. როცა სხვადასხვა თეატრის დასთან მუშაობ, ძალიან იზრდები, გამდიდრებს სხვადასხვა დასთან ურთიერთობა. არაფრით არ შემიძლია ერთ თეატრში ჩაკეტვა და მუშაობა.

***– ცხინვალის თეატრში რაზე იმუშავეთ?***

– ცხინვალის თეატრში დაიგეგმა ახალი სპექტაკლი და პრემიერაც ვითამაშეთ. ამ თეატრში აქტიურად ვმუშაობ. პრემიერისთვის დათო ტურაშვილის „მატარებელი“ შევარჩიეთ. ეს პიესა თანამედროვეა, მაგრამ ჩვენი ერთ-ერთი ტრაგიკული ისტორიის ფურცელზეა. ეს არის 20-იანი წლები, როცა საქართველოს გასაბჭოება მოხდა, შემოდიან წითლები, მენშევიკური მთავრობა, სხვადასხვა პარტიები როგორ ტოვებენ ქვეყანას და როგორ აბრალებენ სხვას ქვეყნის ბედუკუღმართობას, თუმცა თვითონ პიესაში ძალიან საინტერესო პერიპეტიები ხდება და ძალიან ტკივილიანი პიესაა. ცხინვალის თეატრი ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში მართავს ხოლმე სპექტაკლებს და ტრადიციას არც ამჯერად ვუღალატეთ.

***– როგორც რეჟისორი საკმაოდ პერსპექტიული ხართ, მაგრამ როგორც მსახიობი ხომ არ იჩაგრებით?***

– მგონია, რომ კი. ხანდახან ძალიან მწყდება გული, რომ ვერ ვახერხებ სპექტაკლებში თამაშს. ძალიან გადავერთე რეჟისურაში და ძალიან ბევრმა კარგმა რეჟისორმა მხოლოდ ამიტომაც თქვა უარი ჩემთან მუშაობაზე. ყველას გონია, რომ უკვე კარიერა როგორც მსახიობმა, დავამთავრე, ამოვწურე ჩემი არტისტობა და აღარ მინდა სპექტაკლებში თამაში.

***– ალბათ, რთულია, თქვენი გრაფიკიდან გამომდინარე, სპექტაკლებში თამაში.***

– თუ მაქვს სამუშაო, ჩემს გრაფიკს ზედმიწევნით ზუსტად ვაწყობ. ვერც ერთი რეჟისორი ვერ იტყვის, რომ ოდესმე რეპეტიცია გამეცდინოს, მსგავსი რაღაც ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა. ისე ვალაგებ გეგმებს, რომ არავის ხელი არ შევუშალო. როცა ბაქოში სპექტაკლებს ვდგამდი, გინდა დაიჯერეთ, გინდა არა, კვირაში ექვსჯერაც მივფრინავდი და მოვფრინავდი, თან სპექტაკლებსაც ვთამაშობდი აქ და დილით უკვე იქ რეპეტიციაზე ვიყავი. ძალიან რთულია ასეთ გრაფიკში ცხოვრება, მაგრამ როცა საქმე გიყვარს, ყველაფერს უძლებ. თუ სიყვარულია, ადამიანი ყველაფერს გააკეთებს.

***– რომელი უფრო ხართ, მსახიობი თუ რეჟისორი?***

– ჩემში ორივეა, კარგი რეჟისორი კარგი მსახიობიც არის და პირიქით, კარგი მსახიობი თავის თავში რეჟისორიც არის, მას თავისი წარმოსახვები აქვს, მაგრამ, როცა ვმსახიობობ, არასოდეს ვეკამათები რეჟისორს, არასოდეს ვთავაზობ რეჟისორულ გადაწყვეტებს, იმიტომ რომ ის ასე ხედავს. შეიძლება, თუ ძალიან ახლობელია, რაღაც შევთავაზო, მეტი არაფერი. მე ვარ ძალიან დამყოლი მსახიობი, იმიტომ რომ მიყვარს, როცა ვმუშაობ, მყავს დამყოლი მსახიობები და დისკომფორტს არ განვიცდი მათგან, თან შეჩვევაც ვიცი მსახიობებთან.

***– როგორც რეჟისორი, მკაცრი ხართ თუ ასევე დამყოლი?***

– არა, მკაცრი ვარ. მუშტების ბრახაბრუხი არ მიყვარს, არც გინება არ მიყვარს. ყვირილი მიყვარს, ოღონდ ისიც, თუ ძალიან გამოვედი მდგომარეობიდან, ოღონდ ეს ყვირილი მხოლოდ საქმიანია და არასოდეს პირადი შეურაცხყოფა ცხოვრებაში არ მიმიყენებია მსახიობისთვის. ვიცი, რომ მერე ვერაფერს ვეღარ გააკეთებს ის. შეიძლება რაღაც მომენტში გავუბრაზდე, მაგრამ ის მთავრდება სარეპეტიციოში და არ გადადის არც ურთიერთობაში და არც დამოკიდებულებაში.

***– არანაკლებად პოპულარული ხართ ბაქოში. ახალ თეატრალურ სეზონზე რას დადგამთ?***

– სექტემბერში ბაქოში რუსულ დასთან მექნება ოპერა „ბუხი“. უნდა დავდგა ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“ და ედურადო დე ფილიპოს „ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი“. „ქეთო და კოტე“ იქნება მიუზიკლი და „ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი“ დრამატული სპექტაკლი იქნება.

***– რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრში სპექტაკლები მართლა მოგიხსნათ?***

– სტურუამ არა მარტო ჩემი სპექტაკლები მოხსნა, არამედ სხვა რეჟისორების სპექტაკლებიც მოხსნა.

***– იცით, რა ბედი ეწევა თქვენს სპექტაკლებს?***

– როგორც ვიცი, ბოლომდე იქ რაღაც საკითხები არ არის გადაწყვეტილი. ჯერჯერობით სპექტაკლები არ გვითამაშია, მაგრამ, იმედია, რომ ახალი თეატრალური სეზონიდან „ჯამბაზები“ აღდგება.

***– რომ გამოგაკლდათ ბევრი მსახიობი ამ სპექტაკლიდან?***

– კი, ეს სიმართლეა. სიმართლეა ისიც, რომ სპექტაკლმა დაკარგა თავისი ხიბლი. მაგრამ მაყურებელი ითხოვს ამ სპექტაკლს მაინც, რადგან მასში არიან ქალბატონი ზაზა ლებანიძე, ქალბატონი მარინა ჯანაშია, ქალბატონი მარინა კახიანი, მანანა გამცემლიძე, დარეჯან ხარშილაძე, ბატონი კახი კავსაძე, ბატონი ჯემალ ღაღანიძე. ასე რომ, ამ სპექტაკლში არის კიდევ სერიოზული ძალები. მაყურებელი სულ კითხულობს ამ სპექტაკლს. იმედი მაქვს, ახალ თეატრალურ სეზონზე „ჯამბაზები“ რუსთაველის თეატრის რეპერტუარში ისევ იქნება.

***– თუ არ დააბრუნა რობერტ სტურუამ „ჯამბაზები“?***

– თუ არ შედგება რუსთაველის თეატრის სცენაზე ეს სპექტაკლი, ბატონ რობერტთან მოლაპარაკებული ვართ, რომ შეიძლება, სხვა თეატრის სივრცეში გავიტანოთ ეს სპექტაკლი. მსახიობები ფორმაში არიან და რატომაც არა?!

***– თქვენს სხვა სპექტაკლებს „მარიამ სტიუარტსა“ და „მზის დაბნელებას საქართველოში“ რა ბედი ეწევა?***

– იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება, ოპტიმისტი ვარ და უკეთესი მომავლის მჯერა. პრინციპში, სპექტაკლებს ხსნის მაყურებელი. თუ მაყურებელი არ დადის, სპექტაკლი ავტომატურად იხსნება.

***– გინდათ თქვათ, რომ თქვენ მიერ აღდგენილ „მარიამ სტიუარტს“ არ ჰყავდა მაყურებელი?***

– კი, როგორ არ ჰყავდა, „მარიამ სტიუარტსაც“ ჰყავდა მაყურებელი და „ჯამბაზებსაც“. მოდით, ასე ვთქვათ, იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, თუ არადა, ამ სპექტაკლებს სხვა თეატრში გადავიტანთ.

***– ამბობდით, მედეა ჩახავას სხვა ფორმით ჩავსვამ „ჯამბაზებში“. იმავეს თუ ფიქრობთ ქალბატონ ზინაიდა კვერენჩხილაძესთან ან ბატონ გურამ საღარაძესთან დაკავშირებით?***

– ფორმა კი მოვძებნეთ, მაგრამ თითოეულ ჩვენგანს ჯერ კიდევ გვესმის მათი ხმა, მათი რეპლიკა. ეს მარტო ამ სამ მსახიობს არ ეხება. ბატონ კარლო საკანდელიძესაც უნდა ეთამაშა ამ სპექტაკლში, ბოლომდე მას ველოდებოდით, გვჯეროდა, რომ ავადმყოფობას დაძლევდა, ფეხზე ადგებოდა და დანარჩენ მსახიობებთან ერთად ითამაშებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ამიტომ მინდა ყველა ეს მსახიობი ამ სპექტაკლში რაღაც ფორმით დავაბრუნო. თუ ეს სპექტაკლი ახალი თეატრალური სეზონიდან რუსთაველის თეატრში აღდგება, ვიცი, რა მინდა და აუცილებლად გავაკეთებ. მინდა, ამ ადამიანების ხმები ჟღერდეს სპექტაკლში – მოდით, ასე ვთქვათ, ამ თავშესაფრიდან წასული ხელოვანი ადამიანების ხმები „ჯამბაზებში“ აუცილებლად დაბრუნდება.

# მამლებმა დინამო დაკორტნეს

დინამო (საქართველო) – ტოტენჰემი (ინგლისი) 0:5

თბილისი. დინამო არენა

0:1 თაუნსენდი (13), 0:2 პაულინიო (44), 0:3 სოლდადო (59), 0:4 როუზი (65), 0:5 სოლდადო (68)

დინამო: ლორია, ხურცილავა, გლიშიჩი (პაპავა 46), კვარაცხელია, კვირკველია, ძარია (გოგა 81), გველესიანი, გრიგალაშვილი, მერებაშვილი, ჩისკო (ვუო 42), დვალი

ტოტენჰემი: ლორისი, როუზი, ქაბული, დაუსონი, ნოტონი, თაუნსენდი, კაპო, პაულინიო (კეროლი 71), სიგურდსონი (შადლი 61), დემბელე, სოლდადო (კეინი 72)

თბილისში მთვარე ჩადიოდა, „მამალი“ ყიოდა, „დინამო არენას“ კვამლი ადიოდა, გულშემატკივარი ჩიოდა, ქართულს ფეხბურთს შიოდა... შიოდა და მიმწოდებელი არ ჩანდა... საჭმლის, თორემ ბურთის მიმწოდებელი ბავშვები ბლომად იყვნენ „დინამო არენაზე“, რომლებიც „ტოტენჰემის“ მაყურებელი უნდა დარწმუნებულიყვნენ, თუროგორ უნდა ფეხბურთის თამაში...

ქართული და ევროპული ფეხბურთის კლასში რომ დიდი სხვაობაა, აქამდეც ნაცნობი იყო, მაგრამ „ტოტენჰემი“ უცებ სხვა პლანეტიდან გამოჩნდა. „მამლები“ საუკეთესო გუნდია, რომელიც დამოუკიდებელი ქართულის ფეხბურთის ისტორიაში საქართველოში ჩამოვიდა და მის წინააღმდეგ ისე უსუსურად გამოვიყურებოდით, რომ თავი მეტოქის ვარჯიშზე გვეგონა.

ძალიან სასიამოვნო იყო სტუმართა მრავალფეროვანი შეტევების ხილვა! არც ერთი ზედმეტი მოძრაობა და არც ერთი გაუაზრებელი კომბინაცია! სწრაფი აზროვნება, სწორი გადაადგილება, უზუსტესი პასები და იმ ლეგენდარული მითის საბოლოოდ დამსხვრევა, რომ ქართველები ყველაზე ტექნიკურები ვართ.

გასაოცარი უფრო ის იყო, დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა მატჩის შემდეგ რომ განაცხადა, ლორისმა 3 ბურთი აიღო და წაგებაც უფრო უიღბლობას დააბრალა. შედალოცვილო, მეკარე იმიტომ დგას კარში, რომ ბურთები აიღოს და თვალი არ გააყოლოს. ამისთვის უხდიან ხელფასს, რომელიც თქვენც გაქვთ, მაგრამ...

6 ძირითადი ფეხბურთელის გარეშე იყო ჩამოსული „ტოტენჰემი“ თბილისში, მაგრამ ეს არ დატყობია. მეტიც, დარწმუნებული ვართ, მოედანზე მყოფთ თავიანთი შესაძლებლობების ნახევარიც არ გამოუვლენიათ. ოდნავი აჩქარება იყო საჭირო, რომ „დინამოს“ კარში გოლი გასულიყო. გოლები კი ნაირ-ნაირი გავიდა და „დინამომ“ ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით წააგო საკუთარ არენაზე.

დინამოელთა სტანდარტულის გათამაშებას ის მოჰყვა, რომ სრულიად უწყინარ სიტუაციაში დარკო გლიშიჩმა ბურთი დაკარგა და ჩვენი ნახევრიდან ენდი თაუნსენდმა მთელი მოედანი გადაირბინა და ბოლოს ზუსტადაც დაარტყა! ლორია არც განძრეულა.

მეორე გოლის დროს სტუმრებმა ულამაზესი კომბინაცია რომ გაითამაშეს: მუსა დემბელემ პასი იმავე თაუნსენდს მისცა, რომელმაც გლიშიჩი გაიბითურა და ბურთი პირდაპირ თავზე დაასვა პაულინიოს – 0:2.

თაუსედმა მესამე გოლშიც დაიდო წვლილი. ამჯერად გველესიანს ჩაუქროლა მარჯვენა ფრთაზე და სოლდადოს გაატანია.

მეოთხე გოლი ბურთის საჯარიმოს წინ გორებას მოჰყვა, საბოლოო დარტყმა როუზმა შეასრულა, მოჭრა მახვილი კუთხიდან – ლორია არც ამჯერად განძრეულა.

მეხუთე კლასიკური კომბინაცია იყო, რომელიც ცენტრიდან დაიწყო, მარცხენა ფრთაზე გაგრძელდა, საიდანაც ჩადლიმ საჯარიმოში გამჭოლი პასი გაკეთა და სოლდადომ თავისი მეორე ბურთი გაიტანა.

დანარჩენს ვერ დავწერთ, ვერ აღვწერთ – ეს უნდა გენახათ.

მატჩის შემდეგ

**ანდრე ვილაშ-ბოაშე:**

– მთავარი ფაქტორი, რომელმაც დიდი ანგარიში განაპირობა, იყო ის, რომ ჩვენი შანსების უმრავლესობა გამოვიყენეთ. კარგი ინსტინქტი გვქონდა. „დინამომაც“ ბევრი მომენტი შექმნა, თუმცა, მათ სწორედ ეს დააკლდათ. ჩვენმა გუნდმა დაახლოებით იგივე შემადგენლობით ითამაშა, როგორითაც „კრისტალ პალასთან“, სამი ახალი მოთამაშე გვყავდა ძირითადში. ისინი კარგად მოერგნენ შემადგენლობას. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ანგარიშით მოვიგეთ. ყველაფერი შესაძლებელია ფეხბურთში. გულშემატკივარი ყოველთვის ელოდება, რომ მისი გუნდი წარმატებით ისპარეზებს. ამიტომ საპასუხო მატჩშიც ძირითადი შემადგენლობით ვითამაშებთ. მოწინააღმდეგე გუნდიდან ჩისკოს თამაშს გამოვარჩევ. სამწუხაროდ, მან ნაადრევად დატოვა მოედანი. მომეწონა მერებაშვილის თამაში. „დინამოს“ საკმაოდ ბევრ ფეხბურთელს აქვს პოტენციალი, რომ უცხოეთში ითამაშოს, როგორც კახა კალაძემ თავის დროზე. ძალიან მომეწონა „დინამოს“ ბრძოლისუნარიანობა. ისინი 0:5 აგებდნენ და მაინც იბრძოდნენ ბოლომდე. რაც შეეხება ბეილის ტრანსფერს, ამაზე ვერაფერს ვიტყვი. გუნდის მიზანია კარგი მოთამაშეების შენარჩუნება და ახალი ფეხბურთელების დამატება. ასევე ვერაფერს ვიტყვი კოენტრაუს ტრანსფერზეც. „ტოტენჰემი“ ვილიანის გადმოყვანით დაინტერესებულია, თუმცა ახლის თქმა მასზეც არ შემიძლია. თაუსენდი ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეა, მისგან ძალიან ბევრს ველოდები. გუნდში დიდი კონკურენციაა. ახალგაზრდა ფეხბურთელებს ბრძოლისუნარიანობით შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ ძირითადში შემადგენლობას იმსახურებენ. მან დღეს გოლით გამოიჩინა თავი. ევროპის ლიგა ძალიან პრესტიჟული ტურნირია. ჩვენი გუნდი შეეცდება წარმატებას მიაღწიოს ამ გათამაშებაში. გასულ წელს ინგლისურმა კლუბმა მოიგო ევროპის ლიგა და ყველას კარგად გვახსოვს გამარჯვებით გამოწვეული სიხარული. ჩვენ ძალიან ცოტა დრო დავყავით თბილისში. არ გვქონდა იმის საშუალება, რომ ქალაქი კარგად დაგვეთვალიერებინა. კმაყოფილები ვართ იმ პატივისცემით და კეთილგანწყობით, რასაც ქართველებისგან ვგრძნობდით. მოედნის საფარი ძალიან კარგია სტადიონზე. მე ვესაუბრე პატრიკ ვუოს, რომელიც ჩემი ყოფილი მოთამაშეა. მე მას ვუთხარი, რომ „დინამოში“ საკმაოდ კარგი პირობებია და მას შეუძლია წარმატებას მიაღწიოს“.

**დუშან უჰრინი:**

– ძალიან რთული თამაში გამოვიდა ჩემთვის. ძალიან ბევრი ინდივიდუალური შეცდომა გვქონდა. სწორედ ამ შეცდომებს მოჰყვა გოლები ჩვენს კარში. ასეთ ძლიერ მეტოქესთან ძალიან ძნელია შედეგის მიაღწიო. გამოცდილება არ გვაქვს ასეთი დონის გუნდებთან თამაშის... მოტივაციასრაც შეეხება, არ ვფიქრობ რომ გუნდს ეს აკლდა. ჩვენს ფეხბურთელებს საქართველოს ჩემპიონატში უწევთ თამაში, „ტოტენჰემი“ კი სხვა დონის გუნდია. ძნელია. მაგალითად, გუშინ „ფენერბახჩემ“ ლონდონის „არსენალთან“ ძალიან მოინდომა, მაგრამ 0:3 წააგო. მოტივაცია არცერთ ჩვენს მოთამაშეს არ აკლდა. ვიცი, რომ 0:5 ძალიან ცუდი ანგარიშია, მაგრამ რას მოელით – რომ 5 ფეხბურთელს გავუშვებ გუნდიდან? ერთადერთი პოზიტიური, რაც მოხდა, ჩვენი ფეხბურთელები ასეთ მეტოქესთან თამაშით კლასს აიმაღლებენ... გავითვალისწინოთ, რომ დღეს „ტოტენჰემის“ მეკარემ 3 რთული ბურთი მოიგერია. იყო გამართლების მომენტიც... როდესაც მოდიან უცხოელები გუნდში, სწორედ ეს კითხვა ჩნდება – ისინი უნდა ჯობდნენ ადგილობრივებს. ამ თემაზე საუბარი არაკორექტულად მიმაჩნია. არასოდეს არ აღმინიშნავს, მაგრამ გრაციარი ჩვენს გუნდში საუკეთესო ფეხბურთელია. მე ვცდილობ ამ თემაზე ნაკლებად ვისაუბრო და არ გავაკეთო აქცენტი. ჩვენი სურვილია გვყავდეს კარგი გუნდი, შესაძლებლობების პირობებში. დღევანდელ თამაშში საუკეთესო ხურცილავა იყო. რომელი იყო ცუდი, ამაზე ვერ ვისაუბრებ... რასაც გადაჭრით გეტყვით, ამ ეტაპზე ტრანსფერს არ ვგეგმავთ. ტრანსფერების საკითხს ყველა ერთად ვიღებთ, გუნდურად... რაც შეეხება ჩემს მომავალ გუნდში, ეს მენჯმენტს უნდა კითხოთ. „დინამოსთან“ კიდევ ერთი წლით მაკავშირებს კონტრაქტი... ჩისკოს ტრავმას რაც შეეხება, ხვალ ჩაიტარებს იგი გამოკვლევას და გვეცოდინება პასუხი.

# ავსტრიიდან წამოღებული შანსი

რაპიდი (ავსტრია) – დილა (საქართველო) 1:0

ვენა. გერჰარდტ-ჰანაპი-შტადიონი

1:0 შაუბი (42)

რაპიდი: ნოვოტა, შრამელი, პეტკოსი (ბერენდტი 71), სონლეიტნერი, ჰოფმანი (საბიტცერი 80), დიბონი, შაუბი, გროზურეკი (დენერი 88), ტრიმელი, ბურგშტალერი, ბოშკოვიჩი

დილა: რევიშვილი, ღონღაძე, თომაშვილი (ბოლქვაძე 50), ხიზანეიშვილი, კობახიძე, გურული, ალადაშვილი (მაისურაძე 53), იღურიძე, დოლიძე (გაბაშვილი 68), კვახაძე, გვალია

გორის „დილამ“ ევროპის ლიგაზე პირველი გოლი გაუშვა და პირველად წააგო. თუმცა, წააგო იმ ანგარიშით, რაც პლეი ოფში გასვლის შანსს იძლევა. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ „დილა“ იმავე იშტაზე თამაშობდა, როგორც „ოლბორგთან“ და „ჰაიდუკთან“. ისიც კარგად ჩანდა, რომ „რაპიდს“ შესწავლილი ჰყავდა ქართული გუნდი. ინტერნეტში ვნახეთ, თუ როგორ გაშიფრეს და გაანალიზეს ავსტრიელებმა ქართული გუნდის ტაქტიკური მონახაზი და სად იყო ჩვენი სუსტი წერტილი. ზუსტადაც გათვალეს – ბურთი სწორედ იქიდან გავიდა, საიდანაც ავსტრიელებმა ინტერნეტით შემოგვითვალეს.

გორელები რომ მეორე ნომრად ითამაშებდნენ, ამას წყალი არ გაუვიდოდა, თუმცა ამჯერად სადღა იყო მათი ბასრი კონტრშეტევები. ეს მთელი მატჩის განმავლობაში ერთხელ მოხდა და გოლიც გავიდა – ოღონდ გორელთა კარში. ოთარ ხიზანეიშვილმა საკუთარი ნახევრიდან კარგი პასი გაუკეთა გრიგოლ დოლიძეს, ამ უკანასკნელმა ბურთი კარგად მიიღო, სწრაფად გაიგდო წინ, მაგრამ მცველი წამოეწია, მეკარემაც დარტყმის კუთხე შეუვიწროვა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. კუთხურის შემდეგ ხიზანეიშვილმა სუსტად გადაგზავნა ბურთი კარში. „რაპიდმა“ სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო – მეკარემ ჰოფმანს გადააწოდა, რომელმაც ბურგშტალერს ბურთი მარჯვენა ფლანგზე გააყოლა, ამ უკანასკნელმა საჯარიმოში ჩააწოდა და შაუბმა ანგარიში გახსნა! ეს მოხდა თვალის დახამხამებაში.

მეორე ტაიმშიც არაფერი შეცვლილა მნიშვნელოვნად. მცირე უპირატესობას კვლავ მასპინძლები ფლობდნენ.

რევიშვილმა 67-დან 72-წუთის შუალედში ჯერ ბურგშტალერს მოუგერია თავური, შემდეგ – გროზურეკს. 73-ეზე ტრიმელს არ მისცა გატანის შანსი.

ამრიგად, გორის „დილამ“ „რაპიდთან“ „იმედიანი“ ანგარიშით წააგო. დიახ, იმედს ვიტოვებთ, რომ თბილისში „მიხეილ მესხი“ გაივსება და გორელები ნანატრ ჯგუფურ ეტაპს მოგვიტანენ.

მატჩის შემდეგ

**გიორგი დევდარიანი:**

– „დილა რომ ხშირად კარგავდა ბურთს, ეს ალბათ დაკავშირებულია ჩემს სტრატეგიულ შეცდომასთან. პირველი ტაიმი ვცდილობდი, რომ კონტრშეტევებზე გვეთამაშა და სპეციალურად დავუთმეთ სათამაშო სივრცე და უფრო მეტად დაცვაზე ორიენტირებული ფეხბურთელები გამოვიყვანეთ მინდორზე, რათა კონტრშეტევებზე გვეხეირა. ვერ გამოვიყენეთ ასპროცენტიანი მომენტი და იქიდან წამოსულებმა მივიღეთ გოლი. მეორე ტაიმში სხვანაირი გეგმა გვქონდა, რომელიც უკეთ განხორციელდა.

*– როგორ შეაფასებდით თქვენი გუნდის დღევანდელ გამოსვლას და თბილისში შანსები როგორია?*

– შანსები ისევ თანაბარია. ჩვენ გვქონდა მოლოდინი, რომ დღეს რთული თამაში იქნებოდა და თბილისში გადაწყდება ჩვენს შორის ვინ არის უძლიერესი. ჩვენ უგოლო ფრის შემთხვევაშიც გვექნებოდა გოლი გასატანი და ამ შემთხვევაშიც იმავე ამოცანის წინაშე ვდგავართ და თბილისში აბსოლუტურად სხვა ხასიათის თამაში იქნება.

**ზორან ბარისიჩი:**

– მეტოქე დაცვაში ძალიან კარგად თამაშობდა და ყველა ზონას კეტავდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვაკონტროლებდით თამაშს და ბურთის ფლობაც ჩვენს მხარეს იყო. მეორე ტაიმში ძალიან კარგი მომენტები გვქონდა, თუმცა არ გაგვიმართლა რომ მეორე ბურთიც გაგვეტანა. ძალიან ბევრი შრომა გავწიეთ, თუმცა მომენტები მაინც ვერ გამოვიყენეთ. დღეს აუცილებლად გვინდოდა მოგება და, რაც მთავარია, გოლი არ მივიღეთ საკუთარ კარში. ერთ-ერთმა ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო, თუმცა მე მგონი სერიოზული არაფერია.

*– შეუძლია თუ არა გორის „დილას“ შემტევი ფეხბურთის თამაში?*

– როდესაც მათ სივრცე და დრო მივეცით, გამოჩნდა, რომ შეუძლიათ შეტევაში კარგად თამაშიც. ძალიან რთული დავალების შესრულება მოგვიწევს საქართველოში. მართალია, დღეს ჩვენ ვთამაშობდით შემტევ ფეხბურთს, თუმცა ისე გამოვიდა, რომ კონტრშეტევიდან გავიტანეთ ეს ერთადერთი გოლი.

*– შორიდან დარტყმები არ შედიოდა თქვენს გეგმებში?*

– რა თქმა უნდა, შედიოდა და ვცდილობდით კიდეც, თუმცა არ გაგვიმართლა.

# ჯანო ანანიძე: სპარტაკისთვის დასამტკიცებელი მაქვს

**დასაწყისი მე-12 გვერდზე**

მქონდა. რადგან გუნდმა იჯარით აგიყვანა, ეს სასტარტო შემადგენლობაში ავტომატურად მოხვედრის გარანტია სულაც არ არის. მეც მოვინდომე, ვარჯიშებზე თავი არ დავზოგე და შედეგად მივიღე შანსი, რომლის გამოყენებაც შევძელი.

*– რაიმეს დამტკიცება „სპარტაკის“ ხელმძღვანელობისთვისაც გსურთ?*

– რა თქმა უნდა. და დავუმტკიცებ კიდეც – გავიტან, გავაკეთებ საგოლე პასებს.

*– ახლა სისულელე იქნება იმის უარყოფა, რომ „როსტოვში“ იჯარა საჭირო ნაბიჯი იყო.*

– შესაძლოა. უკვე 20 წლის ვარ, მალე 21 შემისრულდება და მუდმივად საჭიროა სათამაშო პრაქტიკა. მსურს, მოედანზე მთელ 90 წუთს ვატარებდე. და აი, ამ ორშაბათს პირველად მომეცა შანსი, მოედანზე ორივე ტაიმი შეუცვლელად გამეტარებინა.

*– „სპარტაკის“ თამაშებს თვალს ადევნებთ?*

– ყოველთვის ვუყურებ, თუკი მისი მატჩები ჩვენს შეხვედრებსა და ვარჯიშებს არ ემთხვევა. და, რა თქმა უნდა, ბიჭებს ვგულშემატკივრობ.

*– სასიამოვნოა, რომ სატურნირო ცხრილში „სპარტაკზე“ მაღლა დგახართ?*

– ცოტა არ იყოს, კი. თუმცა, მაინც „სპარტაკის“ გულშემატკივრად ვრჩები და მსურს, მაღალი ადგილი ეკავოს. ახლა „სპარტაკში“ ძალიან კარგი გუნდია შეკრებილი.

*– ორშაბათს მოედნიდან უგოლოდ არც ძიუბა გავიდა. ასე თუ გააგრძელა, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობასაც შეძლებს.*

– მე პირადად ძალიან მინდა, რომ ბომბარდირთა დავაში გამარჯვებული არტიომი გამოვიდეს. ყველანაირად ვეცდები, ამაში დავეხმარო და საგოლე პასებით მოვამარაგო. ჩემთვის დღეს რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელი სწორედ ძიუბაა.

*– მეგობრები ხართ?*

– რა თქმა უნდა. ჩვენ „სპარტაკშიც“ ვმეგობრობდით და დღესაც ყოველთვის ერთად ვართ. ძალიან მიხარია, რომ „როსტოვში“ ერთად მოვედით. ეს ახალ გარემოსთან სწრაფად ადაპტაციაში ძალიან დაგვეხმარა.

*– ამას წინათ რატომ არ ისურვეთ გუნდთან ერთად პეინტბოლის თამაში, სადაც ძიუბაც იყო, არ გიყვართ?*

– ხელმძღვანელობასთან შეხვედრა მქონდა. სხვა დროს, თუკი ბიჭები კიდევ შეიკრიბებიან, აუცილებლად შევუერთდები.

*– ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მთელი მატჩის განმავლობაში მი ზანმიმართულად ძიუბაზე თამაშობთ.*

– და რა არის ამაში უცნაური? ის ჩვენი უმთავრესი თავდამსხმელია. სხვათა შორის, თვითონაც, თუ დააკვირდით, სულაც არ „ძუნწობს“, კარგად ათამაშებს „კედელს“. მასთან სასიამოვნოა კომბინაციის გაკეთება. თანაც, ძიუბამ უკვე შვიდი გოლი გაიტანა. რატომ არ უნდა მოვამარაგოთ ის საგოლე გადაცემებით მომავალშიც, როცა ის მათ იყენებს?

*– გასულ სეზონში „სპარტაკის“ შემადგენლობაში ძიუბამ თითქმის ორჯერ ნაკლები გაიტანა – სულ ოთხი გოლი. როგორ ფიქრობთ, რატომ?*

– ამის შესახებ თავად ძიუბას ჰკითხეთ. მე კი ვფიქრობ, რომ თავდაჯერება აკლდა. ახლა კი ის თვალებანთებულია და ცდილობს დაამტკიცოს, რომ მართლაც მაღალი კლასის თავდამსხმელია. გასულ სეზონში მან დიდი დრო გაატარა სათადარიგოთა სკამზე და შესაძლოა, გარკვეულწილად ესეც მოქმედებდა.

*– როსტოვში თავს როგორ გრძნობთ, მოსკოვის შემდეგ აქ მოსაწყენი ხომ არაა?*

– ნორმალური ქალაქია, კარგი, კეთილი ადამიანებით და კიდევ, აქ ძალიან ცხელა.

*– საბანაოდ დადიხართ?*

– მხოლოდ აუზზე. დონში ჯერ არ მიბანავია. მთლიანობაში კი, როსტოვში თავს კარგად ვგრძნობ. ვცხოვრობ ნაქირავებ ბინაში, ზოგჯერ – ბაზაზე. არანაირი პრობლემა არ მაქვს.

*– შარშან ჟანოს გეძახდნენ, ახლა ჯანოს. რატომ?*

– სწორი ჯანოა, რადგან ჩემი სახელი ქართულად სწორედ ასე გამოითქმის. ჯერ კიდევ ორი წლის წინ „სპარტაკში“ ყოფნისას ვაცხადებდი, რომ ჯანო უნდა გამოითქვას და დაიწეროს. თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ ამას ჩემთვის ძალიან პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსეთში ჟანოს სახელით ოთხი წელი გავატარე.

*– ძიუბა ამბობს, რომ ამ სეზონში მისი მი ზანი „როსტოვიდან“ მსოფლიოს ჩემპიონატ ზე წასვლაა. თქვენ რა ზე ოცნებობთ?*

– პირველი, მინდა დავამტკიცო, რომ „სპარტაკში“ თამაშს ვიმსახურებ. მეორე – საკუთარი ძალების ევროპაში გამოცდაა, თუმცა ეს გრძელვადიანი პერსპექტივაა. მე ჯერ რუსეთშიც არავისთვის არაფერი დამიმტკიცებია. წელს „როსტოვში“ დაახლოებით 6-7 გოლის გატანა მინდა. აი, ასეთი გეგმა მაქვს დასახული.

*– თითქმის არასდროს იძლევით ინტერვიუს. რატომ? რეპორტიორებს არ ენდობით?*

– მგონია, რომ რუსულად მთლად კარგად ჯერ კიდევ ვერ ვსაუბრობ.

*– დაბეჯითებით გეუბნებით, რომ ცდებით...*

– არა, არა, პირდაპირი ეთერისთვის ჯერ კიდევ არ მოვმწიფებულვარ...

# ეგვიპტეში „მუსლიმი ძმების“ ლიდერების დაპატიმრება გრძელდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ეგვიპტე არაა ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც მმართველების წინააღმდეგ წარმატებული აჯანყება მოხდა „არაბული გაზაფხულის“ ფარგლებში და ახლა კი ძალადობამ დაისადგურა. ტუნისსა და ლიბიაში მწვავე ბრძოლაა ძალაუფლებისთვის, ქუჩებში შეიარაღებული დაჯგუფებები დადიან, მოსახლეობაში ღრმავდება სიღარიბე. სირიის მოქალაქეები მძიმე არჩევანის წინაშე დგანან – ან ქვეყანა დატოვონ, ან სასტიკი სამოქალაქო ომის მსხვერპლად ქცევის საფრთხის ქვეშ დარჩნენ. იემენის სუსტი მთავრობა ცდილობს გაუმკლავდეს მტრულად განწყობილ არმიას, ფართოდ გავრცელებულ კანონდარღვევებსა და საკვების დეფიციტს.

დემოკრატიული პროგრესის ნაკლებობამ და ახლა უკვე ეგვიპტეში სამხედრო მმართველობის დაბრუნებამ არაერთ ანალიტიკოსს გაუჩინა ვარაუდი, რომ „არაბული გაზაფხულის“ სახელით ცნობილი პროცესი სიკვდილის პირასაა. ამ ანალიტიკოსებს შორის არის იემენელი აქტივისტი, ნობელის პრემიის თანალაურეატი ტავაკულ კარმანი.

სტიმსონის ცენტრში მომუშავე ანალიტიკოსი მონა იაკუბიანი ამ გავრცელებული შეშფოთების მიზეზებს ასე ხსნის:

„ნამდვილად ძალიან რთულია აქ, ვაშინგტონში, იჯდე და დემოკრატიის ირგვლივ დიდ იმედებზე ლაპარაკობდე, როცა ეგვიპტეში სულ უფრო მეტად ღრმავდება ქაოსი, როცა სირია სისხლიანი სამოქალაქო ომითაა მოცული, როცა ლიბია კვლავ ცდილობს გასამხედროებული დაჯგუფებების უკანონობასთან გამკლავებას. ამდენად, შეშფოთება იმის გამო, თუ მაინც საით მიდის არაბული ქვეყნების გარდამავალი პოლიტიკური პროცესი, საფუძვლიანია“.

იაკუბიანი, რომელიც ორი თვის წინ ტუნისში იმყოფებოდა, მიიჩნევს, რომ საქმე, მართლაც, პოლიტიკურ კრიზისთან გვაქვს, თუმცა ეს კრიზისი, შესაძლოა, საკუთრივ გარდამავალი პროცესის სირთულეებით იყოს გამოწვეული:

„ჩემი აზრით, გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ ეს გარდამავალი პროცესები ნაწილია ისტორიული ტრანსფორმაციისა, რომელიც მთელ რეგიონსაა მოდებული და რომელსაც, ჩემი აზრით, მთელი თაობის ცვლა ან კიდევ უფრო მეტი დრო დასჭირდება“.

ანალიტიკოსის თქმით, იმის გამო, რომ პირველი ამბოხება ტუნისში – და შემდეგ ყველაზე მასშტაბური ამბოხება ეგვიპტეში – მეტნაკლებად წარმატებით შედგა, ბევრს მიეცა იმედი, რომ პოსტრევოლუციური პერიოდიც ასე თუ ისე უპრობლემოდ ჩაივლიდა.

მაგრამ ამბოხებების შემდეგ გაჩენილმა სახელისუფლო ვაკუუმმა ბიძგი მისცა მწვავე პოლიტიკურ კონფლიქტს იმ ჯგუფებს შორის, რომლებსაც დემოკრატიის გამოცდილება არ ჰქონდათ. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ისლამისტები და სეკულარისტები. ხალხს, ვინც რეპრესიული მთავრობების პირობებში, წლების განმავლობაში მარგინალიზებული იყო, ახლა თავისი რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების გამოთქმის საშუალება მიეცა, ამან კი საზოგადოებაში არსებული ღრმა განხეთქილება გამოიტანა სააშკარაოზე და ზოგ შემთხვევაში ძალადობასაც მისცა ბიძგი.

იაკუბიანის და სხვა ანალიტიკოსების აზრით, ეს ქაოსური მოვლენები ნაწილობრივ ლოგიკური შედეგია, რომელიც მოჰყვა ათწლეულების მანძილზე მოქმედი ავტორიტარული რეპრესიების დასრულებას. თუმცა მონა იაკუბიანი მიიჩნევს, რომ ბევრი ექსპერტის პესიმიზმის მიუხედავად, ამ ქვეყნების ბევრ მოქალაქეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „არაბული გაზაფხულის“ იდეალებისთვის ბრძოლა.

ამ პოზიციას იზიარებს კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი და რეგიონის საკითხების სპეციალისტი კარიმა ბენუნიც:

„როცა ამ რეგიონში აქტივისტ ქალებს ელაპარაკები, კვლავ გრძნობ მყარ ოპტიმიზმს – გაქვს განცდა, რომ იმედი არ გამქრალა. ტუნისელმა აქტივისტმა მითხრა, რომ „არაბული გაზაფხული“ მისთვის კვლავაც ცოცხლობს – მეტიც, ის თვლის, რომ სწორედ ამ პროცესის გამოხატულებაა ის არაორდინარული ძალის წინააღმდეგობა, რომელსაც მის ქვეყანაში უწევენ ახლა უკვე ისლამიზმს და ახალი ტოტალიტარიზმის – თეოკრატიული ტოტალიტარიზმის – დაარსების საფრთხეს. „არაბული გაზაფხული“ ამ აქტივისტისთვის არის მშვიდობიანი პროცესი ჭეშმარიტად დემოკრატიული ალტერნატივის დასამყარებლად“, – ამბობს ის.

ბენუნი ეთანხმება ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ბევრი სხვა ანალიტიკოსის პოზიციას: იმისათვის, რომ რევოლუციებმა შედეგი გამოიღოს, ეკონომიკური პროგრესი პოლიტიკურ პროგრესზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ჰოსნი მუბარაქის რეჟიმის დამხობის შემდეგ ეგვიპტეში გაიზარდა უმუშევრობა, სიღარიბე, საკვების დეფიციტი; შეწყდა საგარეო ინვესტიციები, მნიშვნელოვნად შემცირდა ტურიზმი.

ნავთობით მდიდარ ლიბიაში მთლიანი შიდა პროდუქტი 2011 წლის შემდეგ 60 პროცენტით შემცირდა – მუამარ კადაფის დასამხობად მიმდინარე ბრძოლის პირობებში უცხოურმა კომპანიებმა ქვეყნიდან თავიანთი მუშახელი გაიყვანეს.

ბენუნი მრავალისმეტყველად მიიჩნევს ფრაზას, რომელიც მას ერთმა ეგვიპტელმა ქალმა უთხრა: გატეხილ მილსადენს ვერ შეაკეთებ „ალაჰ აკბარის’ დაძახებითო.

ისტორიიდან ვიცით, რომ რევოლუციურ პოლიტიკურ ცვლილებებს დიდი დრო სჭირდება. კიდევ ერთი ცნობილი პოლიტიკური გაზაფხული, რომელიც 1968 წელს პრაღაში იყო, საბჭოთა ტანკებით ჩაახშეს, თუმცა მან ორი ათწლეულის შემდეგ გამოიღო შედეგი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიზაციით და ბერლინის კედლის დანგრევით.

ანალიტიკოსების ნაწილს – მონა იაკუბიანის ჩათვლით – სწორედ ეს აძლევს ოპტიმიზმის საფუძველს. ისინი იმედოვნებენ, რომ „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ დამდგარ ქაოსურ და ძალადობრივ პერიოდს უკვე ახალი თაობა დაძლევს.

ამ თაობამ უკვე გამოსცადა თავისუფლება და მას არანაირ ფასად არ დათმობსო, ამბობს მონა იაკუბიანი.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# ინდოეთში მორიგი ჯგუფური გაუპატიურება მოხდა

ინდოეთის ქალაქ მუმბაიში 23 წლის ფოტოჟურნალისტი ხუთმა შეიარაღებულმა თავდამსხმელმა გააუპატიურა. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. გავრცელებული ინფორმაციით, გოგონას თან ახლდა მეგობარი ბიჭი, რომელიც თავდამსხმელებმა სასტიკად სცემეს. ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, მომხდართან დაკავშირებით 35 ეჭვმიტანილი დაკავებულია. ამასთან პოლიციამ გაავრცელა 5 ძებნილი ეჭვმიტანილის გრაფიკული ფოტოები.

23 წლის ფოტოჟურნალისტი, რომელიც მუმბაის ერთ-ერთ ინგლისურენოვან ჟურნალში მუშაობდა, ამჟამად საავადმყოფოშია მოთავსებული.

თავდასხმა საფეიქრო ფაბრიკის ტერიტორიაზე მოხდა, სადაც ჟურნალისტი გაზეთის რედაქციის დავალებით იმყოფებოდა. მომხდარს ინდოეთში დიდი რეზონანსი მოჰყვა. გასული წლის დეკემბერში ინდოეთის დედაქალაქ დელიში, ავტობუსში ჯგუფური გაუპატიურების შედეგად 23 წლის სტუდენტი გოგონა გარდაიცვალა.

**გ. მ.**

## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უმოქმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებთმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 26 აგვისტო

08.00 დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" 09.00 საბ. მხ/ფ "სურვილების ქვა" 10.30 ან/სერ. "პატარა წიწილები" 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "პიკის საათი-3" (ჯ.ჩანი) 14.20 დ/ფ "ოთხგანზომილებიანი ატლასი" 15.00 ან/სერ. "ტარატაბონგი" 15.05 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 18.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" 22.00 მხ/ფ "ბეტმენი-დასაწყისი" 00.00 "საფარი" 26-ე გადაცემა

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ბუდაპეშტი" 08.30 მხ/ფ "კომიკოსები" (პ.ვილაჯო) 10.00, 14.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. "დეტექტივი". 11.00 დ/ფ "წელიწადის დრონის ფენომენი" 12.00 მხ/ფ "ქალი კატა" (ჰ.ბერი) 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" 6 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ "კიარა და ფრანჩესკო" 1-2 სერ.

08.00 ფორტ ბოიარი 09.00 ან/ფ "სპანჯბობი" 10.00 სერ. "სიყვარული კონტრაქტით" 2 სერ. 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50, 18.50, 19.05 სერ. "მაგნატები". 21.00 სერ. "დაბრუნება" 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ.სერ. "ცხელი ძაღლი" 00.15 მხ/ფ. "ნიუ იორკის ბანდები"

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 მხ/ფ "HOOK" 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "რაჭა, ჩემი სიყვარული" 14.00 სერ "ერთგულების ძალა" 15.30 შერეკილები. 17.00 სერ. "ნამდვილი ბრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.50 მხ/ფ "არდადეგებზე" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები 09.05, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 09.10 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 ისტორიის დღიური 10.15, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "ფიროსმანი" 13.20 ქართული მულტფილმი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.00 გუთნისდედა 15.30 სპექტაკლი - "შთამომავლობა" 17.30 კონცერტი - ანს."კელაპტარი" 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ქრისტიანული სწავლება 18.50 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "როცა აყვავდა ნუში" 20.40 ძილი ნებისა 21.20 სალვთისმეტყველო საუბრები - იოსებ ზეთეიშვილი "სასულიერო ლიტ.თარგმანი" 22.25 "ჩვენი ფონდი" თ.გაბისონია - ხალხური სიმღერა 22.45 მოკ/ფ "დედის ხელი" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ "წითელი ბუშტი" 00.30 მხ/ფ "ეი,მაესტრო" 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) 11.00, 12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 14.40, 22.00, 4.30 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

## სამშაბათი 27 აგვისტო

08.00 დ/ფ "პირველი ევროპელი ქრისტიანი-ბერების კვალდაკვალ" 09.00 საბ. მხ/ფ "როგორ მივირთვათ შემწვარი ჭიაყელები" 10.30 ან/სერ. "პატარა წიწილები" 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "ოსტინ პაუერსი გოლდმემბერი" 14.20 დ/ფ "ოთხგანზომილებიანი ატლასი" 15.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" 18.00 დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" 22.00 დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" 22.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის განმეორებითი მატჩი. 00.40 დ/ფ "ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00, 14.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. "დეტექტივი". 11.00 დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" 6 ნაწ. 16.00 დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" 7 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ "კიარა და ფრანჩესკო" 3-4 სერ.

09.00 ან/ფ "სპანჯბობი" 10.00 სერ. "სიყვარული კონტრაქტით" 3 სერ. 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 კონცერტი: "პაემანი ვერაზე – გიზო ნიშნიანიძე" I ნაწ. (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50, 18.50, 19.05 სერ. "მაგნატები". 21.00 სერ. "დაბრუნება" 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ.სერ. "ცხელი ძაღლი" 00.15 მხ/ფ. "კაპიტან ალატრისტეს ცხოვრება "

08.00, 03.00 კურიერიჰ დაიჯესტი 08.30 მხ/ფ "JUMANJI" 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "ცისფერი მთები " 14.00 სერ. "ერთგულების ძალა" 15.30 შერეკილები 17.00 სერ. "ნამდვილი ბრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 გაცინე და მოიგე. 22.40 ჩემპიონთა ლიგა 01.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.30 მხ/ფ "ეი,მაესტრო" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები 09.05, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 09.10 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.45 მოკ/ფ "წითელი ბუშტი" 10.20 სალვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "როცა აყვავდა ნუში" 13.20 ქართული მულტფილმი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 15.20 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 15.40 კონცერტი - ანს."შვიდკაცა" 17.00 ერთსულოვნების სალონი 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "საუფლონი" - გიხაროდენ სასუფეველსა 00.35 მხ/ფ "ნაზარის უკანასკნელი ლოცვა" 01.45 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 გადაცემა "პულსი" (გამ.) 10.30 მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) 11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 14.40, 22.00, 4.30 "ყოველდღიური აბები" 15.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება(გამ.) 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

## ოთხშაბათი 28 აგვისტო

08.00 დ/ფ "დედაო" ღვთისავ" 09.00 "მარიამობა" (პ/ტრ) 13.00 დ/ფ "იქ" ცა და მიწა ერთდება" 14.00 ქართ. ტ/ფ "მეთხუთმეტე ზაფხული" 15.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 17.00 ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" 18.00 დ/ფ "უხილავი სამყარო" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 I არხი წარმოგიდგენთ – საქველმოქმედო კონცერტი "ღია ცის ქვეშ" 22.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის განმეორებითი მატჩი. 00.40 დ/ფ "ჩირლიდერები"

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "მარიამობა" (პ/ტრ) 14.00 ქართული დ/ფ "გზა მაცხოვრისა" (რეჟ: მ. ბორაშვილი) 16.00 დ/ფ "დომბე და ვაჟი" I სერ. 18.00 ტ/სერ. "დომბე და ვაჟი" 2-3 სერ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 22.00 ტ/სერ. "დომბე და ვაჟი" 4 სერ. 23.00 ქართ. მხ/ფ "ნუცას სკოლა"

08.00 ფორტ ბოიარი 09.00 ან/ფ "სპანჯბობი" 10.00 სერ. "სიყვარული კონტრაქტით" 4 სერ. 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 12.15 აქედან მთელი საქართველო დაილოცება 12.40 სტუმრად იუმორინასთან 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50, 18.50, 19.05 სერ. "მაგნატები". 21.00 სერ. "დაბრუნება" 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 კონცერტი: თამარ გვერდწითელი (გ/ჩ) 00.15 მხ/ფ. " მელანქოლია

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 მხ/ფ "THE SORCERER'S APPRENTICE" 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "ყვავილი თოვლზე " 14.00 სერ "ერთგულების ძალა" 15.30 იღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. "ნამდვილი ბრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 22.40 ჩემპიონთა ლიგა 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 03.30 მხ/ფ.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "გზა მაცხოვრისა" 07.05 დოკ/ფ "დედაო ღვთისავ" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 კონცერტი ანს "ამარტა" 09.00 ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება (ტრანსლაცია) 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.15 კონცერტი ანს. "ამარტა" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45, 21.55 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 დოკ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" 15.30 ისტორიის გაკვეთილი 16.00 კონცერტი - თამარ ჭოხონელიძე (რ.ლაღიძე) 17.20 დოკ/ფ "დედა ღვთისმშობელი" 18.05, 21.05 პატრიარქის ქადაგება 18.25 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.25 მხ/ფ "იავნანა" 20.40 ძილი ნებისა 21.20 მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუფლონი 00.35 კონცერტი - "სხვა საქართველო სად არის"

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 14.00 "კვირის აბები" (გამ.) 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.00, 4.30 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## ხუთშაბათი 29 აგვისტო

08.00 დ/ფ "ლეონარდო და ვინჩი" 09.00 საბ. მხ/ფ "ნილზის შვილი" 10.30 ან/სერ. "პატარა წიწილები" 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "ნიღაბი" (ჯ.კერი) 14.20 დ/ფ "ოთხგანზომილებიანი ატლასი" 15.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 მხ/ფ "მევერიკი" (მ.გიბსონი) 19.00 ტ/სერ. "მაგდა ემი" 19.55 ევროპის ლიგის პლეიოფის განმეორებითი მატჩი: "დილა" /გორი/ – "რაპიდი" /ვენა/ (პ/რ) 22.00 მხ/ფ "გრან ტორინო" 00.00 მხ/ფ "ნახვამდის პოლუქს"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00, 14.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. "დეტექტივი". 11.00, 16.00 დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" 7-8 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ "რიპლის თამაში" (ჯ.მალკოვიჩი)

08.00 ფორტ ბოიარი 09.00 ან/ფ "სპანჯბობი" 10.00 სერ. "სიყვარული კონტრაქტით" 5 სერ. 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50, 18.50, 19.05 სერ. "მაგნატები". 21.00 სერ."დაბრუნება" 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ.სერ. "ცხელი ძაღლი" 00.15 მხ/ფ. "პროვინციელი ბარმენი"

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. "HOODWINKED!" 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "ბაკულას ღორები" 14.00 სერ "ერთგულების ძალა" 15.30 გააცინე და მოიგე 17.00 სერ. "ნამდვილი ბრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 სერ. "სიცრუის თეორია" 01.00, 03.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.50 მხ/ფ "ნაზარის უკანასკნელი ლოცვა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" (კოლაჟი) 09.05, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" 11.05 მოკ/ფ "ბავშვები" 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "იავნანა" 13.15 ქართული მულტფილმი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 სალბუნი 15.30 დოკ/ფ "გემლერებოდეს დედაო" 16.45 კონცერტი -ანდრე რიე 17.35 დოკ/ფ "წმინდა ანტონის სავანე" 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "მზე შემოდგომისა" 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 ლექსით ქებათა ქება 21.10 "ერთსულოვნების სალონი" - წმ.გაბრიელი 22.20 დოკ/ფ "წმინდა მამა ანტონ მარტყოფელი" 22.35 ჩვენი ფონდი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "მემენტო მორი" ტერენტი გრანელი 00.35 მხ/ფ "სინემა" 01.50 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 გადაცემა "პულსი" (გამ.) 10.30 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 13.45 "ჩემი ქორწილი" (გამ.) 14.40, 22.00, 4.30 "ყოველდღიური აბები" 15.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

## პარასკევი 30 აგვისტო

08.00 დ/ფ "მუსორგსკი-სურათები გამოფენიდან'' 09.00 საბ. მხ/ფ "ბუს ძახილი" 10.30 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 ან/ფ "სამართლიანობის ლიგა" 14.00 დ/ფ "გრან-პრი" 15.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 მხ/ფ "სანამ მოკვდებ" (ჯ.ნიკოლსონი) 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" 22.00 დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" 22.40 ფეხბურთი. უეფას სუპერ თასი. (პ/რ პრაღიდან.) 01.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00, 14.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. "დეტექტივი". 11.00, 16.00 დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" 8-9 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ "გაიქეცი მსუქანო" გაიქეცი!"

08.00 ფორტ ბოიარი 09.00 ან/ფ "სპანჯბობი" 10.00 სერ. "სიყვარული კონტრაქტით" 6 სერ. 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 იმედის გმირები (გ/ჩ) 15.15 რომ გადახვალ გააჩერე (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50, 18.50, 19.05 სერ. "მაგნატები". 21.00 სერ."დაბრუნება" 22.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ/სერ. "ცხელი ძაღლი" 00.15 მხ/ფ. "ერთგული მებაღე"

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი08.30 მხ/ფ. "HOWL'S MOVING CASTLE" 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "მზე შემოდგომისა " 14.00 სერ "ერთგულების ძალა" 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. "ნამდვილი ბრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 22.40 ჩემპიონთა ლიგა - სუპერ თასი 01.00 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 საგალობელი 06.20 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.45 მხ/ფ "სინემა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" (კოლაჟი) 09.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 დოკ/ფ "მემენტო მორი" ტერენტი გრანელი 11.15 ეთნოგრაფია 11.25 ისტორიის გაკვეთილი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "მზე შემოდგომისა" 13.15 ქართული მულტფილმი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან 15.30 დეკორატიული ფლორა 15.40 კონცერტი -ელისო ვირსალაძე 17.00 კვირიაკე 18.10 დოკ/ფ "დიდი ტბელი მობრძანდება" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 მხ/ფ "ხანუმა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.35 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სათავეებთან 00.35 მხ/ფ "რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 12.40, 15.30, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 14.40, 22.00, 4.30 "ყოველდღიური აბები" 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

## შაბათი 31 აგვისტო

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ. მხ/ფ "ალასკა" 10.00 საბ. ან/სერ. "სუპერგმირების ლეგიონი" 11.00 "პეპე და მეგობრები" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ – დათო მაზანაშვილი 14.00 ფილმი ნოსტალგია: "ერთგული ხელი" 16.30 ქართული ტ/ფილმი: "მყუდრო სავანე" 18.00 "10|10" 19.00 ან/სერ. "ოჯახური გამოძიება" 20.35 ქართული მხ/ფ "ო" რა ტკბილია განშორების ეს ნაზი სევდა" 22.30 მხ/ფ "ღამეები როდანტაში" (რ. გირი) 00.00 მხ/ფ "ინტერვიუ ვამპირთან" (ტ. კრუზი)

08.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 11.00 დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" 9 ნაწ. 12.00 დ/ფ "ბრინჯის მფლობელები" 13.00 მხ/ფ "გაიქეცი მსუქანო" გაიქეცი!" 15.00 დ/ფ "ფერების სამყარო" 3 ნაწ. 17.00 მხ/ფ "ის ჩემზე უარესია" (ა.ჩერლენტანო) 19.00 დ/ფ "ახალგაზრდული სული" 20.00 მხ/ფ "ენრიკო მატეი – კაცი" რომელიც მომავალს უყურებდა" 1-2 სერ. 22.00 ტ/სერ. "საიდუმლო აგენტები" 7 სერ. 23.00 მხ/ფ "ერთი სასიყვარულო ღამისთვის" 1-2 სერ.

08.00 მხ/ფ. " საქორწინო წვეულება " 10.00 მხიარული ოჯახი (გ/ჩ) 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ეკოვიზია 12.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" 13.00 სერ. "სონის შანსი". 14.20 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.50, 18.50, 19.05 სერ. "მაგნატები". 21.00 სერ."დაბრუნება" 22.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 იუმორინა (გ/ჩ) 00.00 მხ/ფ. " გატეხილი ისარი" 01.50 მხ/ფ. "შიშის აჩრდილი" (მ. დევისი) (ტიტ.)

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფ. "YAMAKASI - LES SAMOURAПS DES TEMPS MODERNES" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "ივანე კოტორაშვილის ამბავი" 14.00 შერეკილები 15.30 კომედი კონცერტი 18.50 სერ. "ტიტების დრო" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 "Latin Angels" 01.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15,19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "ხანუმა" 13.30 "რაინდები" -ვ.ბალავაძე 13.55 ჩვენი ფონდი 14.10 სათავეებთან 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.10 ოპერა - "ნორმა" 17.50 ფოტოგალერეა 18.10 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 თბილისის ტაძრები 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" - ქართული საეკლესიო გალობა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ლექსით ქებათა ქება 21.35 ერთი დღე მონასტერში 22.25 ერთსულოვანი ოჯახი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.15 ქართული ხმები 00.35 მხ/ფ "ოქროს ტბასთან"

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30, 0.30, 5.30 ღია კარის დღე 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "1001 ღამე" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 21.45, 4.30 თოქ-შოუ "პრესპრესი" (გამ.) 23.00 მაგთიფანი (საკონცერტო ნომრები) 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 2.30 მაგთიფანი (საკონცერტო ნომრები)

## კვირა 1 სექტემბერი

09.00 დ/ფ " ჩაცმის თავისუფლება" 10.00 საბავშვო ან/სერ. "სუპერგმირების ლეგიონი'' 11.00 "პეპე და მეგობრები" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" – სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი: "კაცი" რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" 13.20 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" 14.00 ფილმი ნოსტალგია: "ფანტოცის დაბრუნება" (პ. ვილაჯო) 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი:"დილა" /გორი/ – "მეტალურგი" /რუსთავი/ (პ/რ) 19.00 ტ/სერიალი: "ოჯახური გამოძიება" 20.50 "უცნობი მუსიკა" 22.30 მხ/ფ " ბენჯამინ ბატონის იდუმალი საქმე" (კ. ბლანშეტი)

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ლონდონი" 09.00 "ბრიფინგის დრო" (შაბ. გ/ჩვ.) 10.00 მხ/ფ "ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდერი" (დ.რედკლიფი) 12.30 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ვენა" 13.30 მხ/ფ "მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად" (პ.ვილაჯო) 15.00 დ/ფ "პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" 16.00 მხ/ფ "გრაფი მონტე-კრისტო" 1-2 სერ. 19.00 დ/ფ "ამფორების გზა" 20.00 მხ/ფ "ენრიკო მატეი – კაცი" რომელიც მომავალს უყურებდა" 3-4 სერ. 22.00 ტ/სერ. "საიდუმლო აგენტები" 8 სერ. 23.00 მხ/ფ "ერთი სასიყვარულო ღამისთვის" 3-4 სერ.

08.00 მხ/ფ. "პანი დენიელსი" 10.00 მხიარული ოჯახი (გ/ჩ) 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ (გ/ჩ) 12.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 13.00 სერ. "სონის შანსი" 14.20 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.40 იმედის გმირები 18.00, 19.05 სერ. "ლურჯი ქვამლი" 21.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 იუმორინა (გ/ჩ) 00.00 მხ/ფ. "მატჩ პოინტი" (ჯ. რ. მაიერსი) 01.55 მხ/ფ. "უკანასკნელი ლეგიონი"

08.00 კურიერიჰ დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფილმი "YAMAKASI 2- LES FILS DU VENT" 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "ყველაზე სწრაფები მსოფლიოში " 15.30 კომედი კონცერტი 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.30 "Latin Angels" 01.00 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ჩვენი ტრაპეზი 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "დედუნა" 12.20 ერთი დღე მონასტერში 13.50 ქრისტიანული ხელოვნება 14.20 ისტორიის გაკვეთილი 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.00 ღია აუდიტორია 19.40 მხ/ფ "აბეზარა" 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.30 მხ/ფ "პიანისტი"

მაესტრო 7.00, 0.30, 2.00, 3.00, 4.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30, 20.00, 4.30 "ჩემი ქორწილი" 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00, 12.30, 15.30 სერიალი "1001 ღამე" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.45, 22.30 "ღია კარის დღე" 19.30 "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება 21.45, 2.30 კვირის აბები 23.00 "კინო მაესტროზე" 1.15, 3.30, 5.20, 6.30 ფარული კამერა

# სირიაში ქიმიური იარაღი გამოიყენეს?

## რუსეთსა და აშშ-ს შორის ცივი ომი დაიწყო, — თვლის არაბული ქვეყნების ლიგის გენერალური მდივანი

– სამოქალაქო ომი სირიაში მწვავდება. ოპოზიციამ, რომელიც პრეზიდენტ ასადის დამხობას ესწრაფვის, ირწმუნება, რომ სამთავრობო ჯარებმა მათ წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენეს. არის უზარმაზარი მსხვერპლი, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

თანახმად ინფორმაციისა, სამთავრობო ჯარებმა თვითმფრინავებიდან დამასკოს გარეუბანში მომწამვლელი ნივთიერებებით გაჯერებული რაკეტები ჩამოყარეს. სირიელი მეამბოხეები ამტკიცებენ, რომ ამის შედეგად 1400 ადამიანი დაიღუპა. თავის მხრივ, პრეზიდენტ ასადის პრესსამსახურმა აღნიშნული ინფორმაცია უარყო:

– ცნობა იმის თაობაზე, რომ გამოყენებულ იქნა ქიმიური იარაღი, წარმოადგენს სრულ სიცრუეს. პირიქით, ეს მეამბოხეები იყენებენ ქიმიურ იარაღს, – ნათქვამია მის განცხადებაში.

ქიმიური იარაღი საერთაშორისო კონვენციებით აკრძალულია. მისი გამოყენებაც კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულად ითვლება. ამ შეთანხმებას უამრავი ქვეყანა, მათ შორის სირიაც შეუერთდა. მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსები თვლიან, რომ თუკი ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი დადასტურდა, ეს დასავლეთს ასადის რეჟიმის მიმართ უფრო აქტიური მოქმედებებისაკენ უბიძგებს.

– ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება იმას ნიშნავს, რომ სირიის პრეზიდენტმა „წითელ ხაზს“ გადააბიჯა. დასავლეთმაც მის მიმართ უფრო შეურიგებელი პოზიცია უნდა დაიკავოს. მე წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ აშშ-მ სირიაში თავისი სამხედრო კონტინგენტი გაგზავნოს, მაგრამ სირიულო ოპოზიციის შეიარაღება აუცილებელია, – თვლის სენატორი მაკეინი.

სირიაში შექმნილი მდგომარეობა გაეროს უშიშროების საბჭოს მსჯელობის საგანი გახდა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სირიაში გაეროს ინსპექტორთა მივლინების თაობაზე, შემუშავებულ იქნა სირიის მთავრობისადმი მიმართვის ტექსტი, რათა ინსპექტორები ნებისმიერ სამხედრო ობიექტზე დაეშვათ. უკანასკნელ მომენტში ტექსტი შეიცვალა.

რუსეთი კატეგორიულად აღუდგა წინ გაეროს ინსპექტორთა სამხედრო ობიექტებზე დაშვებას. შედეგად მიმართვის ტექსტი შეიცვალა, – იტყობინება ბი-ბი-სი.

თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია უარყო. „ჩვენ მიერ გაეროს გადაწყვეტილების არანაირი ბლოკირების მცდელობას ადგილი არა ჰქონია“, – ნათქვამია განცხადებაში, თუმცა ფაქტია, რომ რუსეთი ასადის რეჟიმს მხარს აქტიურად უჭერს. თუკი კრემლი შედარებით მშვიდად შეხვდა საომარ მოქმედებებს ეგვიპტეში, ტუნისში, ლიბიაში სირიის მიმართ ეს შეიცვალა. როგორც ცნობილია, რუსეთს სირიის პორტ ტარტუსში საკუთარი სამხედრო-საზღვაო ბაზა გააჩნია. ის აქ ჯერ კიდევ 1971 წელს სსრკ-სირიას შორის ხელშეკრულების საფუძველზე განთავსდა. დღევანდელი რუსეთის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ხსენებულ ბაზას მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა არ გააჩნია. ფაქტები კი იმაზე მიუთითებენ, რომ ტარტუსის ბაზას მოსკოვი სადაზვერვო საქმიანობისათვის აქტიურად იყენებს. ხშირ შემთხვევაში ამას ფრიად საინტერესი ხასიათი აქვს. ასე მაგალითად, დასავლურ პრესაში ამოტივტივდა გრუ-ს ოფიცრის, ვინმე ივანოვის, გვარი, რომელიც ტარტუსის ბაზაზე მსახურობდა, კავშირი ჰქონდა ტერორისტებთან და ჩაბმული იყო ნარკობიზნესში. მოსკოვმა, ბუნებრივია, აღნიშნული ინფორმაცია უარყო, აქაოდა, ტარტუსის ბაზაზე ასეთი ოფიცერი საერთოდ არ მსახურობსო. თუმცა ქურდს ქუდი ეწვისო, ნათქვამია. 2010 წლის გაზაფხულზე ტარტუსის ბაზის მახლობლად ივანოვის გვამი იპოვეს. თურმე ხსენებული ოფიცერი ბაზაზე მართლაც მსახურობდა და ის გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს.

– – რუსეთი ასადის რეჟიმს მხარს აქტიურად უჭერს. ეს გამოიხატება როგორც ქვეყნის პირველი პირის განცხადებებში, ასევე სამხედრო დახმარებაშიც, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, კრემლის პოზიცია სავსებით გასაგებია. დემოკრატიული რუსეთის მშენებლობა ჩაიშალა. მის ნაცვლად ერთგვარი ჩეკისტურ-მაფიოზური სახელმწიფო შეიქმნა, სადაც საშუალო ფენა სუსტია.

– საზოგადოება ძალიან მდიდრებად და ძალიან ღარიბებადაა დაყოფილი. ასეთი ქვეყანა სტაბილური ვერ იქნება, – წერს პორტნიკოვი, – შესაბამისად, სოციალური აფეთქებაც გარდუვალია. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გარეშე მტრის მოძებნა და მასების ყურადღების ამ მიმართულებით გადატანა“.

პორტნიკოვი სწორედ ამით ხსნის როგორც „ევრაზიული კავშირის“ შეკოწიწების მცდელობას, ასევე სირიის ოდიოზური დიქტატორის ასადის მხარდაჭერასაც. აქაოდა, რუსეთის დიდების დაბრუნებისათვის ვიბრძვით. მალე ამერიკელებს ახლო აღმოსავლეთიდან გამოვაძევებთ და ამისი გარანტი რუსეთ-სირია-ირანის ალიანსი იქნებაო. პორტნიკოვის აზრით, საერთაშორისო ვითარების დაძაბვა კრემლის აბჟამინდელ ელიტას აწყობს, რადგანაც ეს საუკეთესო საშუალებაა ავტორიტარიზმისა და პოლიციური რეჟიმის გასაძლიერებლად.

– ჩვენ რომ ახლა მე-19 საუკუნეში გვეცხოვრა, პუტინი, ალბათ, ომს გააჩაღებდა. ბირთვულ ეპოქაში ეს შეუძლებელია, თუმცა პატარა ლოკალური ომები და რეგიონული კონფლიქტები აუცილებლად იქნება. ასადის რეჟიმის მხარდაჭერით მოსკოვი ასეთი კონფლიქტის გაჩაღებას ხელს უწყობს, – თვლის პორტნიკოვი.

სირიაში შექმნილი ვითარება უკვე რა ხანია საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთებას იწვევს. მასალები ასადის რეჟიმის მხეცობების შესახებ მსოფლიოს წამყვანი მასმედიით გავრცელდა. სირიის მიმართ პოლიტიკის გამკაცრებაზეც უკვე გაეროს ტრიბუნიდან ალაპარაკდნენ, თუმცა რუსეთი ამას წინ აღუდგა. თავის ტელეინტერვიუში ვლადიმერ პუტინმა განაცხადა:

– სამწუხაროდ, დასავლეთი ორმაგ სტანდარტებს იყენებს. სირიის მთავრობის მხეცობებზე ბევრს ლაპარაკობენ, თუმცა დუმს იმაზე, რომ ოპოზიცია არანაკლებ მხეცობებს ჩადის. ჩვენს ხელშია ვიდეოფირები, სადაც აღბეჭდილია, თუ როგორ აუპატიურებენ „მეაბოხეები“ დატყვევებულ ასადის მომხრეებს, აჭრიან მათ ღვიძლს და ჭამენ. ბატონებო, ამათ უჭერთ მხარს? ესაა თქვენი დემოკრატია?!

რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერის შედეგად დიქტატორი ასადი ხელისუფლებას დღემდე ინარჩუნებს. სირიაშიც სამოქალაქო ომი გრძელდება. თანახმად გაეროს უკანასკნელი მონაცემებისა, დღეისათვის დაღუპულთა რიცხვმა უკვე 93 ათასი ადამიანი შეადგინა. არაბული ქვეყნების ლიგის გენერალური მდივნის ალ-არავიას აზრით, რუსეთის პოზიცია სხვა არაფერია, თუ არა დაბრუნება „ცივი ომის“ ეპოქაში, როცა ოდიოზურ ლიდერთა მხარდაჭერა და რევოლუციების ექსპორტი ხდებოდა.

– სირიაში რუსეთ-ამერიკის ინტერესები ერთმანეთს მწვავედ დაუპირისპირდნენ. მსოფლიო ცივი ომის ეპოქაში ბრუნდება, – განაცხადა ალ-არაბიამ.

თუკი სირიის მთავრობის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი დადასტურდება, ეს დასავლეთს აიძულებს, ამ ქვეყნის მიმართ უფრო აქტიური პოლიტიკა განახორციელოს. თურქეთის მთავრობა უკვე კარგა ხანია ირწმუნება, რომ დასავლეთი და, უწინარეს ყოვლისა, აშშ, სირიის მიმართ უფრო შეურიგებელი უნდა იყოს. უკანასკნელი მოვლენების შემდეგ რადიკალური განცხადებები გაისმის ბერლინში, პარიზში, ლონდონში, ვაშინგტონში. დასავლეთის გააქტიურებას რუსეთის მწვავე რეაქცია მოჰყვება, რაც მთელ საერთაშორისო ვითარებაზე აისახება.

– ის, რომ პრეზიდენტმა ობამამ რუსეთში ვიზიტზე უარი განაცხადა, მრავლისმეტყველი ფაქტია. ამით ვლადიმერ პუტინს აგრძნობინეს, რომ მისი საქციელი ქუჩის ხულიგნის საქციელს მოგვაგონებს და ამასთან შეგუებას არავინ აპირებს, – იტყობინება ბი-ბი-სი.

საერთაშორისო ვითარების გამწვავება გავლენას ამიერკავკასიაზეც იქონიებს. თურქეთი ნატოს წევრი და ამერიკის მოკავშირეა, სომხეთი – რუსეთის სატელიტი, აზერბაიჯანი – თურქეთის მონათესავე ქვეყანა და მოკავშირე. რჩება საქართველო. მისი პოზიცია ამიერკავკასიაში ძალთა განლაგებაზე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს. კრემლიც თბილისზე კონტროლის აღდგენას ყოველნაირად შეეცდება. ამას კატეგორიულად შეეწინააღმდეგება აშშ, რომელმაც პროექტში სახელწოდებით „დემოკრატიული საქართველო“ მილიარდები ჩადო. რუსეთის აგრესიის განეიტრალება საქართველოსადმი მხარდაჭერის გაზრდით შეიძლება. ეს კი ჩვენი ქვეყნის ტრანს-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისა და, ამავდროულად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას ქმნის. თუმცა საამისოდ ჭეშმარიტად პროდასავლური პოლიტიკის გატარება და ეროვნული კონსოლიდაციაა აუცილებელი. შეძლებს ამას საქართველო?

**ნიკა თევზაძე**

## ღია წერილი პრემიერ-მინისტრს

**ბატონ ბ.ივანიშვილს**

წინასიტყვა – სამთავრობო კანცელარიაში ორჯერ ჩაბარდა წერილები თქვენს სახელზე. .შ.-ში გწერდით: თუ ეს წერილი თქვენამდე არ მიაღწევს, მაშინ შევეცდებით, მასმედიის საშუალებით ღია წერილით მოგმართოთ.

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

გაზეთ „ახალ თაობაში“ (31.07.13წ.) გამოქვეყნებული სტატიით – „რატომ შეჩერდა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ მშენებლობა“, საზოგადოებამ გაიგო საქართველოში ასე ფართო მასშტაბით არსებული რეალობის ღრმა მიზეზები და ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებული ასობით ადამიანთა ერთნაირად კატასტროფული, მაგრამ სხვადასხვაგვარი ბიოგრაფიები (ასე მაგ.: საბურთალოს ყოფილი ბაზრის ტერიტორიაზე 60-იან წლებში ძალადობით დანგრეული კერძო სახლების მფლობელნი, ცის ქვეშ დარჩენილი ადამიანები, ემიგრაციაში ჩარჩენილი თანამემამულენი და ა.შ.).

ბევრმა ჩვენთაგანმა მშენებარე ფართების გადასახადი ბანკებიდან გამოტანილი თანხებითაც დაფარა და, რაც საგანგაშოა, ფარულად ზ.რაზიკაშვილმა (ამხანაგობის თავმჯდომარემ), როგორც მშენებარე ობიექტის „დროებითმა მფლობელმა“, ის იპოთეკითაც დატვირთა. ამ სქემით ადამიანები ორმაგი ვალების გადამხდელებადაც კი გვაქცია. ასე გახდა შეჩერებული მშენებლობები ერთ-ერთი სერიოზული წყარო დაზარალებულ იპოთეკართა სიმრავლისა, რაც ქვეყანაში დღეს სერიოზული თავსატეხი გახდა.

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩვენ არ ვითხოვთ შეჭირვებული ქვეყნისაგან რაიმე ფულად კომპენსაციას! ბუნებრივია, არ ვითხოვთ თქვენგან არც გამომძიებაში ჩარევას (მიუხედავად იმისა, რომ საქმე პირადად გავაცანით პარლამენტის თავმჯდომარეს, ვესაუბრეთ მანანა კობახიძეს, გამოძიება დაევალა ფინანსური პოლიციის თანამშრომელს, დავით კვინიკაძეს და მაინც, ჩვენი პირველი მტერი გაჭიანურებული დროა!).

ბატონო პრემიერ-მინისტრო, მოგმართავთ მოკრძალებული თხოვნით: ამ საქმესთან დაკავშირებით, დაავალოთ სათანადო ორგანოებს, შეიქმნას თემატური რევიზია და დაჩქარებული ტემპით მოხდეს გამოძიება.

თქვენი ყურადღება დაგვიბრუნებს რწმენას, მოგვცემს ფეხზე დადგომის შესაძლებლობას, რაც სამაგალითო იქნება სხვა ანალოგიებისათვის.

**პატივისცემით, „ოლიმპიური ვარსკვლავის“ საინიციატივო ჯგუფი**

## შაბათ-კვირას საქართველოში არამდგრადი ამინდია მოსალოდნელი

საქართველოში დამდეგ შაბათ-კვირას ცვალებადი ამინდი არის მოსალოდნელი. როგორც „მედიანიუსს“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, 24 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია უმეტესად ხანმოკლე წვიმა ელჭექით. იქროლებს დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი/წამში. ჰაერის მოსალოდნელი ტემპერატურაა დაბლობში +24, +29; მთაში +23, +28; მაღალ მთაში +20, +25 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით, შესაძლებელია სეტყვა. დაუბერავს დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი/წამში. ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა იქნება ბარში +28,+33; მთაში +24,29; მაღალ მთაში +18-23 გრადუსი სითბო. თბილისში დროგამოშვებით ღრუბლიანობა მოიმატებს. დღის ბოლოს შესაძლებელია ხანმოკლე, მცირე წვიმა ელჭექით. იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი/წამში. ჰაერის მოსალოდნელი ტემპერატურაა +30 გრადუსი სითბო.

25 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში დროგამოშვებით ღრუბლიანობა მოიმატებს. უმეტეს რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით. იქროლებს დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი/წამში.

ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა იქნება დაბლობში +23,+28; მთაში +20,+25; მაღალ მთაში +18,+23 გრადუსი სითბო. აღმოსავლეთ საქართველოში დროგამოშვებით ღრუბლიანობა მოიმატებს. უმეტეს რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა. იქროლებს დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი/წამში. ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა იქნება ბარში +24,+29; მთაში +21,+26; მაღალ მთაში +14,+19 გრადუსი სითბო. თბილისში დროგამოშვებით ღრუბლიანობა მოიმატებს. მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით. იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი 10– 15 მეტრი/წამში. ჰაერის მოსალოდნელი ტემპერატურა იქნება +28 გრადუსი სითბო.

**მდიანიუსი**

## ჯოსვოხდი ბ



**შვეულად:** 1. საწამლავის, შხამის ძველებური სახელწოდება; 2. ჰაერში გასაშვები ბავშვის სათამაშო; 3. მინერალი, ტყვიის შემცველი მადანი; 4. მე-17 საუკუნის ქართველი მხედართმთავარი; 5. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი საფრანგეთში; 9. ფრანგული კოსმოსური ხომალდების სერია; 12. რამდენიმე სართულად გამართული თაროები; 14. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 15. იაპონური ჭიდაობა; 17. ავადმყოფური ლტოლვა რაიმესადმი; 18. ცხოველი, აშშ-ს დემოკრატიული პარტიის სიმბოლო.

**თარაზულად:** 6. მფრინავი ცხოველი; 7. ნეპალის დედაქალაქი; 8. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ირანში; 10. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. ხის ორი ფირფიტისაგან შემდგარი მუსიკალური ტკაცუნა, ესპანური ცეკვების აკომპანირებისათვის; 13. მატრიცების ამოსატვიფრი ფოლადის შტამპი; 16. მონების ან დამნაშავეების ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო ევროპაში; 20. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. კაროჟნა; 2. გიული; 3. ხოდაბუნი; 4. „გუდიარი“; 5. ტონზილიტი; 9. ბატატი; 12. „სუფრული“; 14. ქულამა; 15. ევრო; 17. „ბლიკი“; 18. ჭკუა.

**თარაზულად**: 6. ყარაია; 7. მონიუშკო; 9. „პოპული“; 10. ვალსი; 11. ბადმინტონი; 13. ექსპერტი; 16. გულაბი; 19. კომუნიკე; 20. „ნაფტუსია“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. სლალომი; 2. სპაგეტი; 3. ბაჰრეინი; 4. გულანი; 5. ჰორმონი; 8. ჰიგიენა; 9. მეზონინი; 12. როსელინი; 13. ანაკლია; 16. უზბეკეთი; 17. გორგოძე; 19. „კომბლე“; 20. საუზმე.

**თარაზულად**: 6. კლეოპატრა; 7. პუნსონი; 8. ჰარირა; 10. ბონდერი; 11. მონე; 14. „ბენეტონი“; 15. ესკულაპი; 18. აზალია; 21. ოტიატრი; 22. ვარნა; 23. ესქილე; 24. ლითოსფერო.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**24 აგვისტო**

აშშ დოლარი — 1,6603

ევრო — 2,2225

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6024

100 რუსული რუბლი — 5,0352

## ამინდის პროგნოზი 24 აგვისტოსთვის

# მალე! მალე! მალე!

## ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

# „შავი ვარდი“

## „ახალ თაობასთან“ ერთად

## ყველამ გაითვალისწინეთ!

### 24 აგვისტო – მშვენიერი დღეა

**ვერძი** – ფულს შოულობათ, პრობლემა გეხსნებათ. **კურო** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ტყუპები** – ახალ პროექტს სკეპტიკურად უყურებთ, არ არის საჭირო. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს მოჰკიდებთ ხელს, შედეგი კარგი იქნება. **ლომი** – ფულს იშოვით, საქმესაც ბოლომდე მიიყვანთ. **ქალწული** – ბევრს ფიქრობთ და ცოტას აქტიურობთ, შეცვალეთ პოლიტიკა. **სასწორი** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, მათგან ახალ ამბავს გაიგებთ. **ღრიანკალი** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **მშვილდოსანი** – ცხოვრება გეცვლებათ, გახარებული ხართ. **თხის რქა** – დიდი წინსვლა გელოდებათ. **მერწყული** – დაგეგმეთ მომავალი დღეები და ისე იმოქმედეთ. **თევზები** – ფული არ გაქვთ, მაგრამ სიტუაცია მალე გამოსწორდება.

### 25 აგვისტო – ნახმატებული დღეა

**ვერძი** – მშვენიერი დღეა, ბედი გწყალობთ. **კურო** – დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **ტყუპები** – სახლში დიდი სიხარული გელით. **კირჩხიბი** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ლომი** – დაწინაურება გიხარიათ, ფულიც გაქვთ. **ქალწული** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** – თავს დამნაშავედ გრძნობთ, პატიება ითხოვეთ. **ღრიანკალი** – ფული გაქვთ, ყველაფერი კარგად არის. **მშვილდოსანი** – არ აჩქარდეთ, გადაწყვეტილება მშვიდად მიიღეთ. **თხის რქა** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მერწყული** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** – მშვენიერი დღეა, ბედს ეწევით.

**გისუხვებთ ბედნიერ დღეს!**

## ჯოსვოხდი ა

**შვეულად:** 1. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 2. სახელმწიფო ევროპაში; 3. საღებავი ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებს; 4. უმაღლესი ხარისხის ბროლი; 5. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 8. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი; 9. უღელტეხილი კავკასიონზე; 12. ტკბილი წვრილმარცვლოვანი, მაგარქერქიანი ხილი; 13. ელექტრონული გენერატორის უძრავი ნაწილი; 16. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 17. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 19. დენის ძალის საზომი ერთეული; 20. საფარიკაო სპორტული იარაღი.

**თარაზულად:** 6. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 7. ქართული ხალხური საგმირო-პატრიოტული სიმღერა; 8. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 10. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 11. ცხენების ჯოგი; 14. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 15. ზომიერი მუსიკალური ტემპი; 18. ცირკის არენა; 21. ჰაგიოგრაფიული თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი; 22. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 23. სიყვარულის, ნაყოფიერების ღვთაება ასირიულ მითოლოგიაში; 24. ქართული ლუდი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**



# ჯანო ანანიძე: სპარტაკისთვის დასამტკიცებელი მაქვს

მოსკოვის „სპარტაკიდან“ „როსტოვში“ იჯარით განათხოვრებული ჯანო ანანიძის ბენეფისი გასულ ტურში შედგა. ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგასთან“ მატჩში ჩვენებურმა გოლი და 2 საგოლე პასი მიითვალა. ანანიძე ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და, ცხადია, სიმბლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

– როგორც წესი, რუსეთში ჯანო ინტერვიუს არ იძლევა, თუმცა ჩვენთვის მან გამონაკლისი დაუშვა. მით უმეტეს, რომ დროც შესაფერისია. ჯერ ერთი, მან ბოლო ორი წლის მანძილზე პირველად ჩაატარა სრული შეხვედრა და მეორეც, ამ თამაშში თავი ბრწყინვალედ წარმოაჩინა – გაიტანა და ორი საგოლე გადაცემაც გააკეთა, – წერს რუსული ჩამპიონ.კომ-ი.

– თქვენმა თანაგუნდელმა და მეგობარმა არტიომ ძიუბამ ახლახან თქვა – ჩემთვის ყოველი მატჩი კონცერტივითაა. თქვენთვისაც ასეა?

– მართლაც ასეა. „როსტოვში“ თავი უნდა გამოვიჩინოთ და „სპარტაკში“ სხვა ფეხბურთელებად უნდა დავბრუნდეთ.

– მაინც როგორად?

– სახელიან ფეხბურთელად, რომელსაც ენდობიან და რომელიც ამართლებს ამ ნდობას.

– „ვოლგასთან“ შენი წარმატებული თამაშის შემდეგ თანაგუნდელები „როსტოვში“ არ მიგანიშნებენ, რომ ამას „დასველება“ უნდა?

– თუ ეგრეა, მაშინ ძიუბას ყოველდღე პურმარილი უნდა ჰქონდეს გაშლილი... არა, ამაზე არავის არაფერი უთქვამს.

– „სპარტაკიდან“ ვინმემ თუ მოგილოცათ „ვოლგასთან“ წარმატებული თამაში?

– გაგატოვმა მოკლე ტექსტური შეტყობინება გამოგზავნა. მასთან ვმეგობრობ.

– „როსტოვში“ შენც ბრწყინავ და ძიუბაც. რაშია ამის საიდუმლო – მწვრთნელ მიოდრაგ ბოჟოვიჩში და მისგან გამოცხადებულ ნდობაში?

– ვთამაშობთ, ვცდილობთ. მატჩის 90 წუთის განმავლობაში არ ვაძლევთ თავს მოდუნების უფლებას. თანაც, ყველა ფეხბურთელი გამარჯვებაზეა მომართული და ამას შედეგი მოაქვს.

– ეს ყველაფერი ასე მარტივადაა?

– მთავარი ისაა, რომ ლაღად ვთამაშობთ. წნეხის ქვეშ არავინ გვაქცევს. ამიტომაცაა, რომ ყველაფერი გამოგვდის. მაგალითად, „სპარტაკში“ აუცილებლად ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლო, აქ კი სხვა ამოცანები გვაქვს.

– ჯერჯერობით კი „როსტოვია“ ლიდერი და ასეთი კარგი სტარტის შემდეგ ეგებ ევროთასების საგზურსაც გამოჰკრათ ხელი.

– რატომაც არა? ჩვენ ვიბრძოლებთ, რათა მაქსიმალურად დიდხანს შევინარჩუნოთ ლიდერთა შორის ადგილი.

– ბევრი მიიჩნევს, რომ „როსტოვის“ წარმატება დროებითია.

– სად წერენ ამას? გაზეთებში? გაზეთებს არ ვკითხულობ.

– პირველ მატჩებში სასტარტოში ყოველთვის არ ხვდებოდით. ძალიან განიცდიდით?

– რა თქმა უნდა, თუმცა ვიცოდი, რომ დასამტკიცებელი

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# მენინგმა ობამას წერილი მისწერა

ამერიკის არმიის რიგითმა ბრედლი მენინგმა, რომელსაც ცოტა ხნის წინ სამხედრო სასამართლომ 35 წლით პატიმრობა მიუსაჯა, პრეზიდენტ ბარაკ ობამას წერილი მისწერა. მენინგი ვებგვერდ „ვიკილიქისისათვის“ ამერიკის საიდუმლო დოკუმენტების გადაცემაშია ბრალდებული.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ ცნობით, მენინგი პრეზიდენტს წერილში შეწყალებას სთხოვს. წერილში მენინგი წერს, რომ არმიაში იმის გამო შევიდა და ერაყის ომში იმ მიზეზით გაემგზავრა, რომ დარწმუნებული იყო, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკულ საზოგადოებას საკუთარი ღირებულებებისა და ცხოვრების წესის დასაცავად მეთოდები უნდა შეეცვალა. თუმცა, როდესაც ყოველდღიურად საიდუმლო დოკუმენტებს ეცნობოდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბრძოლაში ამერიკელებმა „ადამიანურობა დაკარგეს.“ როგორც ცნობილია, მენინგის მიერ გამომჟღავნებული დოკუმენტების დიდი ნაწილი ავღანეთისა და ერაყის ომს ეხება.

2013 წლის ივნისში ამერიკის სამხედრო ტრიბუნალმა 25 წლის მენინგი სხვა დანაშაულებებთან ერთად, ჯაშუშობაშიც სცნო დამნაშავედ. პროკურორები მისი 60 წლით ციხეში ჩასმას მოითხოვდნენ. სკანდალურმა ვებგვერდმა „ვიკილიქსმა“ სასამართლოს გადაწყვეტილებას „სერიოზული სტრატეგიული გამარჯვება“ უწოდა.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ბრედლი მენინგის ეს განაჩენი რუსეთის დიპლომატიურმა უწყებამ დაგმო და „გაუმართლებლად მკაცრი“ უწოდა.

მენინგმა, რომელიც ერაყში მუშაობდა, 2010 წელს „ვიკილიქსს“, რომლის დამაარსებელიც ჯულიან ასანჟია, ათასობით დოკუმენტი გადასცა, სადაც ერაყის, ავღანეთის ომები და დიპლომატიური წერილები იყო მოცემული.

ცნობილი გახდა, რომ უფლებადამცველი ორგანიზაცია „ამნესტი ინტერნეიშენალი“ მენინგის შეწყალების პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვებას იწყებს, რომელიც ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას სახელზე იქნება მიმართული.

**გ. მ.**

# ეგვიპტეში „მუსლიმი ძმების“ ლიდერების დაპატიმრება გრძელდება

გუშინ, ღამით, კაიროში „ძმები მუსლიმების“ პოლიტიკური ლიდერები მუჰამედ ალ-ბელტაგი და ისამ ალ-არიანი დააპატიმრეს.

დღეს ქვეყანში მორიგი ანტისამთავრობო დემონსტრაციაა დაგეგმილი. ისლამისტების ლიდერებმა კვლავ მოუწოდეს მხარდამჭერებს ქუჩაში გამოსვლისაკენ. ქვეყანაში გამოსვლები მოჰამედ მურსის გადაყენების შემდეგ არ ცხრება. მისი მხარდამჭერები მურსის პრეზიდენტად დაბრუნებას მოითხოვენ. მთავრობა მათ წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე უარს არ ამბობს. უკანასკნელი რვა დღის განმავლობაში დაპირისპირებას 900 ადამიანი ემსხვერპლა. ქვეყნის დედაქალაქში ამ დრომდე მოქმედებს კომენდანტის საათი.

„ეგვიპტის ქაოსი „არაბული გაზაფხულის“ დასასრულია?“, – ამ სათაურით ჰეზერ მაჰერის სტატიას რადიო „თავისუფლება“ აქვეყნებს:

– სახალხო აჯანყებებმა, რომლებიც ორი წლის წინ მოედო ლიბიას, ტუნისს, სირიასა და ეგვიპტეს და რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, ავტორიტარული მთავრობების დამხობა მოჰყვა, მოქალაქეებს ვერ მოუტანა დაპირებული დემოკრატიული რეფორმები და ცხოვრების გაუმჯობესებული პირობები. ეგვიპტეში მიმდინარე პროცესებმა და ავტორიტარიზმთან დაბრუნებამ ბევრ ანალიტიკოსს გაუჩინა შეკითხვა, ხომ არ მოასწავებს ეს „არაბული გაზაფხულის“ დასასრულს.

ერთი წლის წინ ეგვიპტის მოქალაქეები თავიანთი ქვეყნის ისტორიაში პირველ თავისუფალ საპრეზიდენტო არჩევნებში იღებდნენ მონაწილეობას, დღეს კი დემოკრატიის ეს ჩანასახი გამქრალია დამხობილი პრეზიდენტის, არმიის მიერ სამოქალაქო პირების დახოცვისა და სამოქალაქო ომის მზარდი საშიშროების პირობებში.

გაგრძელება მე-9 გვერდზე